გეოპოლიტიკა რუსულად, ანუ "დურაჩკა" პრეფერანსის მაგიდასთან A3

რას იზამს საქართველო, როცა ვალის გადახდის დრო მოვა A3

იუმორი B4-B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 16 სექტემბერი, 2002 წელი. №106

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკური რიტორიკის შედევრი საქართველოს სასარგებლოდ

### პრეზიდენტ ბუშის კომენტარი

(სრული ტექსტი):

*კითხვა: პრეზიდენტი პუტინი საქართველოში ტერორისტებზე თავდასხმის სურვილს თქვენეული ლოგიკით ამართლებს. მართებულია თუ არა ეს? ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს არგუმენტებს სხვა ქვეყნებიც – ინდოეთი, პაკისტანი, ჩინეთი – გამოიყენებენ იმ ქმედებების გასამართლებლად, რომლებიც, მათი აზრით, სწორია?*

*პრეზიდენტი: ძალზე ნათლად განვუმარტე საქართველოს მთავრობას, რომ ჩვენ მათგან პანკისის ხეობიდან "ალ ქაიდას" ტიპის ტერორისტების განდევნას მოველით. ვაშინგტონი თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან და წვრთნის ქართულ ჯარს. უკვე ვუთხარი ვლადიმირ პუტინსაც, რომ მან ქართველებს უნდა მისცეს შანსი, რათა მათ დასახული მიზნის მიღწევა შეძლონ. მიზნისა, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რუსეთისა და შეერთებული შტატებისთვისაც. ეს მიზანია "ალ ქაიდას" წევრი მკვლელების შეპყრობა და მათი გასამართლება. ასე რომ, მე პუტინს კვლავაც მოვუწოდებ, ითანამშრომლოს ჩვენთან, ხოლო ქართველების შეიარაღებულ ძალებს მოქმედების საშუალება მისცეს.*

*და ბოლოს, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვაცხადებ: სადამ ჰუსეინი გაერო-ს ნების წინააღმდეგ თექვსმეტჯერ წავიდა, არა ერთხელ და ორჯერ, არამედ - თექვსმეტჯერ. გაერო-მ მას სპარსეთის ყურის ომის დასრულებისთანავე განუმარტა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, თუ რას ელოდა მსოფლიო მისგან. ეს რჩევები ჰუსეინმა თექვსმეტჯერ უარყო. ბოლოს და ბოლოს, კმარა. 21-ე საუკუნის დასაწყისია და გაერო-მ ან რეალურად უნდა შეასრულოს თავისი სამშვიდობო ფუნქცია, ან უფუნქციოდ დარჩეს. ეს ახლა გაირკვევა.*

გაგრძელება A5 გვერდზე



14 სექტემბერი. ჯორჯ ბუშის ბრიფინგი პრესისთვის. REUTERS

## დღეს გამოცდას ისიც აბარებს, ვინც ხელისუფლებაში მოსვლაზე აცხადებს პრეტენზიას

ბადრი კოპლატაძე

აფხაზეთის ომის შემდეგ საქართველო პირველად დადგა სამხედრო მოქმედებებში ჩართვის სერიოზული საფრთხის წინაშე. პუტინის განცხადებებმა ქართული საზოგადოება, შეიძლება ითქვას, შოკში ჩააგდო. სიტუაციის კრიტიკულობამ უფრო ნათლად წარმოაჩინა ის რეალური მდგომარეობა, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება.

დავიწყოთ ფსიქოლოგიური მომენტით. ვინც ამ დღეებში სახელმწიფო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლებს თვალს ადევნებდა, ბუნებრივია, შენიშნავდა, რომ მოსალოდნელი საფრთხისგან თავის დასაცავ ყველაზე ეფექტურ საშუალებად, უმრავლეს შემთხვევაში, საგარეო მხარდაჭერა სახელდებოდა. თუმცა, ორიენტირები სხვადასხვა იყო. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის მთავარ იმედს დღეს ვაშინგტონი წარმოადგენს, რომლის პოლიტიკაში საქართველო ნელ-ნელა სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობაშიც მსგავსი განწყობა შეიმჩნეოდა. ხალხიც და მთავრობაც მოუთმენლად ელოდა მხოლოდ ერთს - როდის გააკეთებდა პრეზიდენტი ბუში, ან სხვა მაღალი რანგის ამერიკელი მოხელე, პუტინის საპასუხო განცხადებას. პოლიტიკოსთა მეორე ნაწილის მზერა ჩრდილოეთისკენ იყო მიპყრობილი. მათ, შეიძლება ითქვას, რომ უკვე გახსნილად, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატეს თავიანთი პოზიციები. ასლან აბაშიძე იმ დღეებში სულაც მოსკოვში იმყოფებოდა და იმ სერგეი ივანოვთან თათბირობდა, რომელიც პუტინის მთავრობაშიც კი გამოირჩევა

გაგრძელება A8 გვერდზე

## ქართული პოლიტიკა რუსეთის წნეხის ქვეშ

ია ანთაძე
*რადიო "თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ვლადიმირ პუტინის მუქარა, რომ რუსეთი საქართველოში ჩეჩენ ტერორისტთა ბაზებს გაანადგურებს, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ისე – ხელისუფლებისთვის. იმ დღის შემდეგ, შეშფოთებული ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან: "რა მოხდება? რუსეთი მართლა დაგვბომბავს?" ამ კითხვის პასუხი საქართველოში, ალბათ, არავინ იცის. ვარაუდს კი, რამდენსაც გნებავთ, იმდენს მოისმენთ.

რუსეთს სურს საქართველოს - როგორც ევრო-აზიური დერეფნის – ფუნქციის გაუქმება, შესაბამისად, სურს, საერთაშორისო პროექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმი) ჩაშლა; რუსეთს სურს ეუთო-ს სტამბოლის სამიტის მემკვიდრეობისგან გათავისუფლება და, შესაბამისად, სურს სამხედრო ბაზების ხანგრძლივად შენარჩუნება საქართველოში; რუსეთს სურს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა და, შესაბამისად, სურს შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია ჩვენს ქვეყანაში. ამ არგუმენტებს მოისმენთ ყველგან, სადაც პოლიტიკოსები, პოლიტიკის ექსპერტები ან უბრალო ადამიანები რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის თემას განიხილავენ, მათ შორის - რუსულ პრესაში.

ვითარება წინააღმდეგობრივია, მომავალი კი – ბუნდოვანი.

ერთი მხრივ, რუსი პოლიტიკოსების უმრავლესობა კატეგორიულად გამორიცხავს ღია, პირდაპირ აგრესიას საქართველოზე. მეორე მხრივ, იმის შემდეგ, რაც პუტინმა თავისი ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს შესაბამისი მითითება მისცა, რუსეთის სამხედრო მანქანა ერთბაშად ამოძრავდა საქართველოში სპეციალური ოპერაციის ჩასატარებლად.

გაგრძელება A8 გვერდზე

**დღეს, 15 საათზე, გაზეთ "24 საათის" რედაქციაში პრესკონფერენციას გამართავენ რუსი სამხედროების ტყვეობაში ნამყოფი ქართველი მეცხვარეები - დავით გიგოიძე და ილია მოზაიძე.**

დაინტერესდა თუ არა "ნესტლე" ქართული მინერალური წყლებით A4

ბაქოში სკანდალი პიკს აღწევს A4

ზოდელავას ზვიადისთვის პირობა მიუცია A6

რატომ მოხსნა თურქიაშვილმა დაცვა A7

გივი თარგამაძეს პოლიციური მეთვალყურეობა დაუწესეს A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | ☼ |
| ქუთაისი | 29 | ☁ |
| ბათუმი | 27 | ☁ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| ფოთი | 28 | ☁ |
| თელავი | 28 | ☼ |
| ზუგდიდი | 29 | ☼ |
| გორი | 26 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1829 |
| ევრო | 2.1353 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3983 |
| რუბლი | 0.0689 |

## მოსკოვი შიშობს, რომ პროდასავლური საგარეო პოლიტიკა საქართველოს წარმატებას მოუტანს

***გაზეთ "24 საათის" სტუმარია საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოური ქვეყნების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი მკვლევარი, სტენფორდისა და ბერკლის უნივერსიტეტების პროფესორი, ქალბატონი გეილ ლაპიდუსი. გთავაზობთ მასთან საუბარს.***

ჩეჩნეთი

ვფიქრობ, რომ ჩეჩნეთის მთელი კამპანია, როგორც პირველი, ისე მეორე ომი, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის ხელისუფლების შიგნით არსებულ დაპირისპირებასთან. ჩეჩნეთის კონფლიქტის გადაწყვეტის პოლიტიკური გზების უგულებელყოფა, რუსეთის ხელისუფლებაში კონსერვატული ძალების გამარჯვებაზე მეტყველებს. ეს განსაკუთრებით მეორე ომის დაწყებაზე ითქმის, რომლის საბაბიც - საცხოვრებელი კორპუსების აფეთქება, ჯერჯერობით, ბოლომდე გამოუძიებელი რჩება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „მიწა შეწუხებულია ჩვენი სულელური ენერგეტიკით"




ალისა ფრეინდლიხი თბილისელებს ოპტიმისტურად შეხვდა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## რუსეთი საქართველოს გაზის გადაკეტვით დაემუქრა

### განახორციელებს თუ არა რუსეთი საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადას?

მაია ურუშაძე

გიორგი კალანდაძე

*რუსეთის სახელმწიფო სათათბირო საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების მოთხოვნით გამოვიდა. რუსმა პარლამენტარებმა ძირითადი აქცენტი ენერგომატარებლებზე გააკეთეს, რომელთა გარეშეც მოსკოვს, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, საქართველო აქამდეც არაერთხელ დაუტოვებია.* ***"რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღების საკითხის განხილვა ნიღბის მოხსნას ნიშნავს. ახლა უკვე ცხადია, რომ რუსეთი საქართველოს მტერია",*** *- აცხადებს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტი ლადო პაპავა.* ***"რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების გატარება ბევრად უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე სამხედრო აგრესია",*** *- მიიჩნევს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. მისი თქმით, ეკონომიკური სანქციების ამოქმედებაში რუსეთს ხელს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეუშლის.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს მთავრობა პასუხისმგებლობას უფრთხის და „იტერასთან" მოლაპარაკებებს აფერხებს

მაია ურუშაძე

*პრეზიდენტის მიერ ერთი კვირის წინ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, რომ "იტერასთან" ერთობლივი საწარმო უნდა შეიქმნას, ქართულ მხარეს რუსული კომპანიისთვის შესათავაზებელი კონკრეტული წინადადებები ჯერ კიდევ არ მოუმზადებია. სამთავრობო ეშელონებში "იტერასთვის" ქართული პირობების წარდგენის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არავის სურს.*

ერთობლივი საწარმოს "იტერასეული" ვარიანტი ქართულმა მხარემ, დიდი ხანია, რაც მიიღო. ჯერი ჩვენს ხელისუფლებაზე მიდგა. ახლა საქართველოს მთავრობას უნდა დაემუშავებინა თავისი წინადადებები და, ხელშეკრულების პროექტი წარედგინა "იტერასთვის".

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B3 იუმორი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

*გარეგნულად თბილმა შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო.*

**თბილისი.** ოფიციალური თბილისი მიესალმება აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განცხადებას, რომელმაც რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს შესთავაზა, რომ **"შანსი მისცეს ქართველებს"** პანკისის ხეობაში წესრიგის დამოუკიდებლად დასამყარებლად.

აშშ აშკარად მხარს უჭერს და იწონებს პანკისის ხეობაში მიმდინარე ღონისძიებებს, რითაც **"რუსეთის "შევარდენებს", ფაქტობრივად, ამუხრუჭებს",** - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ.

მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან გამართული შეხვედრები. **პრაიმ-ნიუსი**

■■■

**თბილისი**. ნატო-ში გაწევრიანების სახელმწიფო პროგრამის შექმნაში საქართველოს დაეხმარებიან უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საბჭოს, ჯორჯ მარშალის ცენტრისა და ნატო-ს საერთაშორისო აპარატის თანამშრომლები. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ნატო-ში ინტეგრაციის პროგრამის შემმუშავებელი კომისიის პირველ სხდომაზე საგარეო უწყებამ მიიღო დავალება, ორგანიზება გაუკეთოს ამ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გამართვის მოწყობას. საგარეო საქმეთა სამინისტროს ასევე დაევალა კონსულტაციების გამართვა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის წევრი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან.

მიღებულია გადაწყვეტილება, 2002 წლის 17 სექტემბრამდე შეიქმნას სამუშაო ჯგუფი კომისიაში წარმოდგენილ უწყებათა წარმომადგენლების, სხვა შესაბამისი სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზიციებისა და მასმედიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. **კავკას-პრესი**

■■■

**თბილისი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს ამავე სოფლის მკვიდრი რამინ ჩხეტია. გატაცებას კვლავ აფხაზი ბიზნესმენის მერაბ დონლოზიას ძმას უკავშირებენ. მით უმეტეს, ერთ-ერთი ვერსიით, ჩხეტია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეში გადაიყვანეს, სადაც, სავარაუდოდ, იმყოფებიან დონლოზიას მიერ სხვა გატაცებულებიც. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა უარყო მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ასეული ჩეჩენი ბოევიკის შეჭრის შესაძლებლობის შესახებ.

**"რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ბოევიკთა არანაირი კონცენტრაცია არ შეინიშნება",** - განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, ბევრისათვის არახელსაყრელია პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარება, თუმცა, ეს პრობლემა ახლო მომავალში მოგვარდება. **პრაიმ-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** აფხაზეთის რეგიონში სიტუაციის შესაძლო გამწვავებასთან დაკავშირებით და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნაშია მოყვანილი. **"აფხაზეთის ხელისუფლება მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის 11 სექტემბრის განცხადებას. წლების განმავლობაში საქართველოში ჩეჩენი დივერსანტებისა და ტერორისტებისათვის დროებითი ბანაკები იქმნებოდა, სადაც მათ დასვენებისა და მკურნალობის საშუალება ჰქონდათ. "ბოევიკები" სამხედრო ტექნიკით მარაგდებოდნენ, რუსეთის ტერიტორიაზე გადადიოდნენ და ჩეჩნეთში სიტუაციას ართულებდნენ",** - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ.

მან საქართველოს ხელისუფლება ჩეჩენ ტერორისტთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უმოქმედობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებს შორის მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით პანკისის პრობლემა ვერ გადაწყდება.ამავე დროს, პანკისის ხეობაში საქართველოს მიერ სპეცოპერაციის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში, ჯერგენია კოდორის ხეობაში სიტუაციის გამწვავებას არ გამორიცხავს. მისი განმარტებით, საქართველოს სპეცსამსახურებმა, შესაძლოა, ჩეჩენი "ბოევიკები" კოდორის ხეობაში გადაიყვანონ, რაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, როგორც ეს 2001 წლის ოქტომბერში მოხდა.

**"აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნაშია მოყვანილი"**, - აცხადებს ჯერგენია, რომლის მტკიცებით, სოხუმის ხელისუფლება ცდილობს, პოლიტიკური "ხერხებით" საქართველოზე ზეგავლენა მოახდინოს, რათა თბილისმა **"სწორი გადაწყვეტილება მიიღოს და პანკისის პრობლემის გადასაწყვეტად რუსეთთან თანამშრომლობა გადაწყვიტოს". ინტერ-პრესი**

■■■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მიმართულება "კოდორის ხეობის" შტაბის ცნობით, აფხაზურმა მხარემ კოდორის ხეობის მისადგომებთან სამხედრო კონტინგენტი საგრძნობლად გაზარდა.

შტაბის ინფორმაციით, აფხაზურმა მხარემ კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთიდან 65 კილომეტრში მდებარე ადანგის უღელტეხილზე დესანტი ოთხი ვერტმფრენით გადასხა. სარწმუნო წყაროს ცნობით, იმავე დღეს "სუ-25" ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა, კოდორის ხეობის მისადგომების საიმედოდ ჩაკეტვის მიზნით, ადანგიდან კოდორისკენ მისასვლელი ყველა გზა და ბილიკი დაბომბეს.

50-კაციანი აფხაზური სამხედრო შენაერთი ადანგის უღელტეხილზე ქართველ სამხედროებთან 8-11 აგვისტოს მომხდარი შეტაკების შემდეგ დაბანაკდა. 13 სექტემბერს სოხუმის ხელისუფლების მიერ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჯარებში გაძლიერებული საბრძოლო მზადყოფნის გამოცხადებამდე ამ ტერიტორიაზე აფხაზი სამხედროების რაოდენობა არ გაზრდილა.

13 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძესა და სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრს ანრი ჯერგენიას შორის მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ადანგის უღელტეხილზე ერთობლივი განაღმვითი სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა. **ადანგის უღელტეხილის მიდამოებში აფხაზურმა მხარემ გუშინ გეგმიური წვრთნა ჩაატარა",** - განაცხადეს სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროში. **ინტერ-პრესი**

■■■

**ზუგდიდი**.. უზენაესმა სასამართლომ გამსვლელ სხდომაზე 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ტყიბულის ბატალიონის ყოფილ მეთაურს ვახტანგ გიორგაძეს ზუგდიდში 10 წლის წინ ჩადენილი მკვლელობისათვის. ამგვარი გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ალეკო კუპატაძემ მიიღო.

გიორგაძის პროცესი ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გიორგაძე გასამართლებულია 1992 წლის 25 თებერვალს დედის თვალწინ 25 წლის გოჩა ჯიქიას სასტიკი მკვლელობისათვის. გასამართლებული გასული წლის თებერვალში სოჭში დააკავეს, რის შემდეგაც ის ექსტრადირებული იქნა საქართველოში.

სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. **კავკას-პრესი**

■■■

**თბილისი.** როგორც "მედია-ნიუსისთვის" გახდა ცნობილი, 30 წლის ისა მურადოვი, რომელიც 13 სექტემბრის ღამით ახმეტის რაიონული საავადმყოფოდან გააპარეს, შესაძლოა, პანკისის ხეობაში, საკუთარ სახლში იმყოფებოდეს. იგი ეჭვმიტანილი ან ძებნილი არ ყოფილა, დუისის საგუშაგოზე რამდენიმე დღის წინათ მომხდარ შეტაკებას მურადოვი შემთხვევით შეესწრო და ასევე შემთხვევით დაიჭრა. ამდენად, პოლიციას მისი დაპატიმრების საფუძველი ამჟამად არ გააჩნია და, როგორც ინფორმირებული წყარო აცხადებს, მისი დაპატიმრების ოპერაციას ქართველი სამართალდამცავები არც გეგმავენ.

ამ ვერსიას ოფიციალური წყაროები ჯერჯერობით არ ადასტურებენ და აცხადებენ,რომ მურადოვს პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნდა და მისი საქმე, საბოლოოდ გარკვეული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო.

ამჟამად ახმეტის პოლიციის უფროსის მოვალეობას ავთანდილ თურქიაშვილის ნაცვლად, მისი პირველი მოადგილე ბორის ქინქლაძე ასრულებს. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლსკოვმა თხოვნით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. მას აინტერესებს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად უხიფათო იქნება ოქტომბერში რუსეთის ფეხბურთის ნაკრების გამგზავრება თბილისში, სადაც უნდა გაიმართოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუსეთსა და საქართველოს ნაკრებებს შორის.

კოლსკოვის თქმით, თუ უსაფრთხოების გარანტიები არ იქნება, იგი უეფა-ს მიმართავს თხოვნით, რათა 12 ოქტომბერს მატჩი რუსეთში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში გაიმართოს.

რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტში მხარს არ უჭერენ თამაშის სხვა ქალაქში გადატანას. რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრესატაშეს გენადი შვეცის განცხადებით, მეომარი ქვეყნების სპორტსმენებიც კი ყოველთვის მეგობრობდნენ ერთმანეთთან. **"სპორტი პოლიტიკასთან არ უნდა გავაერთიანოთ",** — თქვა შვეცმა. **მედია-ნიუსი**







გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# მოსკოვი შიშობს, რომ პროდასავლური საგარეო პოლიტიკა საქართველოს წარმატებას მოუტანს

პირველი გვერდიდან

ომის დაწყებას თან ახლდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, რათა კონტროლირებად მედიას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლად გაესაღებინა ის, რაც, თავისი არსით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტია. ამგვარი მცდელობა განსაკუთრებით გაიზარდა 11 სექტემბრის შემდეგ. პუტინი ცდილობს, დასავლეთი დაარწმუნოს, რომ კრემლი ჩეჩნეთში საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის და, აქედან გამომდინარე, ეს ომი ამერიკის ინტერესებშიც შედის. ამ მიზნით რუსეთმა მთელი ჩეჩენი ხალხი ტერორისტებად გამოაცხადა. რასაკვირველია, იქ არიან ექსტრემისტებიცა და ტერორისტებიც, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მებრძოლების უმრავლესობას ტერორიზმთან საერთო არაფერი აქვს. მთელი ერის ტერორისტად წარმოჩენის მცდელობა სრულიად მიუღებელია სხვა ქვეყნებისათვის.

ასევე მიუღებელია ამგვარ "ტერორიზმთან" ბრძოლის მეთოდებიც. თუ რუსებს მართლაც სჯერათ, რომ ჩეჩნეთი რუსეთის ნაწილია, მაშინ მათ უნდა დაარწმუნონ ჩეჩენი ხალხი, რომ რუსეთში ცხოვრება მათთვისაც ხელსაყრელია. ტერიტორიის განადგურებისა და საკუთარ მოქალაქეთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გზით კი ამის მიღწევა შეუძლებელია.

ამ ომს უაღრესად ნეგატიური შედეგები აქვს თავად რუსეთში დემოკრატიის განვითარებისთვისაც. ომის შედეგად რუსეთში სიტყვის თავისუფლება უაღრესად შეიზღუდა. ჩემი აზრით, ომმა, აგრეთვე, რუსეთის მოსახლეობის ნაწილში ადამიანურობის დაკარგვაც გამოიწვია.

მიმდინარე კამპანიისას მოსახლეობის აქტივობა ძალზე დაბალია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხალხს მობეზრდა ომი და სისხლისღვრა, მაგრამ პროტესტს თითქმის არავინ აცხადებს. იმ არაადამიანური მეთოდების წინააღმდეგაც ძალზე ცოტა თუ გამოდის, რასაც რუსეთის არმია იყენებს ჩეჩნეთში. ამ ფაქტორებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო რუსეთში პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვას.

ბოლო წლებში რუსეთის მოსახლეობა უაღრესად პასიური გახდა. ეს განსაკუთრებით აშკარად საქართველოსთან შედარებით ჩანს, სადაც, უამრავი პრობლემის მიუხედავად, საზოგადოება უფრო ღია და პლურალისტულია, მასმედიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

## რუსეთის ხელისუფლება

პუტინის ადმინისტრაცია წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური ძალების ძალზე საინტერესო კოალიციას, რომელთა შორისაც წონასწორობის მიღწევა ურთულესი საქმეა. მთავრობის ეკონომიკური გუნდი, ძირითადად, ლიბერალური, თავისუფალი ბაზრის მომხრე ეკონომისტებისაგან შედგება, რომლებიც ეკონომიკურ რეფორმას აგრძელებენ და ნაბიჯ-ნაბიჯ შესაბამის საკანონმდებლო ბაზასაც ქმნიან.

მეორე ჯგუფი - ეს პუტინის კოლეგებია უშიშროების სამსახურებიდან. ბოლო დროს სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე, განსაკუთრებით, ახლადშექმნილ ფედერალურ ოლქებში, უამრავი ხალხი ინიშნება ძალოვანი სამინისტროებიდან. ამ ხალხს კი თან მოაქვს მართვის საკუთარი სტილი და მსოფლმხედველობა, რაც პლურალიზმსა და დემოკრატიას ხელს არ უწყობს.

და მესამე გუნდი - ეს არის სანკტ-პეტერბურგიდან წამოსული ხალხი.

ბოლო ორი ჯგუფის მიზანი სახელმწიფოს გაძლიერებაა, რაც, მათი აზრით, პირდაპირ კავშირშია ცენტრალიზებასთან და, ასევე, უკავშირდება ეკონომიკური, პოლიტიკური და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. ვფიქრობ, პლურალიზმი ელცინის დროს გაცილებით მეტი იყო.

## დასავლეთი და რუსეთი

ვფიქრობ, პუტინს ესმის, რომ რუსეთის ბედი პირდაპირაა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარებასა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრაზე. ეს, ფაქტობრივად, ქვეყნის მთელი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას გულისხმობს. საუბარია, პირველ რიგში, სამრეწველო და ენერგეტიკული კომპლექსების აღდგენაზე. აშკარაა, რომ რუსეთში ამისათვის საშინაო კაპიტალი ჯერჯერობით არ არსებობს და დასავლური ინვესტიციების მოზიდვაა აუცილებელი. პუტინს ესმის, რომ, თუ მისი ქვეყანა დასავლეთისადმი და, განსაკუთრებით, აშშ-სადმი არამეგობრულად იქნება განწყობილი, იგი ინვესტიციებს ვერ მიიღებს. მისი პროდასავლური პოლიტიკისა და აშშ-სთან დაახლოების მცდელობის უკან სწორედ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებისა და ინვესტიციების მოზიდვის სურვილი ჩანს.

პუტინს ჰგონია, რომ შეძლებს ერთდროულად დასავლეთთან დაახლოებასა და თავისი ქვეყნის ამგვარი, მეტ-ნაკლებად ავტორიტარული სტილით მართვას. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი საგარეო პოლიტიკა პრინციპულად განსხვავდება პრიმაკოვის მიდგომისაგან, რომელიც დროგამოშვებით ცდილობდა ინდოეთთან, ჩინეთთან, ირანთან კავშირების შეკვრას. პუტინი სწრაფად მიხვდა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა. ამიტომ, დასავლეთთან დაახლოებას მისთვის ალტერნატივა არ გააჩნდა. მას იმედი ჰქონდა, რომ სანაცვლოდ, დასავლეთი გაგებით მოეკიდებოდა მის საშინაო პოლიტიკურ პრობლემებს.

მაგრამ რუსეთის ურთიერთობები ერაყთან და ირანთან, განსაკუთრებით, თეირანთან ატომურ ენერგეტიკაში თანამშრომლობა, ძნელად თავსებადია დასავლეთთან თანამშრომლობასთან. ამ შემთხვევებში, პუტინი ცდილობს, თვითონ გაექცეს პასუხისმგებლობას და ხელი თავის მინისტრებს შეახოცოს.



გეილ ლაპიდუსი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## პუტინის ულტიმატუმი

მე ვფიქრობ, რომ ეს იყო არა მხოლოდ ძალზე აგრესიული ნაბიჯი, არამედ წარმოუდგენლად ცუდად მოფიქრებულიც, თუ, საერთოდ, ვინმემ იფიქრა ამაზე. დროის შერჩევაც ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ. პუტინს სურდა, ამერიკელებისათვის დაემტკიცებინა, რომ ჩეჩნებს "ალ ქაიდასთან" პირდაპირი კავშირი აქვთ და ამიტომ ისინი ამერიკის მტრებიც არიან. ამავე დროს, კრემლს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ამ, რუსული გაგებით, "ბოროტების ღერძში" საქართველოც შედის, რადგან ის ჩეჩნებს იფარავს. თუმცა, ის არგუმენტები, რითიც რუსეთი ამის დამტკიცებას ცდილობდა, ძალზე არადამაჯერებელია. საქართველოს რაიმე კავშირი "ალ ქაიდასთან" ძალზე საეჭვოა, რადგან ეს ქვეყანა ანტიტერორისტული კოალიციის მნიშვნელოვანი წევრია.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ პუტინის განცხადება მიზნად ისახავდა ანტიტერორისტულ კოალიციაში ბზარის შეტანას, რაც, თავის მხრივ, ამ კოალიციისთვის მრავალ პრობლემას წარმოშობს.

## მიზეზები

ქართველებს შეხსენება არ სჭირდებათ, რომ რუს სამხედროებში დიდი ხანია, არსებობს ზიზღი შევარდნაძის მიმართ. არის საქართველოთი გაღიზიანების სხვა მიზეზებიც. ეს ქვეყანა უარს ამბობს, იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მორჩილი წევრი; ამის ნაცვლად, ცდილობს, ევროპაში ინტეგრაციის მიმართულებით წავიდეს. ამას კი რუსეთი რეგიონში გავლენის დაკარგვის საფრთხედ აღიქვამს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ენერგეტიკული დერეფნის თემაც. რუსეთი რეგიონში ენერგომატარებელების მონოპოლიას კარგავს, რაც მისთვის საკმაოდ მტკივნეულია.

არის კიდევ ერთი გარემოებაც. მოსკოვი შიშობს, რომ, თუ პროდასავლური საგარეო პოლიტიკა საქართველოს წარმატებას მოუტანს, მაშინ სხვა ქვეყნებიც შეეცდებიან, მიბაძონ თბილისს, რაც რუსეთის გავლენას კიდევ უფრო შეამცირებს.

ასე რომ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამოსწორება მხოლოდ რუსეთის მხრიდან მიდგომის შეცვლითაა შესაძლებელი. რაც არ უნდა დიდი იყოს ქართული მხრიდან თანამშრომლობის სურვილი, მთავარი მაინც მოსკოვის მიერ დაკავებული პოზიციაა.

## დასავლეთი და საქართველო

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ნაწილობრივ ხსნის საქართველოსადმი დასავლეთის მხარდაჭერას. თუმცა, არის სხვა მიზეზებიც. პირველ რიგში, ე.წ. "შევარდნაძის ფაქტორი". შევარდნაძემ უზარმაზარი როლი ითამაშა იმაში, რომ ცივი ომი ასე მშვიდობიანად და, შეიძლება ითქვას, ორივე მხარისათვის ხელსაყრელად დამთავრდა. ცივი ომის დასრულებამ მოხსნა მსოფლიო ბირთვული კატასტროფის საფრთხე, გამოათავისუფლა უზარმაზარი რესურსები, რომლებიც ადრე სამხედრო მიზნებით იხარჯებოდა. ვფიქრობ, თავად რუსეთმაც უნდა დააფასოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი ამგვარად დაიშალა. სხვა სცენარები მისთვის უარესი იქნებოდა.

და მეორეც, საქართველომ მართლა სერიოზულად სცადა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის აშენება, უამრავი შემზღუდველი ფაქტორისა და არახელსაყრელი პირობების მიუხედავად. ამ ქვეყანაში არსებობს თავისუფლებისა და პლურალიზმის ის დონე, რასაც ბევრ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში ვერ ნახავთ. პიროვნულად, კულტურულად, ადამიანურად ქართველები და ამერიკელები კარგად ეწყობიან ერთმანეთს. ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში საქართველო ამერიკელებისთვის იყო საყვარელი ადგილი საბჭოთა კავშირში. ამის გარდა, არის ეკონომიკური, გეოსტრატეგიული და სხვა ფაქტორები.

## საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა

საქართველო ძალზე რთულ და მნიშვნელოვან რეგიონში მდებარეობს. იგი არის სხვადასხვა ცივილიზაციების გადაკვეთის ადგილი და ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. აქ გადის სავაჭრო გზები. იგი ესაზღვრება რეგიონის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებს. მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთთან, თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან ურთიერთობების თვალსაზრისით. საქართველო არის ის ქვეყანა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ჰანტინგტონის ცივილიზაციათა და რელიგიათა შეჯახების კონცეფცია მცდარია. ეს არის მართლმადიდებლური ქვეყანა, რომელსაც შესანიშნავი ურთიერთობები აქვს მუსულმანურ ქვეყნებთან და, თანაც, იგი ერთმანეთთან აკავშირებს, და არ ყოფს, ცივილიზაციებს. იგი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს სარგებლობდა რეპუტაციით, როგორც ერთადერთი ქვეყანა, სადაც არ იყო ანტისემიტიზმი. ასე რომ, საქართველოს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას განაპირობებს მისი ადგილმდებარეობა და მეგობრული ურთიერთობები სხვადასხვა ცივილიზაციებთან. აქ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაწყებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები იქცა უმთავრეს დაბრკოლებად ამ ქვეყნისათვის, რომელსაც ჩვენ, ყველანი, ნათელ მომავალს ვუწინასწარმეტყველებდით.

## საბჭოთა კავშირის დაშლა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები

ნაციონალიზმმა ძალზე მნიშვნელოვანი, თუმცა, ჯერაც ბოლომდე უცნობი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაში. საერთოდ, ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო როგორც ბალტიის ქვეყნებში დაწყებული ეროვნული მობილიზაციის პროცესები, ისე ჩერნობილის კატასტროფაც, რამაც დიდი გავლენა იქონია მაშინდელ აზროვნებაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, ასევე, საბჭოთა არმიის მიერ ბაქოში, ვილნიუსსა და თბილისში მოწყობილი სასაკლაოები. ვფიქრობ, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანად დაშლა, მნიშვნელოვანწილად, ელცინის დამსახურებაა. რუსეთმა მხარი დაუჭირა ლიბერალურ ნაციონალიზმსა და ეროვნულ მოძრაობებს სხვა რესპუბლიკებში. იგი არ გამოვიდა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრედ. შეადარეთ საბჭოთა კავშირის დაშლა იუგოსლავიის დაშლას და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ელცინის ადგილას მილოშევიჩი რომ ყოფილიყო. გარდა ამისა, ბელოვეჟის შეთანხმებამ, რომელიც საიდუმლო ვითარებაში და სწრაფად დაიდო (და რომელმაც რესპუბლიკებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებები და ურთიერთპრეტენზიების წაყენება ზედმეტი გახადა და, ფაქტობრივად, არსებული საზღვრებიც დააკანონა), ამ ქვეყნებს ქაოსი აარიდა თავიდან.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, დასავლეთში მეცნიერთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ახალი ქვეყნები, მათ შორის, ბალტიის რესპუბლიკები, არ იქნებოდნენ სიცოცხლისუნარიანნი და ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად. ეს სახელმწიფო მაინც პროგნოზირებადი ტერიტორიული და გეოპოლიტიკური ერთეული იყო, მის ადგილას ვაკუუმის წარმოქმნისა კი ყველას ეშინოდა. შესაძლო საფრთხეები მდგომარეობდა რუსული შოვინიზმისა და ნაციონალიზმის აღმავლობაში, მასობრივ სისხლის ღვრასა და ლტოლვილთა დიდ ნაკადებში.

შემდგომში განვითარებული კონფლიქტები, ვფიქრობ, იყო ეთნოპოლიტიკური და არა - ეთნიკური ხასიათის. ისინი ძალაუფლებისთვის ბრძოლას წარმოადგენდა. მიმდინარე რადიკალური ცვლილებები და შიში გაურკვეველი მომავლის წინაშე - ის ფაქტორები გახლდათ, რამაც ამ კონფლიქტებში კატალიზატორის როლი შეასრულა. საბჭოთა კავშირის დაშლამ ავტონომიების ლიდერებს იმედი ჩაუსახა, ეცადათ იმის მოპოვება, რაც არასდროს ჰქონიათ.

და რაც ძალზე თვალში საცემია: ყველა ეთნიკური კონფლიქტი ყოფილ საბჭოთა კავშირში ყოფილ ავტონომიებში წარმოიშვა.

## ავტონომიები

მე მგონი, საფრთხეს შეიცავს არა ტერიტორიული მოწყობის მოდელი, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უნდა უზრუნველყოს, არამედ - ის, თუ ვისი ინტერესებით იმართება მომავალში ეს ავტონომიები. დღეს არც აფხაზეთი და არც აჭარა არ იმართება მისი მოქალაქეების მიერ და მათი ინტერესების შესაბამისად. ამიტომაც, პრობლემა ისაა, რომ არასწორი ერთეულები შეიქმნა და არა ის, რომ მათ გარკვეული ავტონომია აქვთ. თავისთავად ავტონომიები და ფედერალიზმი აპრობირებული მოდელებია. მთავარი ის არის, როგორ გადავიდეთ ახალ მოდელზე არსებული მოდელიდან, რომელიც გულისხმობს მეზობელი ქვეყნების მიერ კონტროლირებად, კერძო ინტერესებით მართულ სუბიექტებს.

## ტრანსფორმაცია

როცა რეგიონში მოგზაურობ, პირდაპირ თვალში საცემია, რაოდენ გავლენას ახდენს საბჭოთა მემკვიდრეობა. განწყობები, აზროვნების მანერა, ქცევის ნორმები – ძირითადად, საბჭოთაა. ამის შეცვლას დიდი დრო დასჭირდება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ინსტიტუციური მემკვიდრეობა და ეკონომიკური მოწყობა. ამ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ეკონომიკურ კოლაფსს ბევრი საბჭოთა კავშირის დაშლასა და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას მიაწერს. რეალურად, კრიზისის მიზეზი ამ ეკონომიკის სუბიექტების ირაციონალიზმი იყო. ისინი არავის სჭირდება, რადგან უფრო მეტ რესურსებს შთანთქავენ, ვიდრე აწარმოებენ.

ცვლილება მაინც არის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობაში. ისინი დიდად განსხვავდებიან წინა თაობებისაგან. მაგრამ პროცესი საოცრად მტკივნეულია და ინერციული.

რეგიონი ღიაა მსოფლიოსთვის, ახალი იდეებისათვის. ეს კი იმედს ბადებს. გარდა ამისა, ქვეყნებს მიეცათ საშუალება, აერჩიათ განვითარების საკუთარი გზა. თუ შუა აზიამ ორიენტაცია მეზობელი ქვეყნებისკენ აიღო, საქართველომ გადაწყვიტა, რომ იგი გეოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპული ქვეყანაა.

დასავლეთში ბევრს იმედი გაუცრუვდა იმის გამო, რომ საქართველომ ვერ შეძლო იმის მიღწევა, რისი პოტენციალიც ჰქონდა და რა იმედებსაც მასზე ამყარებდნენ. შევარდნაძემ, ძალზე არახელსაყრელ პირობებში, შესანიშნავად წარმართა საგარეო პოლიტიკა, თუმცა, ქვეყნის შიგნით იმავეს გაკეთება ვერ შეძლო. ეს, განსაკუთრებით, კორუფციასთან დაკავშირებით ითქმის. უცხოელისთვის ძნელია, ზუსტად განსაზღვროს, ინსტიტუტების სისუსტის პირობებში, რა როლს ასრულებს მაღალ ეშელონებში კორუფცია, ხელისუფლებისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფაში. არადა, ეს ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, და არა მარტო მათთვის. კორუფცია პოლიტიკური წონასწორობის შემადგენელ კომპონენტად იქცა, თუმცა, ძნელი სათქმელია, რა ხარისხით.

განსაკუთრებით მაშფოთებს ის, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს, ზუსტად განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები და პრობლემების დაძლევის სტრატეგია. ნომერი პირველი პრობლემა, ჩემი აზრით, ენერგეტიკაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა. სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლება უფრო პატრონაჟის სისტემასა და პირად კავშირებს ეყრდნობა, ვიდრე ინსტიტუტებს. უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა სწორედ ამას მოწმობს.

*ესაუბრა შოთა უტიაშვილი*

# გეოპოლიტიკა რუსულად, ანუ "დურაჩკა" პრეფერანსის მაგიდასთან

სერგეი აგაფონოვი
„ნოვაია იზვესტია"

პატარა ძლევამოსილ ომში დავმარცხდით, ისე, რომ არც დაგვიწყია. 11 სექტემბერს, სოჭის ინტერიერში რუსეთის პრეზიდენტის მიერ ეფექტურად დეკლამირებული ულტიმატუმი საქართველოს მიმართ, კოლოსალური კონფუზით შემოგვიტრიალდა.

გამოირკვა, რომ მოსკოვური გათვლები საქართველოს მთებში იოლი და სწრაფი გამარჯვების თაობაზე, დიდი პოლიტიკის საკითხებში უვიცმა და უიმედოდ უნიჭო ადამიანებმა შეადგინეს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ისინი პრეფერანსის მაგიდას ისე მიუსხდნენ, თითქოს ჩვეულებრივი "დურაჩკას" სათამაშოდ მიიწვიეს, აქედან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით.

მიმნდობი და შთაბეჭდილებების მოყვარული სამამულო პუბლიკა ასეთს ნამდვილად არ ელოდა. ყველაფერი გააზრებული იყო და ლამაზადაც შემოგვიგდეს: რამდენიმეთვიანი პროპაგანდისტული არტმომზადება; პარლამენტის ქვედა პალატის დახურული სხდომა, რომელზეც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა დეპუტატებს, არც მეტი, არც ნაკლები, კოსმოსიდან გადაღებული ფოტოებიც კი აჩვენა; ულტიმატუმის წინ, მედიაში ლაკონურად გაჟონილი ინფორმაცია ბუშისა და პუტინის სატელეფონო საუბრის შესახებ და ბოლოს, 11 სექტემბრის წლისთავს დამთხვეული ულტიმატუმი, რომლის წარმოთქმისას რუსეთის პრეზიდენტი "პატარა ბუშად" გამოიყურებოდა. ყველაფერი ეს, მთლიანობაში, ზუსტად აწონ-დაწონილი და წაუგებელი პოლიტიკური კომბინაციის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელშიც ყოველი ნაბიჯი შეესაბამებოდა არა მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს, არამედ შეთანხმებულიც იყო ანტიტერორისტული კოალიციის პარტნიორებთან.

სამწუხაროდ, ყველაფერი გამოვიდა ისე, როგორც ყოველთვის: თბილისში არავინ შეშინებულა, რუსეთში კი, ავტორიტეტული ექსპერტები, მათ შორის, საჰაერო-სადესანტო ჯარების ყოფილი მეთაური, გამოტყდნენ, რომ რუსეთს საქართველოს მთებსა და ხეობებში სპეცოპერაციების ჩატარების არც ძალა და არც ფინანსები დღეისთვის არა აქვს; მთავარი "ბიშტი" კი ამერიკელებმა გვიჩვენეს.

11 სექტემბრის სამგლოვიარო ღონისძიებების გამო წარმოქმნილი მცირე პაუზის შემდეგ, ვაშინგტონმა ანტიტერორისტულ კოალიციაში ოდნავ წამოყელყელავებულ პარტნიორს სრული პროგრამით წაუთაქა: სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მკაცრი განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკა არ დაუშვებს რუსეთის სამხედრო ჩარევას საქართველოში; ხოლო ნიუ-იორკში, თბილისთან სოლიდარობის ნიშნად, ამერიკის პრეზიდენტისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დაუგეგმავი შეხვედრაც კი გაიმართა; მსოფლიო თანამეგობრობას პოპულარულ ენაზე აუხსნეს, რომ ულტიმატუმის წინა დღეს პუტინისა და ბუშის სატელეფონო კონტაქტი, არანაირად არ შეხებია ქართულ სიუჟეტს; რუსეთის დედაქალაქში მყოფმა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ საერთოდ გამორიცხა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის რაიმე საგარეოპოლიტიკური "გაცვლის" შესაძლებლობა. და ბოლოს, ამერიკისგან სრულიად გამჭვირვალე მინიშნება იყო რამდენიმე რუსული იარაღით მოვაჭრე კომპანიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღება.

ძალიან არასასიამოვნოა, გააცნობიერო, რომ საყვარელი სამშობლოს ხელმძღვანელმა საქვეყნოდ მოიჭრა თავი – ძალაუნებურად გიჩნდება შეგრძნება, რომ შენც იგივე დაგემართა, რაც ძლიერ დისკომფორტს გიქმნის. მაგრამ, ზუსტად ასე მოხდა და ახლა მთელი სიმწვავით დგას საკითხი, როგორ გამოვიდეთ ამ მართლაც ყოვლად მიუღებელი სიტუაციიდან.

რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი სტრატეგები, მოსალოდნელი გეოპოლიტიკური შედეგების სერიოზული ანალიზის ნაცვლად, სიბრიყვესთან წილნაყარი არაპროფესიონალის თავხედობით აგრძელებენ "დურაჩკას" თამაშს პრეფერანსის მაგიდასთან.

სამამულო სპეცსამსახურებმა, რაღაც მონაცემებზე დაყრდნობით, კვლავ გამოაცხადეს, რომ, პანკისის ხეობაში კომპაქტურად შეგროვდნენ ბოევიკები; გენპროკურორის მოადგილე ფრიდინსკიმ აღნიშნა, რომ 400-კაციან რაზმს არაბები ავარჯიშებენ; ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სახალინიდან იმუქრება, რომ საქართველოს "პრობლემის" გადასაჭრელად ყველა ძალასა და საშუალებას გამოიყენებს; ხოლო პუტინის თანაშემწემ საერთაშორისო საკითხებში პრიხოდკომ, საქართველოს ხელისუფლებას დასწამა, რომ იგი, საკუთარი შიდაპოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად, რუსეთისგან საგარეო მტრის ხატს შეგნებულად ქმნის (!).

ალბათ, შესაძლებელია, დაეთანხმო მათ, ვინც ფიქრობს, რომ ამ სიტუაციაში, რუსეთის ხელისუფლებისა და პუტინისთვის "სახის შენარჩუნება" ადვილი არ იქნება. მაგრამ შეუძლებელია, დაეთანხმო უბედური რუსეთის მორიგ კავკასიურ ავანტიურაში ჩათრევას კრემლის "დაკარგული" სახის გადასარჩენად,.

პუტინის რეპუტაცია ნამდვილად არ ღირს საქართველოს საძოვრებისა და ხეობების დემონსტრაციულ დაბომბვებად. თანაც, დაკნინებული რეპუტაცია, უფრო ნაკლები ეღირება, თუ ეს ყველაფერი მაინც მოხდა.

ნუთუ არავის შეუძლია, ეს რუსეთის პრეზიდენტს უთხრას?

# რას იზამს საქართველო, როცა ვალის გადახდის დრო მოვა

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

დღეს ბევრს კამათობენ იმაზე, შეეძლო თუ არა საქართველოს ხელისუფლებას, არ დაეშვა შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლების მასობრივი შემოსვლა პანკისის ხეობაში, თუ ეს იყო გარკვეული წრეების შეგნებული ნაბიჯი, რათა უცხო ძალის გამოყენებით საქართველოს შიგნით კიდევ ერთხელ მომხდარიყო სიტუაციის დესტაბილიზება?

თუ გავიხსენებთ შარშანდელ აგვისტო-სექტემბერში ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევისა და მისი რაზმის მოულოდნელ გამოჩენას კოდორის ხეობაში, საკითხის ასე დასმა სავსებით ლოგიკური ჩანს. მით უფრო, რომ სწორედ ამ ოპერაციის შემდეგ დაემუქრა საქართველოს კოდორის ხეობის დაკარგვის რეალური საფრთხე.

საქართველოს ხელისუფლება კი მანამდე განაგრძობდა "სირაქლემას პოზაში" ყოფნას, სანამ დიპლომატიური არხებით ვაშინგტონიდან არ მიიღო საკმაოდ მკაფიო სიგნალი, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: "ელოდეთ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის გამოჩენას." მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ხსნა ისევ ვაშინგტონიდან მოვიდა. 11 სექტემბრის საზარელი ტერორისტული აქტის შემდეგ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები ჩაუდგა. მსოფლიოს ზესახელმწიფოსთვის კი ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნებისმიერი, მათ შორის, ტერორიზმის ვირუსით დაუძლურებული ისეთი ქვეყნის თანადგომა, როგორიც საქართველო გახლავთ.

**"მე სავსებით გულახდილად ვისაუბრე ბატონ სახელმწიფოს მდივანთან იმის თაობაზე, რომ საქართველოში სერიოზული პრობლემებია, მათ შორის, ტერორისტული ჯგუფების არსებობასთან დაკავშირებულიც. ამავე დროს აქ მიმდინარეობს სერიოზული ბრძოლა და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩვენი ამერიკელი კოლეგები მეთოდოლოგიურ და სხვა პირდაპირ დახმარებას გაგვიწევენ," -** განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა 15 დეკემბერს აშშ-ს თავდაცვის სახელმწიფო მდივანთან დონალდ რამსფელდთან შეხვედრის დროს.

საქართველოს პრეზიდენტი ერთ-ერთი პირველი ლიდერი იყო, ვინც ამერიკასა და მის მოკავშირეებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და ანტიტერორისტულ ბრძოლაში საკუთარი ქვეყნის სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენებაც შესთავაზა. ეს შეთავაზება ვაშინგტონმა მხოლოდ ცნობად მიიღო, სამაგიეროდ კი, საქართველოს ხელისუფლებას ანტიტერორისტული ქვედანაყოფების გაწვრთნას დაჰპირდა და 64 მილიონი დოლარიც გამონახა "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დასაფინანსებლად.

ასე გადაიქცა ქვეყანაში ტერორისტების ყოფნა ერთგვარ მაშველ რგოლად და საქართველოს ხელისუფლებამაც, რომელიც აქამდე უარყოფდა ჩვენს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული მოქალაქეების არსებობას, ღიად აღიარა ეს ფაქტი. მოგვიანებით კი ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციაც წამოიწყო საშიში სტუმრების გასადევნად.

ექსპერტების შეფასებით, ეს ყველაფერი რაღაცით აზარტულ თამაშსაც კი დაემსგავსა.

მაგრამ 11 სექტემბრის წლისთავზე საქართველოს ხელისუფლება უკვე იწყებს ფიქრს იმაზე, რომ მას, ადრე თუ გვიან, მოუწევს რეალური საზღაურის გადახდა ამ დახმარების სანაცვლოდ. თუნდაც იმით, რომ, საჭირო შემთხვევაში, მართლა მოუწევს, დაუთმოს სამხედრო აეროდრომები თუ ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები მოკავშირეთა სამხედრო ძალებს. მაგრამ დარჩება თუ არა ძალაში საქართველოს ხელისუფლების ეს პირობა მაშინ, თუკი ქართული აეროდრომები ამერიკას ერაყის დასაბომბად დასჭირდება?

და ეს არ გახლავთ მხოლოდ რიტორიკული შეკითხვა. მასზე პირველი კომენტარები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე გააკეთეს და ისინი, პრესაში გაჩენილი ინფორმაციების მიხედვით, კვლავაც ურთიერთგამომრიცხავი აღმოჩნდა. ასე მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ **"ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, საქართველო, როგორც ანტიტერორისტული კოალიციის ერთგული წევრი, მზად არის, თავისი საერთაშორისო ვალდებულებები შეასრულოს."** საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი კი აშკარად გაორებული ჩანს და აცხადებს: **"როგორც მოქალაქე, წინააღმდეგი ვიქნები, საქართველომ ერაყის წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციაში მიიღოს მონაწილეობა."**

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც პასუხების მუშა ვარიანტებია და არა საქართველოს პრინციპული პოზიცია, რომელიც, როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის მომხრეებს უყვართ გამეორება, მხოლოდ მაშინ ხდება საცნაური, როდესაც თორმეტ საათს 15 წუთი უკლია.

### ბიზნესის ამბები

## ავსტრია „მიგებს„ ყიდულობს?

ავსტრიამ, შესაძლოა, უარი თქვას Eurofighter-ის 18 გამანადგურებლის შესყიდვასა და 1,8 მილიარდ ევროს გადახდაზე. მის ნაცვლად კი იყიდოს 30 "მიგ-29", რომლითაც რუსეთი ავსტრიის წინაშე არსებული სახელმწიფო ვალის ნაწილს გაქვითავს.

როგორც "ენტევე.რუ" იუწყება, რამდენიმე დღის წინათ ავსტრიის თავდაცვის მინისტრმა ჰერბერტ შაიბნერმა წერილი მიიღო რუსეთის მთავრობისგან, რომლის მიხედვითაც რუსეთი მზადაა, ავსტრიას მიაწოდოს 30 თანამედროვე ავიაგამანადგურებელი "მიგ-29". თანხმობის შემთხვევაში, რუსები ავსტრიის მხარეს შეკვეთას 24-48 თვეში შეუსრულებენ.

## შვიდ თვეში 70 მილიონი დოლარი?

მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე ყირგიზეთის ეკონომიკაში 70 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, - იუწყება სააგენტო "ნოვოსტი".

ყირგიზეთის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ინფორმაციით, ყველაზე მსხვილი ინვესტიცია განხორციელდა განათლების სფეროში (6,95 მილიონი დოლარი), კვების მრეწველობაში (5,75 მილიონი დოლარი), ჯანდაცვასა (1,7 მილიონი დოლარი) და საშენი მასალების მრეწველობაში (1,3 მილიონი დოლარი).

## დაინტერესდა თუ არა „ნესტლე" ქართული მინერალური წყლებით

თორნიკე შარაშენიძე

*შვეიცარული "ნესტლეს" სახელმა ამ რამდენიმე ხნის წინ ერთობ დამაინტრიგებლად გაიელვა ქართულ მასმედიაში, როცა გავრცელდა ხმები, რომ კომპანია ერთ-ერთი ცნობილი ქართული მინერალური წყლით დაინტერესდა. თუმცა, ხმები ხმებად დარჩა, რადგან გარიგება არ შედგა. "ნესტლეს" წარმომადგენლობამ საქართველოში ამ საკითხზე კომენტარს თავი აარიდა და მხოლოდ ის განაცხადა, რომ კომპანიამ ის-ის იყო, რუსული მინერალური წყლების ფირმა "სვიატიე ისტოჩნიკი" შეისყიდა და მისთვის სხვა წყლით დაინტერესება ნაკლებ აქტუალური გახდა. თუმცა, თუკი "ნესტლეს" ტრადიციულ ექსპანსიურ პოლიტიკას გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რომ შვეიცარიული გიგანტი მალე ისევ დაინტერესდეს ქართული მინერალური წყლით.*

"ნესტლე" გიგანტია და იგი ამ ცნებისათვის საჭირო ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მას ეკუთვნის მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სავაჭრო ნიშნების მთელი სერია – ყველაზე პოპულარული ხსნადი ყავა "ნესკაფე"; "პერიესა" და "ვიტელის" მინერალური წყლები; "კიტკეტის" შოკოლადი; "ფრისკის" საკვები ცხოველთათვის. კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია 86 მილიარდ დოლარს შეადგენს და, ამ მხრივ, კონკურენტები მასთან ახლოსაც ვერ მივლენ. წელს "ნესტლეს" გაყიდვები 50 მილიარდ დოლარზე ავა, წმინდა მოგება კი 5,5 მილიარდი დოლარი იქნება.

ამ შთამბეჭდავი ციფრებისაკენ კომპანია დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა. 1985 წლიდან 2000 წლამდე "ნესტლემ" 26 მილიარდი დოლარი დახარჯა შედარებით მომცრო ფირმების შესყიდვაზე. ეს, ცხადია, უზარმაზარი თანხაა, მაგრამ ბოლო ხანებში კომპანია შესყიდვებს კიდევ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს. მხოლოდ 2000 წლიდან მოყოლებული დღემდე, გაფართოების მიზნით, 18 მილიარდი დოლარი იქნა გაღებული. მაგრამ გიგანტი ამაზე გაჩერებას არ აპირებს და ახლო მომავალში მისგან ახალ შენაძენებსა და შემდგომ ზრდას უნდა ველოდოთ. კერძოდ, "ნესტლე" უმიზნებს საღეჭი რეზინისა და ტკბილეულობის მწარმოებელ "ადამსს" (იგი ხუთი მილიარდი დოლარი დაუჯდება) და შოკოლადის უმსხვილეს მწარმოებელს - "ჰერში ფუდს" (12 მილიარდი დოლარი).

გაფართოებებისა და შესყიდვების ასეთ აგრესიულ პოლიტიკას ბევრი დიდი კომპანიისათვის გამოუყვანია წირვა. საამისო მაგალითად "ვივენდიც" იკმარებს, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში დიდი სისწრაფით ფართოვდებოდა და ბოლო შენაძენი - ჰოლივუდის სტუდია "იუნივერსალი" ველარ მოინელა, რის შედეგადაც ახლა კომპანია დაშლის პირას დგას. მაგრამ "ნესტლეს" მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი პეტერ ბრაბეკი ამგვარ მაგალითებს სულაც არ დაუფრთხია. **"შესყიდვები ყოველთვის იყო ჩვენი სტრატეგიის განუყოფელი და უმთავრესი ნაწილი,"** - აღნიშნავს ის და სიამაყით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 1985 წელს "ქერნაშენის" შესყიდვა ყველაზე მსხვილი გარიგება იყო არასანავთობო ბაზარზე. ბრაბეკი არ მალავს, რომ "ნესტლე" ყოველთვის ოპორტუნისტი გახლდათ და ყოველთვის ახერხებდა დაესწრო სხვებისათვის, როცა რომელიმე კომპანია ვალებში ვარდებოდა და დღის წესრიგში მისი გაყიდვის საკითხი დგებოდა. ასეთ დროს "ნესტლე" პირველი იყო და როგორღაც მუდამ ახერხებდა კონკურენტებისათვის ხელიდან გამოეცალა გემრიელი ლუკმა.

"ნესტლეს" შემოსავლის უმთავრეს წყაროს ყავა შეადგენს, რომელზეც მოგებათა 40 პროცენტი მოდის. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ კომპანიამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს თავისი პოზიციები ამ ბაზარზე და ნაკლები რესურსები გაიღოს სხვა სფეროებში. მაგრამ ბრაბეკი ასე არ ფიქრობს – მისი თაოსნობით გიგანტური ნაბიჯები იქნა გადადგმული მინერალური წყლების, ცხოველთა საკვებისა და ნაყინის ბაზარზე. შედეგად, პირველ ორ სფეროში შვეიცარიული კომპანია უკვე ლიდერობს. რაც შეეხება ნაყინს, აქ "ნესტლეს" კონკურენციას მხოლოდ "უნილევერი" უწევს. მაგრამ თუკი შვეიცარიელებმა ამ ბაზარზეც ძველი ტემპით განაგრძეს გაფართოება, მასაც უკან ჩამოიტოვებენ.

ცხადია, შენაძენები მტკივნეულად მოქმედებს მოგებებზე. მაგრამ მათ პარალელურად ბრაბეკი ხარჯშემცირებებსაც ეწევა. კერძოდ, 1997 წლიდან მოყოლებული კომპანიამ 114 საწარმო დახურა, რითაც 2,5 მილიარდი დოლარი იქნა დაზოგილი. მომავალი ოთხი წლისათვის კიდევ 3,5 მილიარდი დოლარის დაზოგვაა დაგეგმილი. თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ ეს ამოღებული თანხები ხარჯების დაფარვაზე წავა – ისინი, უპირველესად, რეკლამასა და პრომოუშენზე დაიხარჯება. **"დიდად არ მადარდებს ის ამბავი, რამდენს მიიღებს ჩვენი აქციონერი, მე მომავლისაკენ ვიყურები,"** - ამბობს ბრაბეკი, - **სამხრეთ კორეასა და ჩინეთს ათი წლის განმავლობაში ჩვენთვის წაგება მოჰქონდა, მაგრამ ამას არ შევუშინებივართ და ახლა ორივე ბაზარი ჩვენთვის მომგებიანია."**

სპეციალისტთა აზრით, "ნესტლეს" ფენომენალურ წარმატებათა საიდუმლო კიდევ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მის მენეჯმენტს შეუძლია, თავი გაართვას ყოველნაირ სირთულეს: ამჟამად "ნესტლეს" ხომ 84 ქვეყანაში აქვს გახსნილი ქარხნები (მათში 260 ათასი კაცია დასაქმებული) და 6 ათასი სავაჭრო ნიშნის მფლობელია...

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 9 - 15 სექტემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6447 | 0.6264 | 0.0053 |
| US$ | 1.5511 | | 0.971 | 0.0082 |
| €uro | 1.5963 | 1.0298 | | 0.0085 |
| ¥en | 188.87 | 121.67 | 118.32 | |

### 2002 წლის 15 სექტემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1439 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4047 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4615 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1850 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3123 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1824 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0690 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4452 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3864 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0998 ლარი |

# ბილ გეიტსი კვლავ უმდიდრესი ამერიკელია

ჟურნალმა Forbes-მა მეოცედ გამოაქვეყნა მსოფლიოს 400 უმდიდრესი ამერიკელის სია. ისევე როგორც შარშან, სიის სათავეში კვლავ Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე გეიტსის ქონება 11 მილიარდი დოლარით შემცირდა, იგი კვლავ უმდიდრეს ამერიკელად რჩება. მისი პირადი ქონება 43 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მეორე პოზიციაზეა ფინანსისტი ოურენ ბაფეტი. ის ერთადერთია სიაში, რომელმაც, შარშანდლიდან მოყოლებული, არა თუ შეინარჩუნა საკუთარი ქონება, არამედ იგი დამატებით სამი მილიარდი დოლარით გაზარდა. ამდენად, ჯამში ბაფეტმა 36 მილიარდ დოლარს მოუყარა თავი.

უმდიდრესთა შორის ყველაზე უმცროსია 30 წლის დენიელ ზიფი, რომლის ქონებაც 1,2 მილიარდი დოლარია, ყველაზე უფროსი კი - 94 წლის ფინანსისტი მაქს მარტინ ფიშერი. მისი ქონება "მხოლოდ" 750 მილიონი დოლარი გახლავთ.



*ბილ გეიტსი* REUTERS

## ბაქოში სკანდალი პიკს აღწევს

"24 საათი" უკვე იუწყებოდა, რომ აზერბაიჯანში ხმაური გამოიწვია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთზე, ტენდერის შედეგად, სამშენებლო კონტრაქტორად ბერძნული კომპანიის - CCIC-ის არჩევამ. ოპოზიციური აზერბაიჯანული პრესის ცნობით, კომპანია, მართალია, საბერძნეთშია დაფუძნებული, მაგრამ მას არაბი და სომეხი მეპატრონეები ჰყავს. აზერბაიჯანელთა ყურადღება, ბუნებრივია, ამ უკანასკნელმა ფაქტორმა მიიპყრო. როგორც აზერბაიჯანში გამომავალი გაზეთი "ზერკალო" იუწყება, ბერძნული კომპანიის ერთ-ერთი მეწილეა ვინმე გევორქ ტოროიანი, რომელიც, ამავე დროს, საქველმოქმედო ფონდის - "ჰაიასტანის" ვიცე-პრეზიდენტია, თავად ფონდს კი სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ხელმძღვანელობს.

ამ ინფორმაციის გავრცელებამ ბაქოში ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების კრიტიკა გამოიწვია, რასაც პრეზიდენტ ალიევის კომენტარი მოჰყვა. ალიევმა თავი იმართლა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომავლობის შესახებ არაფერი იცოდა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ "ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, რომ ტენდერის შედეგების შესახებ ბაქოს სრული ინფორმაცია გააჩნდა. ვუდვორდმა ასევე აღნიშნა, რომ ბერძნულ კომპანიას ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილება აქვს. პირადად მას კი ნაკლებად აინტერესებს გამარჯვებული კომპანიის დამფუძნებელთა ეროვნული წარმომავლობა. **"ისინი გამომუშავებულ ფინანსებს უკანონო საქმიანობისთვის რომ იყენებდნენ, მაშინ ამით აშშ-ს სპეცსამსახურები დაინტერესდებოდნენ",** - დასძინა ვუდვორდმა.

# რუსეთი საქართველოს გაზის გადაკეტვით დაემუქრა

პირველი გვერდიდან

### რუსეთის სანქციები და "იტერასთან" მოლაპარაკების პერსპექტივები

საქართველო გაზს მთლიანად რუსეთისგან იღებს. მისთვის რუსული კომპანია "იტერა" ერთადერთი მომწოდებელია. ამდენად, როდესაც საქართველოს მთავრობამ "იტერასთან" ერთობლივი კომპანიის შექმნის შესახებ საუბარი იმისათვის დაიწყო, რომ საქართველოს, უფრო კი თბილისს, ზამთრის პერიოდში უწყვეტი გაზმომარაგება ჰქონოდა, ბუნებრივად დაისვა შეკითხვა, რამდენად შესრულდება ეს პირობა, თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები განსაკუთრებულად გამწვავდება. თანაც, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, როდესაც ეს ურთიერთობები მწვავდება, პრეზიდენტ პუტინს ხელი უნებურად გაზის ონკანისკენ გაურბის და აირის ნაკადის გადაკეტვას ლამობს. 1999 წელს ერთმა ასეთმა მცდელობამ, როდესაც, პუტინის განცხადების გამო, ამერიკული კორპორაცია "ეი-ი-ესის" ქართველი "შვილობილი" "ეი-ი-ეს მტკვარი" და მისი კუთვნილი ენერგობლოკები გაზის გარეშე დარჩა, მოსკოვს ვაშინგტონი კინაღამ გადაჰკიდა. რუსეთმა "ეი-ი-ეს მტკვრის" მიერ ნაყიდი გაზის ნაკადი იმ მოტივით გადაკეტა, თითქოს ქართული კომპანია გაზში მის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებს იხდიდა. საბოლოოდ, გაზის მიწოდება აღდგა, თუმცა ამ პროდუქციის მიმწოდებელი "ინნეფტეგაზსტროი" "იტერათი" შეიცვალა.

დღესაც მსგავსი სურათია. მართალია, პუტინის ნაცვლად, ახლა რუსეთის სახელმწიფო სათათბირო აქტიურობს, მაგრამ არგუმენტი იგივეა – საქართველო რუსეთის გაზში კვლავ მის რეალურ ტარიფზე ნაკლებს იხდის. ოღონდ ამჯერად საქართველო გაზს "იტერასგან" იღებს, რომელსაც ბოლო პერიოდში "გაზპრომთან" ურთიერთობა გაუუარესდა.

"იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე აღნიშნავს, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გამწვავებამ "იტერასა" და საქართველოს მთავრობას შორის წარმოებულ მოლაპარაკებების პროცესზე გავლენა არ უნდა მოახდინოს. პატარიძე ირწმუნება, რომ "იტერა" საქართველოსთან წმინდა კომერციული მოსაზრებებით თანამშრომლობს. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ "იტერას" ფინანსური კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული მის მიმართ ოფიციალური მოსკოვის კეთილ ნებაზე. "იტერასთვის" გაზის ტრანზიტის საკმაოდ შეღავათიანი ტარიფია დაწესებული იმ გაზსადენებზე, რომელიც სახელმწიფო კონცერნ "გაზპრომს" ეკუთვნის. ამდენად, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მოსთხოვს თუ არა "იტერა" საქართველოს გაზის ტარიფის გაზრდას, თუ მას რუსეთის მთავრობამ და "გაზპრომმა" შიდა სატრანზიტო ფასები გაუზარდა.

### რუსეთის სანქციები საქართველოს ექსპორტს დააზარალებს

**"დღეს საქართველოს გაცილებით უფრო სჭირდება რუსეთი, ვიდრე რუსეთს – საქართველო. ჩვენნაირი ქვეყნისთვის, რომლის მიერ გამოშვებული პროდუქცია არც ისე მაღალხარისხიანია, რუსეთის ბაზრის დაკარგვა მიზანშეუწონელია",** - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე. თუმცა, როგორც იგი ვარაუდობს, მოსკოვსა და თბილისს შორის ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობა ნაკლებად მოახდენს გავლენას ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბალანსზე.

**"თუ რუსები მიიღებენ ეკონომიკურ სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ, ეს გაართულებს საქართველოდან ექსპორტის მოცულობის მდგომარეობას, რადგან რუსეთი ჩვენი პროდუქციისთვის ერთ-ერთ მსხვილ ბაზრად რჩება",** - მიიჩნევს "ბორჯომის" მწარმოებელი კომპანია "ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერსის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე. მისი კომპანიის პროდუქციის მოცულობის 40 პროცენტი რუსეთში იგზავნება.

ხაზარაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის სათათბიროს მუქარამ მისი კომპანიის პროდუქციის გაყიდვებზე ჯერჯერობით გავლენა ვერ მოახდინა. თუმცა, შენიშნავს, რომ **"თუ რუსები ეკონომიკურ სანქციებს მიიღებენ, ეს არა მარტო ჩვენს, არამედ სხვა კომპანიების მდგომარეობაზეც უარყოფითად იმოქმედებს".** როგორც მამუკა ხაზარაძე აცხადებს, მარტო მისი კომპანია 27 მილიონი დოლარით იზარალებს.

### რუსეთი ორჯერ არ იმეორებს

მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანია რუსეთის მუქარა, ალბათ, ზედმეტია. დიდი ხანია, რუსეთის მხრიდან კეთილშობილური ჟესტებით განებივრებულები აღარ ვართ და პანკისშიც, სულ რაღაც სამიოდე კვირაა, ბომბები აღარ ცვივა. ამდენად, თუ საქართველო რუსეთის ინტერესებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა, მისგან გაზის გადაკეტვასაც უნდა ველოდოთ და ეკონომიკური სანქციების შემოღებასაც. მეორე საკითხია, რამდენად მომზადებული შეხვდება ხელისუფლება ამ ნაბიჯებს. რასაკვირველია, ეკონომიკური ბლოკადის უპირველეს შედეგებს საქართველო ენერგომატარებლების დეფიციტით იგრძნობს.

**"არის დამუშავებული რეჟიმები საგანგებო სიტუაციისთვის. თუ რუსეთმა საქართველოს ეკონომიკური ბლოკადა განიზრახა, ენერგოსისტემის მუშაობა მთლიანად საგანგებო რეჟიმში გადავა,"** – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს კი მიაჩნია, რომ თუ სახელმწიფო სათათბიროში სანქციებს მიიღებენ, საქართველოს საკმაოდ ბევრი სირთულე შეექმნება. **"მაგრამ არა მგონია, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან წარმატების მიღწევა ამ მეთოდით განიზრახოს. სხვათა შორის, პუტინმა თქვა, რომ შევარდნაძეს შეხვდება კიშინიოვში. ამ შეხვედრაზე ბევრი რამ გაირკვევა და დარწმუნებული ვარ, გამოსავალსაც ვიპოვით,"** – დასძინა ავთანდილ ჯორბენაძემ.

# საქართველოს მთავრობა პასუხისმგებლობას უფრთხის და „იტერასთან" მოლაპარაკებებს აფერხებს

პირველი გვერდიდან

ელიან თუ არა პრეზიდენტისგან მორიგ დირექტივას ქართველი მინისტრები "იტერასთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ძნელი სათქმელია. ფაქტი კი ფაქტად რჩება: იმის გამო, რომ ქართულ მხარეს თავისი მოთხოვნები ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია, გადაიდო "იტერას" წარმომადგენლების ვიზიტი თბილისში, რომელიც 14 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი. "იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე უკმაყოფილოა, რომ საკითხი, ამდენი ხანია, ადგილიდან არ იძვრის. **"ჯერ განზრახულობათა ოქმიც კი არ არსებობს. რუსებმა ჯერ კიდევ აგვისტოში გამოატანეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს ე.წ. "ბალვანკა" და მსჯელობა მის მიხედვით მიდის. ძალიან ცუდია, რომ მოლაპარაკებების პროცესი ამდენ ხანს გაგრძელდა. რაც შეეხება მხარეთა ინტერესებს - ხელშეკრულებაში ორივე მხარის პოზიცია უნდა იყოს გათვალისწინებული და ორივე მხარემ თავისი ინტერესები თავად უნდა დაიცვას,"** – აცხადებს პატარიძე.

**"ბალვანკები" ბევრია, ხელმოწერილი დოკუმენტი - არც ერთი,"** – ადასტურებს მთავრობის პასიურობას სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავაც.

სამთავრობო ეშელონები, თავისი პასიურობის გასამართლებლად, პრესასა და არასამთავრობო ორგანიზაციებში ატეხილ, "იტერას" საწინააღმდეგო აჟიოტაჟს იშველიებენ, მაგრამ ფაქტი, რომ ეს ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და ამის შესახებ შევარდნაძემ ერთმნიშვნელოვანი მითითება მისცა შესაბამის უწყებებს, ფაქტად რჩება.

უკვე ერთი თვეა, გრძელდება საუბრები ქართულ-რუსული აქტივების გადათვლისა და ხელახალი აუდიტის შესახებაც. პროცესს ქონების მართვის სამინისტრო უნდა ჩასდგომოდა სათავეში, მაგრამ ჯერ ისიც კი არ არის გარკვეული, რომელი აუდიტორული ფირმა მოჰკიდებს ამ საქმეს ხელს.

**"იტერასთან" მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს და არა მგონია, რამემ შეაჩეროს,"** – აცხადებს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. თუმცა, საქმე სიტყვიერი თანხმობის იქით არ წასულა. რაც შეეხება მინისტრის ხმამაღალ განცხადებებს იმის შესახებ, რომ მომავალ ხელშეკრულებაში ქართული ინტერესები მაქსიმალურად დაცული იქნება, ამას ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს, ვინაიდან ის მოთხოვნები, რომლებიც "იტერას" ქართულმა მხარემ უნდა წაუყენოს, მხოლოდ ზეპირი და ე.წ. "ბალვანკების" ფორმით არსებობს. მათი სახელშეკრულებო ფორმით ჩამოყალიბებაზე კი მთავრობას არაფერი გაუკეთებია.

ასევე არ არის დაზუსტებული ინვესტიციათა ის ოდენობა, რომელიც "იტერამ" "თბილგაზის" აღდგენისთვის უნდა დახარჯოს. ქართული მხარის გათვლებით ეს თანხა 130 მილიონ დოლარამდეა. მაგრამ, რა წილი იქნება აქედან "იტერას" უშუალო შენატანი და რა წილი – ერთობლივად აღებული კრედიტი, ეს განსაზღვრული არ არის.

როგორც სახელწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე აცხადებს, **"ჯერჯერობით გაურკვეველია ერთობლივ საწარმოში მხარეთა წილობრივი მონაწილეობის საკითხიც და ისიც, იქნება თუ არა წარმოდგენილი მხოლოდ ორი მხარე – "იტერა" და საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო."**

ამასობაში იზრდება "იტერას" მიმართ გაზის დავალიანება და ფერხდება ზამთრის გაზმომარაგების პროგრამის შეთანხმებაც. ანუ მითები ყველა იმ სიკეთის შესახებ, რომელთა მოშველიებითაც მთავრობა "იტერას" შემოყვანის აუცილებლობაში არწმუნებდა ოპონენტებს, ნელნელა ქარწყლდება.

ხელშეკრულებაში ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებისა და ხელშეკრულების პირობების წინასწარ გახმაურების შესახებ მოთხოვნა, ხელისუფლებამ "იტერას" საწინააღმდეგო კამპანიად მონათლა. ხოლო ის, რომ "იტერას", როგორც მომავალ მონოპოლისტს, გარკვეული ვალდებულებები უნდა ჰქონოდა, მთავრობას ეს საკითხი არც უხსენებია. "იტერასთან" "ვერა და ვერშემდგარი" მოლაპარაკებების გამო "24 საათთან" საუბარში თავისი მოსაზრება გამოთქვა "ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერსის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემაც. **"რუსეთი ცდილობს, ეკონომიკური ბერკეტებით მოახდინოს გავლენა საქართველოზე. მე, როგორც ბიზნესმენს, მიმაჩნია, რომ კაპიტალს არა აქვს ეროვნება და სულ ერთია, ვისი იქნება ის. მთავარია, ინვესტორთან ურთიერთობები სწორად იყოს დარეგულირებული. ამის უამრავი მეთოდი არსებობს. ჩვენი მხარე არ დგას იმ დონეზე, რომ თავისი პოზიციები დაიცვას. "იტერას" შემთხვევაში, პროექტის მომზადების პასუხისმგებლობას ვერავინ იღებს. თუ გვინდა, რომ ხელშეკრულებაში ქართული ინტერესებიც იყოს გათვალისწინებული, მთავრობამ ქართული ბანკები და ბიზნესმენებიც უნდა მოიწვიოს, აქციების რაღაც ნაწილი საფონდო ბირჟაზე გაიტანონ... ურთიერთობები კი კონტრაქტის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს,"** – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

# პოლიტიკური რიტორიკის შედევრი საქართველოს სასარგებლოდ

პირველი გვერდიდან

## პრეზიდენტ ბუშის კომენტარის ანალიზი

ირაკლი არეშიძე
ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის კავკასიისა და ცენტრალური აზიის კვლევის ცენტრის თანამშრომელი
სპეციალურად „24 საათისათვის"

მხოლოდ პოლიტიკურად გამოუცდელი ადამიანი იფიქრებდა, რომ საქართველოს სუვერენიტეტის უფრო ძლიერად დაცვა იყო შესაძლებელი, ვიდრე ეს პრეზიდენტმა ბუშმა გააკეთა ჟურნალისტის კითხვაზე პასუხის გაცემისას (პრესისთვის ბრიფინგი 14 სექტემბერს გაიმართა. რეპორტიორების წინაშე, ჯორჯ ბუშთან ერთად, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონიც წარსდგა).

ბუშის კომენტარი ადასტურებს, რომ ამერიკა კვლავაც განაგრძობს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას. მისი სიტყვები იმის დასტურადაც გამოდგება, რომ თეთრი სახლი უარყოფს რუსეთის (და, ალბათ, აშშ-ს მთავრობის რიგი წარმომადგენლების) მცდელობას: ამერიკას ერაყის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციაში მოსკოვის მხარდაჭერა საქართველოზე თავდასხმის უფლების მოპოვებაში გაუცვალოს.

ამის მიუხედავად, აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვები იმის გარანტიად მაინც ვერ გამოდგება, რომ რუსეთი საკუთარ მიზანს ვერ მიაღწევს და საქართველოში ქაოტურ მდგომარეობას ვერ შექმნის (ეს გარანტიად მაშინაც კი ვერ გამოდგება, თუ ბუშის კომენტარი რუსეთის საქართველოსა და მის პრეზიდენტზე კონკრეტული აგრესიული გეგმების განხორციელებას შეაჩერებს).

საქართველოს მთავრობამაც და მოქალაქეებმაც ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ რუსეთის (ნებისმიერი ფორმით გამოხატულ) აგრესიას მომზადებულები შეხვდნენ. აგრესიაში ვგულისხმობ იმ ქართველი პოლიტიკოსების გამოყენებასაც, რომელთა მიზნებიც (შეგნებულად თუ გაუთვითცნობიერებლად) რუსების მიზნებს ემთხვევა – შეიქმნას ქაოსი ქვეყანაში და დამყარდეს ხელისუფლება, რომელსაც პრორუსული ორიენტაცია ექნება.

პრეზიდენტ ბუშის ეს კომენტარი (მართალია, მოკლე) ბევრი მნიშვნელოვანი კომპონენტით გამოირჩევა. თავისებურ ანალიზს საჭიროებს ჟურნალისტის კითხვაც, რადგან მან აიძულა ბუში, ეპასუხა ერთდროულად ორ კითხვაზე:

1). იყო თუ არა პუტინი მართალი, როცა მან საქართველოზე თავდასხმის საკითხი დასვა;

2). მისაღები იყო თუ არა ბუშისთვის პუტინის მცდელობა, აშშ-ს პრეზიდენტის ლოგიკით (იგულისხმება ერაყზე თავდასხმა) საქართველოზე თავდასხმაც გაემართლებინა.

ასე რომ, ამ კითხვამ ბუშს საშუალება მისცა, არა მხოლოდ დაეცვა საქართველო, არამედ, ამავე დროს, განემარტა, თუ რატომ იყო უკანონო და მიუღებელი პუტინის მიერ ბუშის ლოგიკის გამოყენება.

თავის განცხადებაში ბუშმა ორი მნიშვნელოვანი განსხვავება დააფიქსირა: პირველი გახლავთ განსხვავება საქართველოსა და ერაყს შორის, მეორე კი – განსხვავება ტერორისტებს, რომელთა დაკავებაც ბუშს პანკისში სურს და იმ პირებს შორის, რომელთა განადგურებასაც პუტინი ესწრაფვის. ამერიკის პრეზიდენტმა ძალზე ლაკონურად განმარტა, თუ რატომ არ შეუძლია რუსეთს პანკისში ოპერაციის ჩატარების გამართლება და რატომ ცდება პუტინი, როდესაც ის ცდილობს, საქართველოს გარშემო შექმნილ სიტუაციას აშშ-ს ერაყზე თავდასხმის ლოგიკა მოარგოს.


პრეზიდენტი ბუში საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს
REUTERS

ბუში სჟურნალისტის კითხვაზე, თითქოს, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მკაცრი ტონით იწყებს: "ძალზე ნათლად განვუმარტე საქართველოს მთავრობას, რომ ჩვენ მათგან პანკისის ხეობიდან "ალ ქაიდას" ტიპის ტერორისტების განდევნას მოველით". მიუხედავად ამისა, წინადადება ძალზე მნიშვნელოვან აზრს შეიცავს – პრეზიდენტი საუბრობს "ალ ქაიდას" ტიპის ტერორისტებზე პანკისში და არა - "ტერორისტებზე" ზოგადად, როგორც რუსი ოფიციალური პირები იყენებენ ხოლმე ამ ტერმინს, ერთდროულად ჩეჩენი მებრძოლებისა და ნამდვილი ტერორისტების დასახასიათებლად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზიდენტი ერთმანეთისგან ასხვავებს ტერორისტებს, რომელთაც აშშ-ზე თავდასხმა განახორციელეს და იმ პირებს, რომლებიც, შესაძლოა, პანკისში იმყოფებოდნენ. არადა, ცნობილია, რომ ამ ადამიანებს რუსეთი ტერორისტებად აფასებს მაშინ, როდესაც დანარჩენი ცივილური მსოფლიოსთვის ისინი, შესაძლოა, ან სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლები იყვნენ, ანდა, უბრალოდ (ქალებისა და ბავშვების შემთხვევაში), რუსეთის მიერ განხორციელებულ გენოციდს გადარჩენილი დევნილები.

იმისათვის, რომ პანკისში მყოფ პირებს (რომლებიც, შესაძლოა, რუსეთს არ მოსწონდეს) და იმ ადამიანებს (რომელთაც ამერიკა გულისხმობს) შორის მკვეთრი განსხვავება დააფიქსიროს, პრეზიდენტი ბუში ასევე იყენებს სხვა ტერმინსაც – "ალ ქაიდას" მკვლელები". ეს მაშინ, როდესაც საუბრობს პირებზე, რომლებიც საქართველომ "უნდა გაასამართლოს".

რუსეთიც კი (მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნების წინააღმდეგ ათასგვარი გამოგონილი, წარმოსახვითი არგუმენტი შექმნა) არასდროს წასულა ისე შორს, რომ ეთქვა – ყველა ჩეჩენი მებრძოლი, პანკისში მყოფების ჩათვლით, "ალ ქაიდას" ტიპის" ტერორისტები ან "ალ-ქაიდას" მკვლელები" არიან.

ყოველივე ამის შედეგად, მოსკოვმა უნდა დაინახოს ბუშის სურვილი – დააფიქსიროს განსხვავება იმ ადამიანთა პატარა ჯგუფს, რომლის დაკავების იმედიც ამერიკას აქვს და დიდ ჯგუფს შორის, რომელზე თავდასხმაც პანკისში რუსეთს სურს.

მეორე ფაქტორი, რაც პრეზიდენტის კომენტარში აშკარად ჩანს, გახლავთ საქართველოსა და ერაყს შორის არსებული განსხვავება. საქართველო დახასიათებულია, როგორც ქვეყანა, რომელთანაც ამერიკა "თანამშრომლობს... წვრთნის ქართულ შეიარაღებულ ძალებს". საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც სურს, რომ "მიაღწიოს საერთო მიზანს", მიზანს, რომელიც, ბუშის სიტყვებით, მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რუსეთისთვისაც და შტატებისთვისაც.

პრეზიდენტის სიტყვებიდან ასევე ჩანს, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც სურს "ალ ქაიდას" მკვლელების შეპყრობა და მათი გასამართლება" (შესაძლოა, პრეზიდენტი პუტინი არ ეთანხმებოდეს ასეთ ვიწრო შეხედულებას რუსეთ-ამერიკის საერთო მიზნებზე, რადგან მას უფრო ის სურს, რომ ამერიკამ მისი მიზანი გაიზიაროს, რაც ჩეჩენი "ბანდიტების" პირწმინდად განადგურებას გულისხმობს).

ასე რომ, პრეზიდენტ ბუშის თანახმად, საქართველო ანტიტერორისტულ ბრძოლაში თანამშრომლობს აშშ-სთან და დანარჩენ მსოფლიოსთან. ერაყი კი, ამასობაში, მის ანტიპოდს წარმოადგენს. პრეზიდენტი ბუში ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: "სადამ ჰუსეინმა გაერო-ს ნება თექვსმეტჯერ უარყო". ანუ, საქართველოსგან განსხვავებით, ერაყი არ თანამშრომლობს მსოფლიოსთან, არ მონაწილეობს ანტიტერორისტულ ომში. ამის ნაცვლად, ერაყი ყველაფერს აკეთებს ხელმოწერილი შეთანხმებებისგან თავის დასაძვრენადაც კი.

საქართველოსა და ერაყს შორის არსებული კონტრასტის დაფიქსირებით, ბუში მიანიშნებს, რომ უსაფუძვლოა იდეა, რომელიც ერაყზე თავდასხმის ლოგიკის საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებას გულისხმობს – საქართველო ხომ ებრძვის ტერორიზმს და, ბუნებრივია, ამ მცდელობისთვის აშშ-ს მხარდაჭერასაც იღებს. ერაყზე თავდასხმის ლოგიკა კი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ანტიტერორისტულ ომში ჩართულნი არ არიან.

გარდა ამ ორი მნიშვნელოვანი განსხვავებისა, პრეზიდენტ ბუშის კომენტარი იმითაც გამოირჩევა, რომ მან პუტინს ორი რთული ამოცანა დაუსახა. პირველი: ბუშის სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ რუსეთი გზას ულობავს, ხელს უშლის საქართველოს "საერთო მიზნის მიღწევაში". თუ ეს ასე არ არის, მაშინ ბუში არც იგრძნობდა იმის საჭიროებას, რომ ეთქვა: "მოვუწოდებ პუტინს, ითანამშრომლოს ჩვენთან და ქართველების შეიარაღებულ ძალებს მოქმედების საშუალება მისცეს".

ანუ, ამ ხაზს რომ გავყვეთ, რუსეთმა თავი უნდა დაანებოს საქართველოს, ხელი აღარ უნდა შეუშალოს ქვეყანას, რომელიც აშშ-სთან თანამშრომლობს. ეს მესიჯი რუსეთის პრეზიდენტისთვის მართლაც რომ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მით უფრო, რომ არ არის გამორიცხული, პუტინს თავად სურდეს, ანტიტერორისტულ ომში აშშ-ს მოკავშირის სტატუსის მოპოვება. ბუში კი ზემოთ მოყვანილ კომენტარში აშკარად მიანიშნებს, რომ რუსეთი ასეთი მოკავშირე არ გახლავთ. უფრო მეტიც, არასაკმარისად თანამშრომლობის გამო, ის სხვებსაც ხელს უშლის.

მეორე გამოწვევა კი უკვე, რუსეთთან ერთად, ეხება ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც აშშ-ს ერაყის წინააღმდეგ მიმართულ გეგმებს აკრიტიკებენ. საუბარია ბუშის ამ ფრაზაზე: "21-ე საუკუნის დასაწყისია და გაერო-მ ან რეალურად უნდა შეასრულოს თავისი სამშვიდობო ფუნქცია, ან უფუნქციოდ დარჩეს".

ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია რუსეთსა და იმ ქვეყნებზე, რომლებიც ერაყზე თავდასხმის საკითხს სკეპტიკურად უყურებენ. როგორც ჩანს, პრეზიდენტი მიანიშნებს, რომ თუ ამერიკის მოკავშირეებს, მეგობრებს და დანარჩენ ქვეყნებს სურთ საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი როლის შესრულება (მაგალითად, თუ მათ სურთ შენარჩუნება იმ სისტემისა, რომელიც საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიღებაში მათ მონაწილეობას უზრუნველყოფს – იგულისხმება გაერო, უშიშროების საბჭო), მათ აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და შეძლონ საერთაშორისო სისტემის მობილიზება იმ საფრთხის წინაშე, რასაც მსოფლიო ომი ჰქვია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები თანამშრომლობაზე უარს იტყვიან, მაშინ თავად იქნებიან პასუხისმგებელნი ამ მრავალმხრივი სისტემის დემონტაჟზე და არა ამერიკა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზიდენტი აცხადებს – თუ ამერიკა ერაყის წინააღმდეგ ომში მარტო ჩაებმება, ეს მოხდება არა იმიტომ რომ ამერიკას ასე სურდა, არამედ იმ ფაქტის გამო, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ომში ჩართვა არ ინდომა.

ასე რომ, პრეზიდენტ ბუშის განცხადება რუსეთისთვის (და სხვა ქვეყნებისთვისაც) ღია, პირდაპირი გამოწვევაა, არჩევანია – დადგეს აშშ-ს გვერდით ანტიტერორისტულ ომში (როგორც საქართველო) ანდა გამოვიდეს ანტიტერორისტული კოალიციიდან.

შექმნილი სიტუაცია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა თავიდანვე გააანალიზა და ამერიკას ერაყის წინააღმდეგ პირველსავე დღეებიდანვე დაუჭირა მხარი. მეტიც, ბლერმა ეს გააკეთა ქვეყნის შიგნით არსებული ძლიერი საპროტესტო ტალღის მიუხედავად.

ბუშის განცხადების თანახმად, დანარჩენმა ქვეყნებმაც (რომლებიც აცხადებენ, რომ აშშ-სთან მეგობრობა სურთ), მათ შორის, რუსეთმაც, იგივე არჩევანი უნდა გააკეთონ, რაც ბრიტანეთმა გააკეთა. ვინაიდან არ არსებობს აშშ-სთან დამეგობრების სხვა გზა, თუ ანტიტერორისტულ ომში ჩართვა არ გსურს. საბედნიეროდ, საქართველომ ეს არჩევანი უკვე გააკეთა.

პრეზიდენტ ბუშის განცხადებიდან ჩანს, რომ იმავეს ვერ ვიტყვით რუსეთზე.

ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ბუშმა თავის მოკლე კომენტარში შეძლო, ერთდროულად წარმოეჩინა ამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული და, ამავე დროს, არსებითად მნიშვნელოვანი შეხედულებები, მის ბრწყინვალე, რიტორიკულ ნიჭზე მეტყველებს. გარდა ამისა, ბუშის განცხადება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ 11 სექტემბრიდან დღემდე, ამ ერთი წლის განმავლობაში, ბუში, როგორც პრეზიდენტი, ძალიან გაიზარდა. კაცი, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე ხშირად ენის ბორძიკით, ბუნდოვნად საუბრობდა, იქცა სახელმწიფო მოღვაწედ, რომელსაც ნათელი და მკვეთრად ჩამოყალიბებული საგარეო სტრატეგია აქვს. მისი ეს განცხადება პრეზიდენტის პირად ღირსებებზეც მეტყველებს. არადა, ამ ღირსებებს ხშირად სწორედ ის ადამიანები უარყოფდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ, უშიშროების საბჭოში ხმის მოპოვების ფასად, ბუში პუტინს საქართველოს დაუფიქრებლად მიჰყიდდა (ეს სულელური ანალიზი ხშირად ისმის ხოლმე რუსეთში და საქართველოს პრორუსულ წრეებშიც).

ერთი სიტყვით, ბუშის განცხადებაში აშკარად ჩანს მისი ნდობა საქართველოს (და ე.ი. მისი პრეზიდენტის) მიმართ და მისი უნდობლობა პრეზიდენტ პუტინის მიმართ, რომელიც, ფაქტობრივად, უარს ამბობს იმ დაპირებებზე (საუბარია მოსკოვში, მაისში ჩატარებულ სამიტზე), რომლის თანახმადაც კავკასიაში "დიდი ძალების" მეტოქეობა უნდა დასრულდეს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ პუტინი კვლავაც ცდილობს საქართველოზე ზეწოლის მოხდენას და კვლავაც ახორციელებს შეტევებს მის წინააღმდეგ.

სავარაუდოა, რომ პრეზიდენტი ბუში, თავისი განცხადებით, ნამდვილად მიაღწევს მიზანს და რუსეთს აიძულებს (მოკლე დროით მაინც), შეამციროს საქართველოზე ზეწოლა. თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა მოადუნოს – ამ მოკლე დროში ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა განაგრძოს რუსეთის წინააღმდეგ დიპლომატიური ომი, უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს პანკისში ანტიტერორისტულ ოპერაციას, რომელსაც კონკრეტული შედეგები უნდა მოჰყვეს. პარალელურად, ამერიკის გააქტიურების ფონზე, სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ საქართველოს მოქალაქეებსაც, რომლებმაც ხელი უნდა შეუშალონ რუსეთს მიზნის განხორციელებაში (იგულისხება საქართველოში ქაოსისა და არასტაბილურობის შექმნა. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ქაოსი ის ერთადერთი ბარიერია, რაც საქართველოს რუსეთის გავლენის ორბიტიდან გამოსვლაში უშლის ხელს). გააქტიურდება ოფიციალური მოსკოვიც – პირველ რიგში, ის ისევ რუსეთის სამსახურში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებს გამოიყენებს. ქართველები, რომლებისთვისაც საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა ძვირფასია, ამ პოლიტიკოსებს ოპოზიციაში უნდა ჩაუდგნენ.

# ამერიკამ სადამ ჰუსეინს დიპლომატიური ომი მოუგო - ახლა ჭერი წინასაომარ სამზადისზეა

გიორგი ხელაშვილი

*შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ნელ-ნელა ახერხებს მსოფლიოს ლიდერების დარწმუნებას, რომ სადამის წინააღმდეგ ომი გარდაუვალი იქნება.*

დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და იტალია – ამ ქვეყნების ლიდერებმა უკვე დაარწმუნეს პრეზიდენტი ბუში, რომ აუცილებლად დაუჭერენ მხარს ვაშინგტონის მოქმედებას სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ. ალბათ, ამერიკის მხარდამჭერებს მალე საფრანგეთის პრეზიდენტიც შეუერთდება.

თავდაპირველად, , ვაშინგტონი თითქმის სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ უპირობო და ცალმხრივ სამხედრო მოქმედებებს მხარი არ დაუჭირეს ვაშინგტონის ტრადიციულმა მოკავშირეებმაც კი, დიდი ბრიტანეთის გარდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებს მარტოდმარტო არ დაიწყებს და კონსულტაციისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართავს, ანტიერაყული კოალიციის შექმნის პერსპექტივები უფრო ნათლად გამოიკვეთა. ყინული, როგორც იტყვიან, დაიძრა და სულ რამდენიმე დღეში ამერიკულმა დიპლომატიამ შესამჩნევ წარმატებებსაც მიაღწია.


სადამ ჰუსეინი.

ნიუ-იორკში მიმდინარე გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე პრეზიდენტ ბუშის გამოსვლას მსოფლიოს წამყვან პოლიტიკურ ლიდერებთან ინტენსიური კონსულტაციები მოჰყვა. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებსა და მის მოკავშირეებს შორის უთანხმოება დასრულდა.

ამერიკული დიპლომატიის მთავარი ტაქტიკური სვლა ამერიკა-ერაყის დაპირისპირების გაერო-ერაყის წინააღმდეგობად წარმოჩენა აღმოჩნდა. პრეზიდენტმა ბუშმა საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს ერაყი ამერიკას კი არ უქმნიდეს საფრთხეს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას. ბუშმა გაერო-ს მოუწოდა, სიმტკიცე გამოეჩინა და სადამ ჰუსეინის ურჩობა აელაგმა. ამერიკის პრეზიდენტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ერაყმა გაერო-ს 16 რეზოლუცია უგულებელყო.

ამერიკელები გაერო-ს მოუწოდებენ, რომ "დღეების" ან "რამდენიმე კვირის" განმავლობაში მიიღოს რეზოლუცია, რომელიც ერაყს უპირობოდ დაავალდებულებს, გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორები ქვეყანაში შეუშვას. ამგვარ უპირობო მოთხოვნას ერაყი გადაჭრით ეწინააღმდეგება. ერაყის ვიცე-პრემიერმა თარიკ აზიზმა განაცხადა, რომ გაერო-ს ინსპექტორების დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც გაერო ერაყის საწინააღმდეგო სანქციებს გააუქმებს. ეს კი მიუღებელია არა მარტო ამერიკელებისთვის, არამედ გაერო-სთვისაც, რომელმაც არაერთხელ აღნიშნა ინსპექტორების დაბრუნების აუცილებლობა. ამერიკელებმა გუშინ უკვე განაცხადეს, რომ ერაყმა "კარგად იცის, რისი გაკეთებაცაა საჭირო" და ამიტომ უპირობოდ უნდა დაემორჩილოს გაერო-ს სანქციებს.

ამერიკელების მოთხოვნებისადმი დათმობის მიუხედავად, გაერო-ს ოფიციალური პირები შეშფოთებულები არიან არა იმდენად ამერიკის მიერ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებით, რამდენადაც ამ ომის შედეგებით. მათი აზრით, "ავღანური მოდელი" ერაყში ვერ იქნება ეფექტური იმის გამო, რომ სადამ ჰუსეინს ალტერნატიული პოლიტიკური ძალა არ მოეძებნება, რომელიც, ჰამიდ ქარზაისა და ჩრდილოეთის ალიანსის მსგავსად, ხელისუფლებაში მოვიდოდა. ერაყული ქაოსი საერთაშორისო უსაფრთხოებას სერიოზულად ემუქრება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ქვეყანაში დაწყებულ უმართავ პროცესებს, შეიძლება, მთელი ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაცია მოჰყვეს. შეერთებული შტატები, გაერო-ს ზოგიერთი წარმომადგენლის შეხედულებით, ნაკლებად ფიქრობს ომის, თუნდაც სავსებით წარმატებული სამხედრო ოპერაციის, უარყოფით შედეგებზე.

ასეა თუ ისე, უახლოეს დღეებში გაერო-ს უსაფრთხოების საბჭო ალბათ ერაყის თაობაზე კიდევ ერთ რეზოლუციას მიიღებს, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც ერაყზე სამხედრო თავდასხმისათვის ამერიკელებს ხელ-ფეხი გაეხსნებათ. იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ უკვე დაასახელა ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების შესაძლო თარიღი – მომავალი წლის იანვარი. მანამდე ამერიკელები შეეცდებიან, შეკრიბონ უეჭველი მასალები ერაყის პრეზიდენტისა და "ალ ქაიდას" ტერორისტული ქსელის კავშირების შესახებ, რათა მეტი ლეგიტიმურობა მიანიჭონ მომავალ სამხედრო ოპერაციებს. ამ საქმეში ისინი მარტონი არ იქნებიან – 24 სექტემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობა გამოაქვეყნებს საიდუმლო მოხსენებას, რომელშიც დოკუმენტურად იქნება დადასტურებული სადამ ჰუსეინის კავშირი 11 სექტემბრის ტერაქტებში მონაწილე არაბ ტერორისტებთან.

ამ მოხსენების გამოყენებით ტონი ბლერი შეეცდება, ბრიტანული პარლამენტი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების აუცილებლობაში დაარწმუნოს. იმავეს გააკეთებს პრეზიდენტი ბუშიც, რომელმაც უკვე მიმართა კონგრესს მოწოდებით, კონგრესის ნოემბრის არჩევნებამდე ომის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღოს.

წინასაომარი, დიპლომატიური აქტიურობის პერიოდი დასასრულს უახლოვდება და, როგორც ჩანს, უახლოეს ხანში წინასაომარი მზადების პერიოდში გადაიზრდება.

სვეტი

# სამი თვე Chat-ში

მაკა ჭაიანი

*ინგლისურად Chat ჭორაობას ნიშნავს. ამ "სიკეთეს" ადამიანები, როგორც წესი, არ იკლებენ, მაგრამ კომპიუტერმა მათ ინტერნეტში ჭორაობის საშუალებაც მისცა. დღეს უამრავი მისამართის ჩამოთვლა შეიძლება, ხალხს "მოჭორავეთა საერთაშორისო გაერთიანებისკენ" რომ უხსნის გზას. ერთ-ერთი ქართული news.ge გახლავთ. სწორედ იქ გასამგზავრებლად გამოვუწერე საკუთარ თავს ამ სამი თვის წინათ მივლინება და მუშაობას შევუდექი.*

ერთი პირობა, კინაღამ უარი ვთქვი ამ წამოწყებაზე - გამეგო, რა სამყაროა ეს Chat-ი. "სპორტული ინტერესისა" და ჩემი გულუბრყვილობის წყალობით, იქაური სარეგისტრაციო ანკეტა კეთილსინდისიერად შევავსე (თითქმის კეთილსინდისიერად - სახელი არ მიმითითებია ზუსტი და... წონა) და პირველ დღეებში მეგონა, "ვარდისფერ კვარტალში" შევდგი ფეხი. ჩემს მოსაუბრეებს მხოლოდ ის აინტერესებდათ, მართლა მწვანეა თუ არა ჩემი თვალები, სინამდვილეში რამდენი წლის ვარ, "ბოიფრენდი" მყავს თუ არა და მყოლია თუ არა ოდესმე. მერე სურათის გაგზავნას მთხოვდნენ, საკუთარი თავის მოკლე დახასიათებას იწყებდნენ და პაემანზე მეპატიჟებოდნენ. როგორც თვითონ ამბობდნენ, თვალებში ჩასახედად.

ასე გაგრძელდა, დაახლოებით, ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში, იყო რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისი. ერთხელ, Chat-ში KOTOSA შემოვიდა, წითელი ნიკით, ანუ სახელით და უცნაური ჩანაწერით ანკეტაში - VICH. მე, თუ გახსოვთ, საზოგადოებრივ თემებზე ვწერ, პენსიონერებზე, ინვალიდებზე, ათასი სნეულებით შეწუხებულ ადამიანებზე. VICH სამედიცინო ენაზე შიდსის ვირუსს ნიშნავს, ასე დაავადებულები კი ხშირად კოტოშის სიმსივნით იღუპებიან. მოკლედ, ხელები ამექავა. ვიფიქრე, აქ მსუბუქი მასალისთვის შემოსეირნებული, რაღაც სერიოზულს წავაწყდი-მეთქი, მაგრამ გადაბრუნდა ჩემი მოსაუბრე სიცილით. ასეც ხდება. ბოლოს და ბოლოს, Chat-ი ბნელ ოთახში ხელის ცეცებას ჰგავს, არ იცი, ვის გადაეყრები.

ავადმყოფებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცნობილი ტერორისტები, მსოფლიოს რომ თავი ცუდად დაამახსოვრეს, news.ge-ში არიან. ბინ ლადენიც აქ გახლავთ, შამილ ბასაევიც და აწ გარდაცვლილი ადოლფ ჰიტლერიც. ნიკები Chat-ში ცალკე თემაა. იქ შეხვდებით: იულიუს კეისარს, მაქსიმუსს, არაგორნს, გოძილას, მორიენტესს, მავნეს, ბოროტ წიწილას, დარწმუნებული ვარ, კარგი იუმორის მქონე "Боже Царя Храни"-ს და ა.შ. დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, რატომ დაირქვა ეს და არა სხვა სახელი, მაგრამ არჩევანით ყველა კმაყოფილია. კმაყოფილია ისიც, ვისაც გაუმართლა და შესაფერი მოსაუბრე იპოვა. როცა ასეთები Chat-ში ერთად შეიყრებიან, იქ დიდი რუზრუზი და მხიარულებაა, ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვა და შთაბეჭდილებების გაცვლა.

Chat-მა, შეიძლება, ისეთი ადამიანებიც დააახლოოს, ცხოვრებაში ერთმანეთს რომ ვერც შეხვდებოდნენ. ასე ჩემს სამ ნაცნობს დაემართა. განსხვავებული ასაკისა და პროფესიის ბიჭებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კომპიუტერში გაიცნეს ერთმანეთი, ილაპარაკეს, იშაყირეს, ერთმანეთი მოეწონათ, შეხვედრა დათქვეს და დამეგობრდნენ კიდეც. როგორც გავარკვიე, ერთმანეთს იქაური გოგო-ბიჭებიც ხვდებიან. ვერ გეტყვით, გოგოებისთვის რას ნიშნავს ეს, მაგარამ ბიჭებმა გამიმხილეს, თუკი გოგო გარეგნულად არ მოგვეწონა, მასთან საუბარსაც აღარ ვაგრძელებთო. ვიცი ისეთებიც, ვინც Chat-ში გაიცნო ერთმანეთი და დაქორწინდა. ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როცა მიხვდები, რომ თვალებში იმ ადამიანს უყურებ, რომელთან ერთად მარტოობაც არ გაგიჭირდება.

თვალებში ყურების მომენტი, Chat-ისთვის, ალბათ, მაინც გადამწყვეტია. ადამიანებს ხანდახან უჩნდებათ სურვილი, ვინმეს გული გადაუშალონ. ვინმეს, ვისაც არ იცნობენ და ვერც ვერასდროს შეხვდებიან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი მეგობარი გყავს და სად არიან ისინი. გინდა, ვიღაცის სახელობით პიჯაკს, ან შეპუდრულ სახეს კი არა, სულს ელაპარაკო. ეს ერთგვარი თვითდაცლაა, ქვევრში ჩაყუდება და მთელი სათქმელის უკანმოუხედავად ამოძახება. ეს ინტერნეტშიც ჭრის, ხანდახან, როცა არც იქითა მხარე თამაშობს, როცა მასაც აქვს რაღაც სათქმელი. ვერ შეგპირდებით, საკმარისია, Chat-ის კარი შეაღოთ და პირველივე შემხვედრი თქვენი საუკეთესო მეგობარი გახდება-მეთქი. მე, შეიძლება, უბრალოდ, გამიმართლა.

# ზოდელავას ზვიადისთვის პირობა მიუცია

ნანა ქადაგიშვილი

მიწისძვრიდან მეორე-მესამე დღეს თბილისის მერმა დაზარალებული ოჯახები რომ მოინახულა და დახმარებას შეჰპირდა, ერთ-ერთი მათგანი ნევროლოგიური ინსტიტუტის შენობაში შესახლებული ზვიად ზაქაშვილის ოჯახიც გახლდათ. აქედან ერთ თვეში გაგიყვან, ჩემი კაბინეტის კარი კი შენთვის ყოველთვის ღია იქნებაო, შეჰპირებია ზოდელავა ზვიადს.

30 წლის ზვიადი, 14 წელია, ინვალიდის ეტლში ზის. მართალია, მკლავჭიდში სამგზის ჩემპიონი ყოფილა, მაგრამ ქვედა კიდურების დამბლა აქვს და განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ზაქაშვილები მიწისძვრამდე ჯავის ქუჩაზე ცხოვრობდნენ და სახლი ზვიადისთვის, შეძლებისდაგვარად, მოხერხებულად ჰქონდათ მოწყობილი. მიწისძვრამ მათი ბინა ისე დაანგრია, შიგ ცხოვრება, მით უმეტეს, ინვალიდისთვის, ძალზე საშიშია. ამიტომ გამგეობამ ისინი გადაიყვანა ნევროლოგიის ინსტიტუტში, სადაც მეოთხე სართულზე ზვიადისთვის მოუხერხებელი ორი ოთახი ერგოთ. აბაზანიანი ოთახების ალება სხვებმა დაასწრეს. ზვიადმა ქალაქის მერის დაპირება დაიჯერა და იმედი ჰქონდა, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი ნევროლოგიურ ინსტიტუტზე უკეთეს დროებით თავშესაფარს მისთვისაც გამოძებნიდა, მაგრამ მოტყუვდა. ფონდის თავმჯდომარე ზურაბ გუდავაძე აცხადებს, რომ ფონდს თანხები ბოლო თეთრამდე ამოეწურა. 2 მლნ. ლარით დაზარალებული მოსახლეობისთვის 245 ბინა იყიდეს და უსახლკაროდ დარჩენილებს გადასცეს. ზვიადს ჭერი მაინც ახურავს, ბინები, უპირველესად, ისეთ ხალხს მივეცით, ვინც კარავში ცხოვრობდაო, განმარტავს ზურაბ გუდავაძე. **"ვინც ჭკუა იხმარა, ნევროლოგიურში არ შევიდა და კარავში ყოფნა არჩია, ბინა მისცეს. ჩვენ ასე ვერ მოვიქცეოდით. ზვიადს აქ უჭირს და კარავში როგორ ვაცხოვრებდით. ნევროლოგიურ ინსტიტუტში შემოსახლებულთა შორის ჩემი შვილი ერთადერთი ინვალიდია და გამონაკლისის დაშვება ხომ შეიძლებოდა,"** – ჩივის ზვიადის დედა.

ზვიადს, მშობლების გარდა, ორი და ჰყავს. ერთი გათხოვილია. ოჯახს, ძირითადად, მეორე და არჩენს. "რაც აქ გადმოვედით, ჩემ ხელფასსს ზვიადის აქეთ-იქით ტარებაში ვხარჯავთ. დახმარებისთვის ხან გამგეობას მიაკითხა, ხან მერიას, მაგრამ არაფერი გამოსდის", - ამბობს იგი. ზვიადს ზოდელავას დაპირება გაუხსენებია და დახმარების სათხოვნელად თამამად მიუკითხავს, მაგრამ მერის კაბინეტამდე ვერ მიუღწევია. **"მერიაში სამჯერ ვიყავი, მაგრამ ზოდელავასთან არ შემიშვეს. მისაღებში მითხრეს, ჩაგწერთ და მერს ერთი თვის შემდეგ შეგახვედრებთო,"** – ამბობს ზვიადი. სხვათა შორის, მერიაში ეს ფაქტი ვერ გაიხსენეს. შეუძლებელია, აქ ეტლიანი ინვალიდი მოსულიყო, მერთან შეხვედრა ეთხოვა და არ შეეშვათ. თუ არ გჯერათ, მოვიდეს ორშაბათს, მიღების დღეს და ნახავთ, რომ მერის კაბინეტში უპრობლემოდ შევა, - გვითხრეს მერიაში.



ზაქაშვილები დაპირების შესრულებას ითხოვენ

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი თანხის მიღებას სექტემბრის ბოლოს ელის. პრეზიდენტის ფონდი 1,5 მლნ. ლარს შეჰპირდა, მერია – 1 მლნ. ლარს, ფოთის პორტი და დიმიტროვის საავიაციო ქარხანა – 400-400 ათას ლარს. ამ თანხით ფონდი 300 ბინის ყიდვას გეგმავს. არადა, დროებით საცხოვრებელს მესამე კატეგორიის ავარიული სახლის 1 573 მოქალაქე ელის. **"14 წელია, არავისთვის არაფერი გვითხოვია. ორად-ორი ადამიანი, ვინც ზვიადს ეხმარება, ასევე ინვალიდები, გოგა კოხრეიძე და კახა გველესიანი არიან. ოთხი თვის წინათ ზვიადი ისე ცუდად გახდა, კვდებოდა. სანამ ფული წინასწარ არ მივეცით, არც ერთ საავადმყოფოში არ მიიღეს. ისევ გოგა და კახა რომ არ დაგვხმარებოდნენ, დღეს ჩვენი შვილი ცოცხალი არ იქნებოდა,"** - ამბობენ ზაქაშვილები და ქალაქის მერს სთხოვენ, ეს ერთხელ დაგვეხმარეთ, ინვალიდი ბიჭისთვის გამონაკლისი დაუშვით, აბაზანიან-ტუალეტიანი ბინა გამოგვიყავით და მეტს აღარ შეგაწუხებთო.

# ონკანიდან ტალახიანი წყალი მოდის, ხარისხი ნორმების შესაბამისია

ნანა ქადაგიშვილი

"თბილწყალკანალმა" გასულ კვირას თბილისში საკანალიზაციო ქსელის დაზიანების 81 შემთხვევა დააფიქსირა. ორი კვირის წინათ, თბილისის ორ ქუჩაზე - გაგარინის ქუჩასა და გამსახურდიას გამზირზე, წყალგაყვანილობის ქსელის დიდი დაზიანება თითქმის ერთდროულად მოხდა. თუმცა, როგორც სანიტარული ზედამხედველობის სამსახური აცხადებს დედაქალაქის სასმელი წყლის ხარისხი, ჯერჯერობით, ნორმების შესაბამისია. **"ჩვენი სამსახური და "თბილწყალკანალი" სათაო ნაგებობებში წყლის სინჯებს ყოველდღიურად ვიღებთ და ნორმის დარღვევა არ აღმოგვიჩენია,"** – გვითხრეს სანიტარული ზედამხედველობის სამსახურში. თუმცა, როგორც "თბილწყალკანალი" ამბობს ქალაქის სასმელი წყლის ხარისხის დასადგენად მხოლოდ სათაო ნაგებობების შემოწმება არ კმარა.

წინა კვირას აღმოჩენილი საკანალიზაციო ქსელის დაზიანებები პირველი შემთხვევა არ არის. კარგა ხანია, "თბილწყალკანალი" ჩივის, რომ ქალაქის საკანალიზაციო სისტემა მთლიანად გამოსაცვლელია, 30-40 წლის წინათ გაკეთებული თუჯის მილები ჟანგმა შეჭამა. ეს ქალაქის ხელმძღვანელობამაც მშვენივრად იცის, მაგრამ "წყალკანალის" წლევანდელი ბიუჯეტი 11 მლნ. ლარია, თბილისის წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაციას კი 200 მლნ. დოლარი მაინც სჭირდება. მართალია, უახლოეს მომავალში "წყალკანალი" სასიამოვნო სიახლეს გვპირდება ( მსოფლიო ბანკმა თბილისის წყალგაყვანილობის სისტემის შესაკეთებლად 25 მლნ. ლარი გამოყო და ამ სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების ტენდერიც გამოცხადდა), მაგრამ ეს სამომავლო საქმეა, თანაც ეს თანხა მხოლოდ ქსელის განსაკუთრებით დაზიანებული ადგილების შეკეთებას ეყოფა. ამიტომაც, სანიტარული სამსახურის დამამშვიდებელი განცხადებების მიუხედავად, ქალაქის მოსახლეობა ხშირად არაბუნებრივი შეფერილობის წყალს იღებს. როგორც მოსკოვის გამზირზე მცხოვრებლებმა გვითხრეს, თითქმის ერთი თვეა, მათთან სასმელ წყალს ტალახი და ქვიშა მოჰყვება. რამდენჯერმე თითქმის შავი ფერის წყალი მოვიდა, წყლის დალევის უკვე გვეშინიაო, ჩივის მოსახლეობა.

"თბილწყალკანალში" მოსკოვის გამზირზე მობინადრეთა ნათქვამი არ გაკვირვებიათ, რადგან ასეთი საჩივრით ქალაქის არაერთი რაიონის მცხოვრებლები აკითხავენ. **"შეიძლება, სათაო ნაგებობებზე აღებულმა წყლის სინჯებმა დარღვევა არ აჩვენოს, მაგრამ ქალაქის სასმელი წყლის დაბინძურება წყალგაყვანილობის ქსელის დაზიანებამ გამოიწვიოს. დარღვეული მილები მიწას შეიწოვს და სასმელ წყალში ქვიშა და ტალახიც ამიტომ ჩნდება,"** - განგვიცხადეს "თბილწყალკანალში".

ასე რომ, ტალახიანი სასმელი წყალი, შეიძლება, ხვალ ქალაქის სხვა რაიონსა და ქუჩაზე აღმოაჩინოთ. ამიტომ "წყალკანალი" მოსახლეობას ურჩევს, ეს ამბავი სასწრაფოდ საკუთარი რაიონის წყალგასაღების უბანს შეატყობინოს. თუ წყალგაყვანილობის ქსელია დაზიანებული, მისი შეკეთება "თბილწყალკანალის" რაიონულ განყოფილებებს ევალება, ხოლო თუ მილები შენობაშია დაზიანებული, სახლმმართველობას უნდა მიმართოთ. პრობლემის მოგვარებამდე კი ჯობს, გადადუღებული წყალი მიირთვათ.

# წიგნი და ჯანმრთელობა

დალი კუპრავა

## აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი გასრისეს

სახელმძღვანელოების ფასით წელში გაწყვეტილ მშობლებს, როგორც ცეცხლს ნავთი, ისე მიესალბუნათ არაკი მოწამლულ სახელმძღვანელოებზე.

"მომწამლავი საკვები არ გვეყოფოდა, ახლა წიგნიც არ წავაკითხოთ ბავშვებს?"- აღშფოთებულია სახელმძღვანელოების რიგში დედა და მაინც ყიდულობს ბოტანიკის სახელმძღვანელოს.

"ეს ყველაფერი ტყუილია, კარტოზიას მოხსნა უნდათ, მაგრამ ჩვენ რას გვერჩიან, რატომ გვზაფრავენ?"- ესაუბრება მშობელი მშობელს და ისინიც ყიდულობენ სახელმძღვანელოებს.

მოკლედ, მავანთა ინტერესთა ჭიდილში, საზოგადოება კვლავ კოზაკის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

## წიგნი საწამლავია?

რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფალსიფიცირებული სახელმძღვანელოები იაფი მავნე საღებავებით იბეჭდებაო. როცა დამამტკიცებელი ფაქტით დავინტერესდით, "ნებისმიერ ქიმიკოსთან" გაგვაგზავნეს, რომელიც ამას იოლად დაადასტურებდა. მაშინ ჭორი, შავი ბაზრის წინააღმდეგ მიმართულ იაფფასიან სვლად ჩავთვალეთ.

ვისი პასუხისმგებლობით იბეჭდება წიგნები? რადგან გამომცემლობების უმეტესობა მხოლოდ სახელმძღვანელოებს არ ბეჭდავს, ამიტომ ზოგადად წიგნზე ვისაუბროთ – რა მნიშვნელობა აქვს, ბავშვი ფიზიკის სახელმძღვანელოთი თუ "ლოლიტათი" ან "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებით" მოიწამლება.

"საღებავებს საქართველოში არ აწარმოებენ. სტამბები გერმანულ და ჰოლანდიურ საღებავებს ყიდულობენ. თუ სადმეა დარჩენილი დაძველებული "კომუნისტური" საღებავი, არ ვიცი,"- თქვა გამომცემლობა "ლამპარის" ხელმძღვანელმა, გია მგალობლიშვილმა. მანვე მედლის ორი მხარე გაიხსენა და აღნიშნა, რომ საზოგადოების პანიკასთან ერთად, დაფრქვეულმა ჭორმა ფალსიფიცირებულ სახელმძღვანელოებს მუშტარი დაუკარგაო.

გამომცემლობა "ნეკერის" ხელმძღვანელმა გიორგი ბაგრატიონმა გვითხრა, რომ რიზოგრაფის საღებავი ბანანის ქერქისგან მზადდება. თუ საგულდაგულოდ დავყნოსავთ წიგნს, შესაძლოა სურნელიც შევიგრძნოთ. თუმცა...

## ბანანზეც ამბობდნენ, მოწამლულიაო

"ნებისმიერ საღებავში, კულინარულის ჩათვლით, მომწამლავი ნივთიერებები შედის, მაგრამ გააჩნია დოზას. ვერცხლისწყალი ადამიანს კლავს, მაგრამ თერმომეტრით მოწამლული ჯერ არავის უნახავს", - გვითხრა ქიმიკოსმა ნონა შარიქაძემ.

"ვიცი ის, რომ წინა წლებთან შედარებით წელს ჩვენი წიგნების რეალიზაცია 25 პროცენტით გაიზარდა. "საქართველოს მაცნე", პირველი სტამბა და კარტოგრაფიის ფაბრიკა, ნამდვილად ვიცი, რომ ძველ საღებავებს არ ხმარობენ, ან რატომ უნდა გაიფუჭონ ბიზნესი. აი, წელს ვისი პროდუქციის რეალიზაციაც არ გაზრდილა, "შავი ბაზარი" და ვადაგასული საღებავიც იქ არის მოსაძებნი", - ამბობს გია მგალობლიშვილი და კმაყოფილი აღნიშნავს, რომ წელს თბილისში ფალსიფიცირებული წიგნები სულს ღაფავენ.

გამომცემლობა "ჯი-სი-აი"-ის ხელმძღვანელმა შადიმან ხელაძემ აღნიშნა, რომ თბილისში "შავი ბაზარი" მოკვდა, მაგრამ ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში გაიფურჩქნა. წელს თბილისის სტამბები წიგნების ბეჭდვას ვერ აუდიან და ეს სახელმძღვანელოებით ვაჭრობას აფერხებს, "თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ წინა წლებში დეფიციტს ფალსიფიცირებული სახელმძღვანელოები ავსებდნენ".

## ვინ აგებს პასუხს წიგნების უვნებლობაზე

სოროსის ფონდის სახელმძღვანელოების პროგრამის ყოფილი და ახალი კოორდინატორის განცხადებით სახელმძღვანელოების ე.წ. "ჯანმრთელობის პარამეტრი" დიზაინით შემოიფარგლება: ასოების დაშორება, მხედველობასთან მისადაგება, საღებავის ფერის შერჩევა, ამ რეკომენდაციებს პროგრამის ექსპერტები ადგენენ. ექსპერტი ქიმიკოსი შესაბამისი პარამეტრებით პროგრამას არ ჰყავს.

სახელმძღვანელოების პროგრამას 2003 წლიდან მსოფლიო ბანკი გააგრძელებს და ქიმიურ პარამეტრებსაც გაითვალისწინებს.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგომა და პრევენტული საქმიანობა უშუალოდ ჯანდაცვის საქმეა.

"ამოწყვეტილი ხომ არ არიან, შვილები თუ არა ძმიშვილები მაინც ეყოლებათ და მათ ხომ არ დაწამლავენ", - ეს ფრაზაც ჭორის გავრცელების შემდეგ წიგნების ბაზრობაზე მოვისმინეთ.

# გენდერი საშიში სიტყვა არ არის

ლელა მარგიანი

14 სექტემბერს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ქალთა პოლიტიკური ფორუმი, რომელიც მიეძღვნა 2002 წელს საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და ამომრჩეველ ქალთა ინტერესების დაცვის პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავების საკითხებს.

ქალთა ფორუმის ორგანიზატორი იყო "ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი", რომელიც დაფუძნდა 2002 წელს ქალთა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით.

ფორუმზე აღინიშნა , რომ საქართველოს არცერთი მოწვევის პარლამენტს ამ, მსოფლიო მასშტაბით საყურადღებო თემაზე არ უმსჯელია და დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში ქალთა ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალი არ არის გამოყენებული.

ფორუმმა მიიღო მიმართვა და სამი რეზოლუცია: გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის, ქალთა ინსტიტუციონალური სტრუქტურებისა და ქალთა სოციალურ- ეკონომიკური ინტერესების დაცვის შესახებ.

ფორუმზე ითქვა ისიც, რომ გენდერი საშიში სიტყვა არ არის და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში, სადაც ქალი და მამაკაცი ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, არ არიან მშიერი ბავშვები, მიტოვებული მოხუცები და არ მძვინვარებს სისხლიანი ომები.

მკითხველი - გაზეთი

# ვინ პატრონობს სხვენებს?

ეკატერინე ბახუტაშვილი

*"24 საათის" რედაქციაში შეწუხებულმა ქალბატონმა დარეკა და შემოგვჩივლა, რომ ხუთი წლის წინათ მეზობელთან დაწყებული დავის შედეგად საკუთარი ბინის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. ვუკოლ ბერიძის N5-ში მცხოვრებს სახლში ვესტუმრეთ.*

ქეთევან ჩხიკვაძე, ძველებურ ოროთახიან ბინაში თავის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. სამსართულიანი სახლი სახელმწიფო კანცელარიასთან ახლოს მდებარეობს და იგი 1932 წელსაა აშენებული. ჩხიკვაძეების ბინა ბოლო სართულზეა. სწორედ მასზე დაშენების გამო წარმოქმნილი დავა გახდა ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ჩხიკვაძეები, უკვე 5 წელია, ერთი ინსტანციიდან მეორეში დადიან და ვერაფერი გაურკვევიათ. ჩხიკვაძეების სახლი მიწისძვრამდე მეორე კატეგორიისა იყო და საერთოდ გაურკვეველია, რა დაშენებაზე შეიძლებოდა საუბარი. სახლში შესულს თვალში მოგხვდებათ სასამართლო პროცესების შედეგად დაგროვილი დასტა-დასტა საქაღალდეები, რომლებიც ზოგიერთი ჩინოვნიკისათვის მხოლოდ ფარატინა ფურცლებია.

დავა 1997 წლის აგვისტოდან დაიწყო, როცა ჩხიკვაძის მეზობელმა გურამ ნაკაიძემ...

"მან გვიან ღამით ფარულად შემოიტანა სამშენებლო მასალა და ჩემი ბინის მხარეს, სადარბაზოს კიბის უჯრედის თავზე, მშენებლობა წამოიწყო. ეს ბაქანი მამაჩემმა იმიტომ ააშენა, რომ ჩემი ინვალიდი ძმა სუფთა ჰაერზე გაგვეყვანა.

მშენებლობის ნებართვა ნაკაიძეს გამგეობიდან და არქიტექტურის დეპარტამენტიდან არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა, ჰქონოდა. ვის აღარ მივმართე - პოლიციას, სახლმმართველობას, ქალაქის მთავარ არქიტექტორს, გამგეობას, მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, მაგრამ უკანონო მშენებლობა ვერ შევაჩერებინე. მთაწმინდის რაიონის მაშინდელმა მთავარმა არქიტექტორმა რომან ლებანიძემ მითხრა, ეს სხვენი მერიის საკუთრებაა და ვისაც უნდა, იმას აჩუქებსო. თან დაამატა, ეს ისეთმა პატივცემულმა პირმა გვთხოვა, უარს ნამდვილად ვერ ვეტყოდითო. დღემდე ვერ გავიგე, ვინ დგას ნაკაიძის უკან.

თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ სამშენებლო კონტროლის ინსპექციამ მთაწმინდის მაშინდელ გამგეობის თავმჯდომარეს, ჩხიკვიშვილს აცნობა, რომ ნაკაიძემ მშენებლობა თვითნებურად წამოიწყო და ამორტიზირებულ შენობაზე დაშენება-მიშენება დაუშვებლად მიიჩნია. არსებობს ასევე მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის კომისიის და ტექნიკური საბჭოს დასკვნა, რომ კიბის უჯრედის თავზე განლაგებულ ბაქანზე შესაძლებელია მხოლოდ ღია მსუბუქი საჩრდილობლის მოწყობა და ადგილზე ატანილი საშენმასალის გატანა მოითხოვა.

„2000 წლის 27 ივლისის სასამართლო დადგენილებით, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, ნაკაიძეს მშენებლობა აეკრძალა. ამის მიუხედავად, მან კიბის უჯრედის თავზე გაურკვეველი ტიპის ნაგებობა მაინც დააშენა და დაისაკუთრა", - გვითხრა ქეთევან ჩხიკვაძემ.

ჩხიკვაძის არქივში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს გაგაცნობთ: 1997 წლის 25 დეკემბრის წერილში გამგეობის თავმჯდომარე სოსო ჩხიკვიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს შენობაზე მანსარდის მშენებლობას. 1998 წლის 15 იანვარს პრეზიდენტისათვის გაცემულ პასუხში იგი იტყობინება, რომ გამგეობას ასეთი ნებართვა არ გაუცია.

1998 წლის 10 ივნისს გაცემულ ცნობაში გურამ ნაკაიძის ბინა პრივატიზირებულია, იმავე წლის 4 დეკემბერს გაცემულ ცნობაში – კომუნალური. ამის გარდა, 2000 წლის 2 აგვისტოს მთავარი არქიტექტორი აცხადებდა, რომ ავარიულ სახლზე მშენებლობა თვითნებურადაა წამოწყებული და მას ნებართვა არ გაუცია, ხოლო ამავე წლის 8 მაისს არქიტექტურის დეპარტამენტს გაცემული აქვს მშენებლობის ნებართვა.

ამასობაში კიბის ბაქანზე აშენებული ნაგებობა ვიღაცამ დააზიანა და ნაკაიძეს კარგი შესაძლებლობა მიეცა - მან საოლქო სასამართლოში იჩივლა და მატერიალური ზარალის საზღაურად ჩხიკვაძისგან კომპენსაცია მოითხოვა. გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო და სასამართლომ ჩხიკვაძეს 1914 ლარი დააკისრა. გადაუხდელობის შემთხვევაში, ქონებას აუდიტი შეაფასებს და აუქციონზე გაიყიდება. ჩხიკვაძეს კი თანხა არ გააჩნია. იგი და მისი ქალიშვილი უმუშევრები არიან.

# რატომ მოხსნა თურქიაშვილმა დაცვა

ინგა ალავიძე
სოფიკო ჩხაიძე

პანკისის ხეობაში ორიოდ დღის წინ მოხდა ის, რითაც ხელისუფლება წლების მანძილზე პრობლემის მოუგვარებლობას ამართლებდა. ბოევიკებსა და ძალოვანებს შორის შეტაკებამ ანტიკრიმინალურ ოპერაციას რეალური კამპანიის ელფერი შესძინა. არ დააყოვნა რეაქციამ რუსეთის ოფიციალურ პირთა მხრიდანაც და ბოევიკების მიერ პანკისის დატოვება მოსკოვმაც აღიარა. ერთი შეხედვით, ანტიკრიმინალური ოპერაცია თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ ზემოაღნიშნული შეტაკებისას დაჭრილი ჩეჩენის ახმეტის საავადმყოფოდან გაქცევამ ქართველი სამართალდამცველების რეპუტაციას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ცხელ გულზე, დააპატიმრა ახმეტის პოლიციის უფროსი ავთანდილ თურქიაშვილი.

ძნელი დასაჯერებელია, რომ დაჭრილი ჩეჩენის გაქცევა მარტო თურქიაშვილის დაუდევრობის შედეგი იყოს. ამ უცნაური კაზუსის (შეგახსენებთ: ორივე ფეხში დაჭრილი ჩეჩენი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაიყვანეს საავადმყოფოდან და ყველა ბლოკპოსტის გავლით მთებში გადამალეს.) ახსნისთვის იქნებ იმის გახსენება ღირდეს, თუ როგორ შეიქმნა და რად იქცა საქართველოსთვის პანკისი.

პანკისის ხეობის კრიმინალიზება 1999 წლიდან დაიწყო, როცა რუსეთის ჯარებს გამოქცეული ჩეჩნები საქართველოში შემოვიდნენ. სწორედ ამ დროიდან იწყება პანკისის ჩამოყალიბება სხვადასხვა რჯულის კრიმინალთა თავშესაფრად. არაერთგზის თქმულა ისიც, რომ სამართალდამცველებისთვის პანკისის ხეობაში არსებული უმართავი სიტუაცია ხელის მოთბობის კარგ საშუალებად იქცა. ხეობა "უცხო პირთათვის" ჩაკეტილი იყო.

პანკისის ხეობის სახით, ქუთათელაძე-თარგამაძის შემცვლელ ახალ ძალოვან მინისტრებს უმძიმესი კრიმინალურ-ტერორისტული მემკვიდრეობა ერგოთ.

ვალერი ხაბურძანია პირველი ქართველი მინისტრი იყო, ვინც გაბედა და პანკისის ხეობაში არსებული სიტუაცია დღის სინათლეზე გამოიტანა. პრეზიდენტთან გამართულ გაფართოებულ თათბირზე უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას "რისკიანი" გამოსვლა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნიდან სულ ცოტა ხანში, კობა ნარჩემაშვილმა პანკისში სიტუაციის გასაკონტროლებელ ღონისძიებებზე დაიწყო საუბარი, მაგრამ ისევ გამოჩნდნენ სტრატეგები, რომლებიც პანკისის ხეობას ფაქიზ რეგიონს უწოდებდნენ და რადიკალური ღონისძიებების გატარებას დაუშვებლად მიიჩნევდნენ. საქართველოში კი კვლავ ქრებოდნენ ადამიანები, იტაცებდნენ უცხოელებს და თითქმის ყველა კვალი პანკისისკენ მიდიოდა. გატაცებულებს, შიგადაშიგ, ათავისუფლებდნენ კიდეც, მაგრამ რაღაც გასაიდუმლოებული მოლაპარაკებების შედეგად. ამიტომაც სავსებით ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, რომ პანკისში მოკალათებულ კრიმინალებთან კავშირში იყვნენ ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები.


„ისეთი რამეები მოხდება, სულ ცხარე ცრემლით იტირებთ" საქინფორმი

პანკისში მასშტაბური ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების მთავარი მოწინააღმდეგე შსს-ს ყოფილი მინისტრი იყო. ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების შეფასებებით, პანკისის კრიმინალიზაცია სწორედ კახა თარგამაძის მინისტრობის პერიოდში დაიწყო. დღეისათვის მას არც სამინისტროში დაუკარგავს სადავეები და არც, საერთოდ, ქვეყანაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი, პუტინის ულტიმატუმის შემდეგ, უმალ გამოჩნდა სახელმწიფო კანცელარიის დერეფანში. თავად კახა თარგამაძე ამჟამინდელ გავლენას ასე აფასებს:

**"ვაკონტროლებ სიტუაციას?.. ამაზე დიდი იდიოტობა, არ შეიძლება, ვინმემ თქვას... იცით რას გეტყვით? მე ახლა გაცილებით მეტ და სერიოზულ ინფორმაციებს ვფლობ, ვიდრე მინისტრობის პერიოდში,"**

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი გაჩნდება მოსაზრება, რომ შსს-ს ყოფილი მინისტრი მთლიანად საქმის კურსშია, თუ რა ხდება პანკისში (რომელიც ჟურნალისტებისთვის და, საერთოდ, საზოგადოებისთვის ისევ დახურულია) და პროცესებზე სერიოზულ ზეგავლენასაც ახდენს.

ჩეჩენის იდუმალ გაუჩინარებას კი წინ უძღოდა სატელეფონო ზარი, რომლითაც მითიურმა მაღალჩინოსანმა ხელმძღვანელმა თურქიაშვილს დაცვის მოხსნა უბრძანა და ეს არ იცოდა ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელმძღვანელმა, შსს-ს ახლანდელმა მინისტრმა.

კლსიკური გაგებით, დასკვნების გაკეთება პრესის საქმე არაა - ჟურნალისტი მხოლოდ მოვლენის აღწერითა და ფაქტების მიწოდებით უნდა შემოიფარგლოს, და ეს სწორია. ამიტომაც, ბოლოს, კიდევ ერთი ფაქტი: შეკითხვაზე, რამდენად სერიოზულია ხმები კახა თარგამაძის სახელმწიფო სამსახურში დაბრუნების შესახებ, "რკინის მინისტრმა" გვიპასუხა: **"ძალიან მალე ისეთი რამეები მოხდება, სულ ცხარე ცრემლით იტირებთო".**

# გამამართლებელ განაჩენს ასაჩივრებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ორთვიანი დაძაბული სასამართლო პროცესი, რომელიც უპრეცედენტო გადაწყვეტილებით - შვიდი განსასჯელის დარბაზიდან გათავისუფლებით დასრულდა, ორ დღეში კვლავ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის განხილვის საგანი გახდება.*

*შვიდი განსასჯელისთვის გამოტანილმა გამამართლებელმა განაჩენმა თავდაყირა დააყენა საქმის ორწლიანი გამოძიება.*

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მკვლელობაში ბრალდებული შვიდი განსასჯელის ბრალეულობის მტკიცებულებების გაბათილებისა და წინასწარი გამოძიების მიერ შეგნებულად დაშვებული შეცდომების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. შეგახსენებთ, რომ მკვლელობის ვერსია, რომელზეც საბრალდებო დასკვნა იყო აგებული, სასამართლო გამოძიების პირველსავე ეტაპზე გამოირიცხა. თუმცა, ბრალდების მხარე კვლავ თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ სწორედ ვარლამ აფხაძემ, კონსტანტინე გვენეტაძემ, შოთა წულეისკირმა, ზაზა ფაილოძემ, ოთარ კუჭავამ, კობა დანელიამ და ნუკრი ვაშაკიძემ ჯერ მატარებლიდან გადააგდეს ვიქტორ ბიჩუკი, შემდეგ მის მოსაძებნად ჩავიდნენ და მძიმე დაზიანებებით უკვე გარდაცვლილი ბიჩუკი ხეზე ჩამოკიდეს, თვითმკვლელობის იმიტაციისთვის კი ჯიბეში შესაბამისი შინაარსის ბარათი ჩაუდეს. სასამართლო პროცესზე პროკურორებმა განსასჯელთათვის 13-15-წლიანი პატიმრობა მოითხოვეს. არადა, სასამართლო გამოძიებისას გაირკვა, რომ მკვლელობის ღამეს არც ერთი განსასჯელი იმ მატარებელში არ იმყოფებოდა.

სასამართლოზე გამოჩნდა, რომ გამოძიების მსვლელობისას უდანაშაულო ადამიანები წინასწარი განზრახვით იყვნენ უკანონოდ დაპატიმრებულნი. პროცესის მიმდინარეობისას აშკარა გახდა, რომ გამოძიებამ ბიჩუკის თვითმკვლელობის შინაარსის ბარათის ავტორობა ჯერ გვენეტაძეს, შემდეგ კი აფხაძეს დააბრალა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ გიორგი ქოიავამ, რომელმაც გამამართლებელი განაჩენით წყალში ჩაყარა ქუთაისის სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის ხანგრძლივი "თავდადებული შრომა", კერძო განჩინებით, გენერალურ პროკურატურას ქუთაისის სამხედრო პროკურატურის თანამშრომლების საქმიანობის შესწავლა დაავალა. **"შედეგი ერთ თვეში ეცნობოს უზენაეს სასამართლოს",** - ასეთი იყო მოსამართლის მკაცრი მოთხოვნა. **"საბრალდებო დასკვნა უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევით არის შედგენილი; გამოძიება კანონისა და კონსტიტუციის უგულებელყოფით არის ჩატარებული",**- ასეთი იყო განაჩენის შინაარსი.

მოსამართლე ქოიავამ თავდაცვის სამინისტროს ქუთაისის გარნიზონს ჰაუპტვახტის თანამშრომელთა საქმიანობის გადამოწმება დაავალა და პასუხი ამ უწყებიდანაც ერთი თვის შემდეგ მოითხოვა. მას შემდეგ უკვე ორი თვე გავიდა, მაგრამ უზენაეს სასამართლოს პასუხი ჯერ არც ერთი უწყებიდან არ მიუღია.

გამართლებული განსასჯელების ოჯახის წევრები და ადვოკატები კი, ახალი საჩივრით, კატეგორიულად მოითხოვენ გამომძიებელთა დასჯას. მოსარჩელეები ასევე მოითხოვენ, დაისვას საკითხი სასამართლო პროცესში მონაწილე პროკურორების მიმართ სათანადო ზომების გასატარებლად. არადა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საკასაციო საჩივრით უზენაეს სასამართლოს პროკურატურამაც მიმართა. პროკურატურა მოსამართლე ქოიავას მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს იწუნებს და მის გაუქმებას ითხოვს.

მოკლედ, ორ დღეში უზენაეს სასამართლოს ორი საპირისპირო სარჩელის ერთდროულად განხილვა მოუწევს. გახმაურებული მკვლელობის საქმის დასასრულიც სწორედ ორ დღეში გახდება ცნობილი.

# გივი თარგამაძეს პოლიციური მეთვალყურეობა დაუწესეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

"თავისუფლების ინსტიტუტისა" და ანტიკორუფციული საბჭოს წევრს გივი თარგამაძეს, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, კვირაში ერთხელ ან ორჯერ საკუთარი ფეხით მოუწევს საბურთალოს პოლიციაში მისვლა და ზედამხედველობის აქტზე ხელის მოწერა იმის დასადასტურებლად, რომ ქალაქშია და არც არსად აპირებს წასვლას. პოლიციის ზედამხედველობა მას გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მოსამართლემ ნაირა დურგლიშვილმა დაუწესა. არადა, რამდენიმე დღის წინ, იმავე სასამართლოში, იმავე დარბაზში მოსამართლე ტაბატაძემ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა და გივი თარგამაძეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა არ დაუნიშნა. მაშინ მოსამართლე ტაბატაძემ უსაფუძვლოდ ჩათვალა გამოძიების არგუმენტი - თარგამაძე, თავისი თანამდებობის გამოყენებით, ხელს შეუშლიდა გამოძიებას. თუმცა, იმ პროცესზე მოსამართლემ ერთი შეცდომა დაუშვა: გამოტანილი გადაწყვეტილების ოქმის გაფორმებისას, დადგენილება ბრძანებაში აერია და ოქმს ბრძანება დაარქვა.

სწორედ მოსამართლის შეცდომა გახდა საოლქო სასამართლოში საქმის არგანხილვის მიზეზი. საოლქოს მოსამართლემ კოლეგა ტაბატაძის ბრძანება გააუქმა და უპასუხოდ დატოვა დაზარალებული მხარის მოთხოვნა თარგამაძისთვის პოლიციის მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამოძიებამ მართლმსაჯულებას იმავე მოთხოვნით მესამედ მიმართა და იმავე არგუმენტით (რომ თარგამაძე თავისი თანამდებობის გამოყენებით ხელს შეუშლის გამოძიებას) ისევ მისი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა მოითხოვა.


გივი თარგამაძე მაინც კარგ ხასიათზეა. იური ლობოდინის ფოტო

ხულიგნობაში ეჭვმიტანილ გივი თარგამაძეს ორი კვირის განმავლობაში უკვე მესამედ მოუწია სასამართლოში გამოცხადებამ.

გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსამართლე ნაირა დურგლიშვილმა ხულიგნობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე დახურულ სხდომაზე კიდევ ერთხელ განიხილა და საათნახევრიანი ფიქრის შემდეგ გამოძიების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

თუ რამდენიმე დღის წინ მოსამართლე ტაბატაძეს, უბრალოდ, ოქმის იურიდიული დასათაურება შეეშალა, გუშინ მოსამართლე დურგლიშვილმა უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია, რადგან სასამართლო გამოძიებამდე განაცხადა, რომ გივი თარგამაძე დამნაშავეა. მოსამართლემ თავის გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა მიზეზები, რის გამოც თარგამაძისთვის პოლიციის მეთვალყურეობის დაწესება საჭიროდ ჩათვალა.

თავად ბრალდებული ისევ თვითონ თვლის თავს დაზარალებულად და სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკურ შეკვეთას უწოდებს.

**"შევარდნაძის ბოლოდროინდელმა კომენტარებმა შედეგი გამოიღო. სისხლის სამართლის საქმე არარსებულ ფაქტზეა აღძრული. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ ჩემი საქმიანობით ძალოვან უწყებებს ბევრ საფრთხეს ვუქმნი. სწორედ ამიტომ, შევარდნაძემ, სასამართლოს დახმარებით, ამ უწყების კონტროლი დამიწესა. მისი პირადი დაინტერესებაა, ჩამომაშოროს ანტიკორუფციულ საქმიანობას",** - გვითხრა გივი თარგამაძემ. ის ამ გადაწყვეტილების საოლქო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.ერთი სასამართლო ინსტანციიდან მეორეში მოარული ხულიგნობის საქმე კი ორ დღეში კვლავ საოლქო სასამართლოში მოხვდება.




# ახალი სენსაციური ვერსია გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეში

გიორგი ღონღაძის მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ, რუსეთისა და უკრაინის პრესაში, მკვლელობის შემკვეთის თაობაზე, გავრცელდა ახალი ვერსია. როგორც ცნობილია, მთელი ორი წლის მანძილზე ღონღაძის მკვლელობის შემკვეთად სახელდებოდა უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რის საფუძველსაც ჟურნალისტის მიერ კუჩმასა და მისი გარემოცვის კორუფციული საქმიანობის შესახებ ჩატარებული გამოძიება იძლეოდა. კუჩმას დაცვის წევრმა გამოძიებას წარუდგინა კიდეც მის მიერ მოპოვებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელზეც დაფიქსირებულია, თუ როგორ იძლევა კუჩმა ღონღაძის მოშორების ბრძანებას.

გამოძიება ორი წლის მანძილზე მკვლელობის სხვადასხვა ვერსიაზე მუშაობდა, მათ შორის ზემოაღნიშნულზეც, თუმცა, ლოგიკურ დასკვნამდე არ მისულა.

გუშინ პრესაში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია, უფრო ზუსტად, "უკრაინის პრავდის" მთავარი რედაქტორისა და რადიო "თავისუფლების" უკრაინის ბიუროს ხელმძღვანელის სატელეფონო საუბრის გაშიფრული ჩანაწერი. საუბრის მიხედვით, ღონღაძის მკვლელობაში კუჩმას ხელი არ ურევია, მკვლელობა შეუკვეთა სხვამ, დიდი ძალაუფლებისა და გავლენის პოლიტიკურმა ფიგურამ. თუ ვინ არის შემკვეთი, პრესა ჯერჯერობით არ ასახელებს.

# დღეს გამოცდას ისიც აბარებს, ვინც ხელისუფლებაში მოსვლაზე აცხადებს პრეტენზიას

პირველი გვერდიდან

ანტიქართული გამოსვლებით (დროებით თავი გავანებოთ ამასთან დაკავშირებული ისეთი ცნებების განხილვას, როგორებიცაა: ეროვნული თავმოყვარეობა, კოლაბორაციონიზმი და ა.შ).

მთავარი არსი ასეთი განლაგებისა არის ის, რომ ჩვენ, ყველანი, მიუხედავად საგარეო პრიორიტეტებისა, ყველაზე ნაკლებად ჩვენსავე ძალებზე ვიყავით და ვართ ორიენტირებულნი. ბუნებრივია, აქ არ არის საუბარი, რომ რუსეთის აგრესიას მოსკოვში დესანტის გადასხმით ვუპასუხოთ. მაგრამ ბოლო დღეებში გაკეთებულ ათეულობით განცხადებას შორის მოიძებნება კი ერთი მაინც, რომელშიც მთავრობა, პარლამენტი, პოლიტიკოსები საქართველოს მოსახლეობას მიმართავდნენ და კრიტიკულ სიტუაციაში თუნდაც სიმტკიცისკენ მოუწოდებდნენ? სამწუხაროდ, ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, დღეს მსოფლიო სხვაგვარია, თამაშის სხვა წესები მოქმედებს, საქართველო ნელა-ნელა გლობალური უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილი ხდება, მაგრამ ეს ყოველივე ფუჭი იქნება, თუ თვითონ სახელმწიფო და მისი მოქალაქეები არ იგრძნობენ, რომ უპირველესი პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედზე მათ აკისრიათ და მხოლოდ ამის გაცნობიერების შემდეგ შეიძლება გარედან დახმარებაზე ფიქრი.

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითი ისევ და ისევ ისრაელია. მიუხედავად უზარმაზარი საგარეო მხარდაჭერისა, რომ არა ამ ქვეყნის მოქალაქეების და ხელისუფლების უზომო პატრიოტიზმი და პრინციპულ საკითხებში ერთიანობა, დღეს სიტუაცია სრულიად სხვაგვარი იქნებოდა.

ბოლო დღეების საინფორმაციო ომის შემყურე და რეალური ომის მომლოდინე ადამიანები შიშმა შეიპყრო - ხელისუფლების იმედი მათ არ აქვთ, დასავლეთის მხარდაჭერაში კი ბოლომდე დარწმუნებულები არ არიან. ამიტომაც გასაკვირი არ არის, მაგრამ ძალზე საგანგაშოა, როდესაც იმავე "ღამის კურიერის" გამოკითხვაში მონაწილეთა 30 პროცენტი პანკისში ერთობლივი რუსულ-ქართული ოპერაციის, ანუ საქართველოს კავკასიურ ომში ჩაბმის მომხრე აღმოჩნდა. ეს ფსიქოლოგიური დათრგუნულობა, რაც ამ დღეებში სუფევს, ყველაზე მეტად საშიშია. სწორედ ის შეიცავს ხალხის ქუჩაში გამოსვლის საფრთხეს, იმ საფრთხეს, რისიც ასე ეშინია ხელისუფლებას.

დღეს ხელისუფლებაც და ოპოზიციის ნაწილიც იმაზე საუბრობს, რომ კრიტიკულ მომენტში პოლიტიკური დაპირისპირებების დრო არ არის. ამაში ნამდვილად გახლავთ საღი აზრი - ასეთ დროს მოქმედებაა საჭირო და არა მტყუან-მართლის გარჩევა. მაგრამ არაფერი გვიშლის ხელს, არა მარტო შევაფასოთ შექმნილი მდგომარეობა, არამედ სამომავლოდ სწორი დასკვნების გამოტანაც ვცადოთ. საუბრები იმაზე, რომ შექმნილი მდგომარეობა პრეზიდენტ შევარდნაძეს შიდა დაპირისპირებებს აარიდებს, მხოლოდ მოკლევადიანი პერსპექტივისთვისაა მართებული. ხელისუფლებას და, პირველ რიგში, პრეზიდენტ შევარდნაძეს, დაძაბულობის ამ ტალღის გადავლის შემდეგ, ბევრ, მისთვის არასასიამოვნო კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა: როგორ სახელმწიფოს აშენებს? რა არის ამ სახელმწიფოს პრიორიტეტები – ის, რომ ჯარი და მისი მეთაურები, მათხოვრებივით, მუდმივად ფულს იხვეწებოდნენ და "რაგატკებზე" ოცნებობდნენ? ის, რომ თავდაცვის სამინისტრო თავისსავე ქვეყანაში დამზადებულ და მოდერნიზებულ სამხედრო თვითმფრინავებს ვერ ყიდულობს? თუ ის, რომ ქვეყანას, რომელიც ომს გიცხადებს, სტრატეგიული ობიექტები უნდა აჩუქო? და საერთოდ, შეძლო კი შევარდნაძემ მისი მმართველობის პერიოდში სახელმწიფოს ჩამოყალიბება? ამ კითხვებზე პასუხი მოსახლეობისათვის იმდენად ნათელია, რომ თითქოს აზრს კარგავს კიდეც ის არგუმენტები, რომელიც ხელისუფლებას აქვს. ამიტომაც, სტრატეგიულად, დღეს შექმნილი მდგომარეობა პრეზიდენტის პოზიციებს კიდევ უფრო ასუსტებს, რადგანაც ნათლად წარმოაჩენს ხელისუფლების მოღვაწეობის რეალურ შედეგებს - შევარდნაძემ ვერ შეძლო, შეექმნა ის მყარი ფუნდამენტი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძნებოდა. ამის გაკეთება მას, როგორც ჩანს, არც ძალუძს.


გარეგნულად თბილმა შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო.

მაგრამ, სანამ რომელიმე პოლიტიკური ძალა ან ძალები ამ არგუმენტებით ხელისუფლების შეცვლაზე დაიწყებდნენ საუბარს, საზოგადოებამ მათგანაც უნდა მოისმინოს, თუ როგორ აპირებენ ისინი დღეს შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლას. ეს, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელისუფლების კრიტიკა. დღევანდელი ხელისუფლება თითქმის უკვე წარსულია, მისი უპასუხისმგებლობა და უნიათობა აღარ გამოდგება საბაბად მათთვის, ვინც მომავალზე აცხადებს პრეტენზიას. როდესაც საუბარია ღირებულებებზე, პასუხისმგებლობაზე, ამის უკან ყოველთვის უნდა იდგას კონკრეტული სამოქმედო გეგმა, ხედვა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ეს ქვეყანა. დღეს ხელისუფლებისადმი უარყოფითად განწყობილი ბევრი ჩვენი თანამოქალაქე მომავალს უიმედოდ შეჰყურებს, რადგანაც ვერ ხედავს იმ ალტერნატიულ მიდგომებს, რომლებიც, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, პროცესებს წინ წასწევს. ლოზუნგებით ხელისუფლების დამხობისა და ქვეყნის მართვის მწარე გამოცდილება კი საქართველოს საკმარისზე მეტი აქვს. ამიტომაც, დღეს გამოცდის ჩაბარება იმასაც უწევს, ვინც ხელისუფლებაში მოსვლაზე აცხადებს პრეტენზიას.

# ქართული პოლიტიკა რუსეთის წნეხის ქვეშ

პირველი გვერდიდან

ერთი მხრივ, რუსეთის პრეზიდენტი ანგარიშს უწევს დასავლეთის და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას, რომელიც საქართველოს ფარივით იცავს. მეორე მხრივ, ვლადიმირ პუტინმა საკმაოდ მკაფიო ულტიმატუმით მიმართა მეზობელ ქვეყანას და თავისი მუქარა ოფიციალურად აცნობა მსოფლიო თანამეგობრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

რა შეიძლება მოხდეს ამ გაუგებარ ვითარებაში? ძალაში რჩება ორი მარტივი ალტერნატივა: რუსეთი დაგვბომბავს, ან არ დაგვბომბავს. რუსულ ინტერნეტულ გაზეთში "სტრანა.რუ" რუსეთის თავდაცვის სამინისტროს "სანდო წყაროზე დაყრდნობით", 12 სექტემბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ჩეჩენ ტერორისტთა ბაზების განადგურების ოპერაციაში "20 000 რუსი სამხედრო მოსამსახურე, ვერტმფრენების რამდენიმე ესკადრილია და ავიაციის სამხედრო-სატრანსპორტო დივიზია" ჩაერთვება. ეს საქართველოს ანექსიის მცდელობას ჰგავს. თუ რუსეთი საქართველოს ხელახალ ანექსიას დააპირებს, სამხედრო ოპერაციის შედეგების განხილვა დღეს ნამდვილად შეუძლებელია.

მაგრამ არსებობს სხვა ვარაუდიც: ვლადიმირ პუტინს ხელს აძლევს არა აგრესია საქართველოზე, არამედ – მხოლოდ მუქარა. "ძლიერი" განცხადებები მას უქმნის "ძლიერი" პრეზიდენტის იმიჯს და შესაბამის ავტორიტეტს რუსეთში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის მოსახლეობის ერთ ნაწილს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს "ჭირვეულობა" მეტად აღიზიანებს. ჭირვეულის მორჯულების მცდელობა კი პუტინს ღვაწლად ეთვლება.

■ ■ ■

2002 წლის მარტში ჟურნალ "ოგონიოკში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორთან - იგორ იაკოვენკოსთან, სათაურით "ასე ხომ დავმარცხდებით?!" ინტერვიუში განხილულია რუსეთის მიერ მოგებული და წაგებული ომები და ის მითები, რომლებიც ხელს უშლის რუსეთის სახელმწიფოს განვითარებას. შემოგთავაზებთ რამდენიმე ციტატას ამ პუბლიკაციიდან:

**"ივანე მრისხანეს ეპოქიდან 1991 წლამდე რუსეთი იმპერია იყო. იმპერიის მეხსიერება კი მხოლოდ გამარჯვებებს ინახავს. იქმნება მითოლოგია, რომ რუსი ხალხი დაუმარცხებელია, რომ ჩვენ ყოველთვის თავს გვესხმიან, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, თავი დავიცვათ. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ მოსკოვის პატარა სათავადო მამულმა, თავდაცვითი ომების წყალობით, ნახევარი კონტინენტი დაიპყრო...**

**დღემდე არავინ აღიარებს ერთ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას - რომ რუსეთმა, რაგინდ მტკივნეული იყოს მოსასმენად, XX საუკუნე წააგო; მხოლოდ "ცივი ომი" კი არა, მასთან ერთად, მთელი XX საუკუნეც. იმპერიის ნგრევა ბოლო 20-25 წლის ნაყოფი არ ყოფილა, ეს მთელი საუკუნის შედეგია. დამარცხებაზე არავინ საუბრობს, რადგან მითოლოგიას მარცხი არ უყვარს. თანაც, რუსეთი ისე დამარცხდა, რომ სახელმწიფოებრიობა არ დაუკარგავს. ქვეყანა ოკუპირებული არ ყოფილა, არადა – პირწმინდად წააგო!..**

**უნდა ვაღიაროთ, რომ ის, რაც მოხდა, ობიექტური და კანონზომიერი პროცესი იყო. ადამიანები სერიოზულად ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირის ბედი ბელოვეჟის ტევრში შეკრებილმა სამმა კაცმა თვითნებურად გადაწყვიტა. საბჭოთა კავშირის დაშლას საზოგადოების უმრავლესობა დღემდე შემთხვევითობად აღიქვამს. არგუმენტად იმას იშველიებენ, რომ რეფერენდუმზე მოსახლეობამ ხმა არ მისცა საბჭოთა კავშირის დაშლას. განა რომის იმპერია იმის გამო დაემხო, რომ რომაელები მის დამხობას უჭერდნენ მხარს?..**

**ჩვენი თვალსაზრისის არგუმენტირება და სხვისი თვალსაზრისის მიღება – აი, რა გვაკლია ყველაფერზე მეტად. მაგრამ თუ საზოგადოებას არ შეუძლია, რაციონალურად შეაფასოს სამყარო და მასში მიმდინარე მოვლენები, ასეთი საზოგადოება დასაღუპად არის განწირული. ამიტომ, თუ გვსურს, რომ XXI საუკუნეში ამჟამინდელი რუსეთის ტერიტორიაზე ადამიანები რუსულად საუბრობდნენ, ღრმად უნდა ჩავისუნთქოთ, დამარცხება ვაღიაროთ, რევანშიზმი დავძლიოთ, "დიადი რუსეთი" დავივიწყოთ და, უბრალოდ, ვიშრომოთ..."**

■ ■ ■

ამ ვრცელი ფრაგმენტის გაცნობის შემდეგ, უფრო ადვილად გავიზიარებთ ვარაუდს, რომ, შესაძლოა, საქართველოს "მოთვინიერება" მხოლოდ მორიგი მითია, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტი საკუთარ მოსახლეობას კვებავს. აგრესიული ნაბიჯი გადაიდგა, საქართველო შეტორტმანდა, პუტინის – როგორც ძლიერი ხელისუფლის – ავტორიტეტი განმტკიცდა; ოქტომბერში და ნოემბერში კი როგორმე მოიძებნება მიზეზი, რომელიც სპეციალური ოპერაციის გაურკვეველი ვადით გადადებას გაამართლებს. შეგახსენებთ, ვსაუბრობთ იმ ვერსიაზე, თუკი პუტინს ხელს აძლევს არა აგრესია საქართველოზე, არამედ – მხოლოდ მუქარა.

დაბომბავს თუ არა პუტინი საქართველოს, ჯერ არ ვიცით; ის კი ვიცით, რომ თუნდაც მორიგი რუსული მითი საქართველოში არანაკლებ კვალს დატოვებს, ვიდრე თავად რუსეთში. უახლოესი პერიოდის პოლიტიკურ პროცესზე რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობა და პუტინის მუქარა აუცილებლად აისახება.

საკითხავია, როგორ?

■ ■ ■

ასეთ დროს, როგორც წესი, ამბობენ ხოლმე, რომ საქართველოში "მეხუთე კოლონა" ამოძრავდა. "მეხუთე კოლონა" აგრესიული და შეურაცხმყოფელი შესიტყვებაა, თუმცა, მის მიღმა ჩვეულებრივი ადამიანები იგულისხმებიან, ისინი, ვისასაც ყოველდღე ვხედავთ, თუნდაც - ტელეეკრანზე. რაც დრო გადის, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ის სეგმენტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ოჯახების პრობლემების მოგვარებას რუსეთს უკავშირებს. "სეგმენტი" ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, რადგან პრორუსული პოლიტიკური ძალები მაინცდამაინც შეკავშირებულის შთაბეჭდილებას არ ტოვებენ, თუმცა, აშკარად აქტიურობენ. ასლან აბაშიძე, ყველასთვის მოულოდნელად, მოსკოვში აცხადებს, რომ რუსეთის ჯარს ჩვენ არ ალვიქვამთ, როგორც უცხო ქვეყნის ჯარს; ვახტანგ რჩეულიშვილი რუსი პოლიტიკოსების "რეცეპტს" იმეორებს და ენერგიულად გვთავაზობს, რომ საქართველოს "ფარობა", ამერიკასთან ერთად, რუსეთმაც გასწიოს; ჯუმბერ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭაჭია კი, მაინცდამაინც ამ დღეებში, "რუსთავი 2"-ის ღამის ეთერს ზედიზედ სტუმრობენ და ხელისუფლების უსუსურობაში არწმუნებენ საზოგადოებას.

ეს სამი პარტია – აღორძინების კავშირი, სოციალისტები და ერთობა – რუსულ ინტერესებს კი იცავს, მაგრამ ცალ-ცალკე და ნაკლებად ეფექტიანად მოქმედებს. შესაძლოა, იმის გამო, რომ სრულიად განსხვავებულია მათი დამოკიდებულება მთავრობის მიმართ. სოციალისტების ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი საქართველოს პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან მეგობრობს; აღორძინების ლიდერი ასლან აბაშიძე – თბილისის პოლიტიკურ ცენტრში არავისთან მეგობრობს, მაგრამ საკუთარი ინტერესების დასაცავად დიალოგზე და ცალკეულ გარიგებებზე უარს არასოდეს ამბობს; ხოლო ერთობის ლიდერები – ჯუმბერ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭაჭია – ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას ახლოს არ ეკარებიან და "გარედან" მწვავედ აკრიტიკებენ. საქართველოს მთავრობის მიმართ დამოკიდებულება (ალბათ, სხვა ფაქტორებთან ერთად) პრორუსული ორიენტაციის პარტიებს ერთმანეთისგან აშორებს.

აშკარაა, რომ თუ რუსეთს სურს თავისი ინტერესების გატარება საქართველოში, ასე ვთქვათ, "პარტიული ხაზით", მას სხვა ძალების გამოყენება მოუხდება, რადგან ვერც აღორძინება, ვერც ერთობა და ვერც სოციალისტების პარტია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ამინდს ვერ ქმნიან.

■ ■ ■

რა შეიძლება სჭირდებოდეს რუსეთს ქართული პოლიტიკისგან? ცხადია, მეტი დათმობა მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების მიმართ. ამის მიღწევა შესაძლებელია ორი გზით: ედუარდ შევარდნაძის დაყოლიებით, ან მისი შეცვლის მცდელობით. ორივე მიზნის მისაღწევად კარგ საფუძველს ქმნის შიდა დესტაბილიზაცია; შესაბამისად - ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც უბრალო ადამიანებს ქუჩაში გამოიყვანენ, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსულ სცენარს გაითამაშებენ. მეორე მხრივ, თუ რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესებს შეესაბამება დესტაბილიზაცია და ხელისუფლების შეცვლა ანტიკონსტიტუციური გზით, უნდა თუ არ უნდა, რუსეთი მისი მოკავშირე ხდება.

ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. საერთაშორისო პროექტების განხორციელება, სტაბილურობა და კონსტიტუციური ვადების დაცვა პირდაპირ შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს საქართველოში. ეს ხელს აძლევს ედუარდ შევარდნაძესაც, რადგან მისი პროგრამა-მინიმუმია, მშვიდობიანად მიაღწიოს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე. სტაბილურობა და საკონსტიტუციო ვადების დაცვა ხელს აძლევს პარტიების იმ ნაწილსაც, რომელსაც პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბება ჯერ არ დაუსრულებია და დრო სჭირდება გასაძლიერებლად.

■ ■ ■

ქართულ დემოკრატიულ სპექტრში სამი გამოკვეთილი ლიდერია: კონსერვატორი ედუარდ შევარდნაძე, რეფორმატორი ზურაბ ჟვანია და რადიკალი მიხეილ სააკაშვილი.

ედუარდ შევარდნაძეს ხელს აძლევს სტაბილურობა და, უფრო მეტად, სტაგნაცია, რადგან იგი მინიმალური რისკით მართავს ქვეყანას.

ზურაბ ჟვანიას ხელს აძლევს სტაბილურობა და საკონსტიტუციო ვადების დაცვა, რადგან მას დრო სჭირდება საკუთარი პოზიციის გასაძლიერებლად.

მიხეილ სააკაშვილს ხელს აძლევს პროცესების რადიკალური დაჩქარება და, ხალხის ნებაზე დაყრდნობით, ხელისუფლების შეცვლა რაც შეიძლება სწრაფად, თუნდაც, საკონსტიტუციო ვადების დარღვევით.

რუსეთის მხრიდან აგრესიამ მკაფიოდ გამოკვეთა პარტიული ლიდერების ამოცანები და ადგილი პოლიტიკურ სპექტრში. 11 სექტემბერსვე, როგორც კი შევარდნაძის პოზიცია ერთბაშად შესუსტდა, ჟვანიას გუნდმა განაცხადა, რომ იგი კრიტიკულ ვითარებაში გვერდით დაუდგება ხელისუფლებას; ხოლო მიხეილ სააკაშვილის გუნდმა განაცხადა, რომ იგი სწორედ კრიტიკულ ვითარებაში დაუპირისპირდება სუსტ და უსუსურ ხელისუფლებას. ფაქტობრივად, ორივე გუნდი საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ამ ინტერესებმა ჟვანიას ისევ შევარდნაძის ორბიტაზე მიუჩინა ადგილი, სააკაშვილს კი – შევარდნაძის პირისპირ.

რუსეთის აგრესიული მუქარის ქვეშ ზურაბ ჟვანიამ კიდევ ერთხელ განიმტკიცა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ლიდერის იმიჯი (ეს მისი პლუსი იყო), მაგრამ იგი ისევ ხელახლა აღმოჩნდა პრეზიდენტისა და მთავრობის გვერდით (ესე იგი, დაბრუნდა იმ წერტილში, რომელსაც, დიდი ჯაფის შემდეგ, როგორც იქნა, თავი დააღწია).

რუსეთის აგრესიული მუქარის ქვეშ მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ განიმტკიცა ხელისუფლებასთან შეურიგებელი მებრძოლის იმიჯი (რაც მისი პლუსი იყო), მაგრამ მისი პოზიცია ზედმიწევნით დაემთხვა რუსეთის ინტერესებს, რამაც საზოგადოებაში გააჩინა ეჭვი, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერი პარტიულ ინტერესებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებს.

ასე რომ, საბოლოოდ, ჟვანიამ გამოხატა სახელმწიფოებრივი პოზიცია, მაგრამ აღმოჩნდა ნდობადაკარგული მთავრობის გვერდით. ხოლო სააკაშვილი კიდევ უფრო მწვავედ დაუპირისპირდა ნდობადაკარგულ მთავრობას და აღმოჩნდა რუსეთის ინტერესების გვერდით.

ამ პირობებში, რიგით მოქალაქეს მისთვის საინტერესო არჩევანის უფლება კიდევ ერთხელ ჩამოერთვა, მაგრამ ეს არ ყოფილა "რუსული მითის" ზემოქმედების ერთადერთი მწვავე შედეგი.

■ ■ ■

წინა საგაზეთო სტატიებში ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ან პარტიული ლიდერი იქნება, ან – სახელისუფლო ლიდერი. იმისათვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები რომელიმე პარტიულმა ლიდერმა მოიგოს, მას დასჭირდება სერიოზული წარმატება საპარლამენტო არჩევნებში 2003 წლის შემოდგომაზე. ასეთი წარმატება კი შესაძლებელია მხოლოდ სტრატეგიულად მოკავშირე პარტიების მიერ ერთიანი კოალიციის შექმნით. თუკი პარტიული ლიდერები საერთო ენას ვერ მოძებნიან, ისინი ერთმანეთის მეტოქეები აღმოჩნდებიან და ერთმანეთს დაასუსტებენ, ამასობაში კი კარგი პირობები შეიქმნება რომელიმე სახელისუფლო ლიდერის გასაძლიერებლად.

მართალია, მიხეილ სააკაშვილიც და ზურაბ ჟვანიაც სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრობენ, მაგრამ ქვეყნისთვის მძიმე დღეებმა დაადასტურა, რომ გაერთიანებული დემოკრატებისა და ნაციონალური მოძრაობის თანამშრომლობის სივრცე სულ უფრო მეტად მცირდება. ის, რაც ხელსაყრელია სააკაშვილისთვის, როგორც პარტიული ლიდერისთვის, სრულიად არახელსაყრელია ჟვანიასთვის და პირიქით. ამ ზოგადი თვალსაზრისის ფაქტობრივი დადასტურება ის არის, რომ პარლამენტის სხდომაზე გაერთიანებული დემოკრატების მიერ გამოტანილ მიმართვას საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი (რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით), სააკაშვილის თანამოაზრეებს შორის მხოლოდ სამი მხარდამჭერი აღმოაჩნდა; ხოლო, თავის მხრივ, "ნაციონალთა" დამფუძნებელ ყრილობაზე ზურაბ ჟვანია არ გამოჩენილა.

■ ■ ■

პოლიტიკური სამკუთხედი: შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილი, რომელიც რამდენიმე თვის წინ სამ დამოუკიდებელ სეგმენტად დაიშალა, რუსეთის აგრესიის ქვეშ ისევ თავიდან შეიკრა. შევარდნაძე და სააკაშვილი დგანან ერთმანეთის პირისპირ, ჟვანია კი დგას მათ შორის და ორივესთან მისასვლელ გზას იტოვებს. საფიქრებელია, რომ პრეზიდენტი კმაყოფილია გაერთიანებული დემოკრატების პოზიციით პარლამენტის ბოლო სხდომებზე. ედუარდ შევარდნაძეს კარგი შესაძლებლობა ეძლევა იმისათვის, რომ ჟვანიას მიმართ კეთილგანწყობა სხვადასხვა ფორმით გამოხატოს. საშიშიც სწორედ ეს არის.

დღეს შევარდნაძე და ჟვანია "ფრონტის" ერთ მხარეს აღმოჩნდნენ. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჟვანიას სამომავლო ინტერესებს შეესაბამება კონსოლიდაცია პარტიულ ლიდერებთან და არა პრეზიდენტთან. პრეზიდენტის ინტერესებს კი, შესაძლოა, სწორედ პარტიული ლიდერების ერთმანეთთან დაპირისპირება შეესაბამებოდეს (თუკი იგი რომელიმე სახელისუფლო ლიდერის გაძლიერებას აპირებს). ჟვანიასა და სააკაშვილს შორის ისედაც სერიოზული ბზარი არსებობს - მათი სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე; პრეზიდენტი კი, ჩანს, სიამოვნებით შეასრულებს პირბასრი სოლის ფუნქციას ამ ბზარში.

დღევანდელ კონკრეტულ რეალობაში ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ ვერა ზურაბ ჟვანია, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი ადგილი დემოკრატიული სპექტრის შუაში – შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის. რაც უფრო მეტად გაძლიერდება ჟვანია, როგორც დამოუკიდებელი პარტიული ლიდერი, მით მეტად საჭირო აღმოჩნდება იგი როგორც შევარდნაძისთვის, ისე სააკაშვილისთვის. ხოლო თუ ჟვანია იჩქარებს ამ ორს შორის სტრატეგიული პარტნიორის შერჩევას, იგი, ფაქტობრივად, დაკარგავს საკუთარ ადგილს და ფუნქციას პოლიტიკურ სპექტრში.

არსებობს სხვა წინააღმდეგობაც: პოლიტიკური ლოგიკის თანახმად, ჟვანიას, როგორც რეფორმატორ ლიდერს, ხელს აძლევს რადიკალი ლიდერის (მიხეილ სააკაშვილის) დასუსტება, განდევნა პოლიტიკური სივრცის პერიფერიაში (მისი მარგინალიზაცია). ამ პროცესში შევარდნაძე ჟვანიას მოკავშირეა. თუმცა, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, ჟვანიას ხელს აძლევს კონსოლიდაცია მეორე პოლიტიკურ ლიდერთან (მიხეილ სააკაშვილთან), რათა ისინი ერთად დაუპირისპირდნენ პრეზიდენტს და მის მიერ რომელიმე სახელისუფლო ლიდერის გაძლიერებას.

პოლიტიკური სამკუთხედი: შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილი – უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივია. რუსეთის მხრიდან აგრესიის მუქარამ – როგორც ექსტრემალურმა ვითარებამ - გაამწვავა და გაამჭვირვალა შიდა პოლიტიკის მეტ-ნაკლებად დაფარული პრობლემები. სწორედ პუტინის მუქარის ფონზე გამოიკვეთა, რომ ორ დემოკრატ ლიდერს - ჟვანიასა და სააკაშვილს – მეტისმეტად უჭირს "პირველ-მეორეზე" გათვლა, რაც, ამბიციების გარდა, განსხვავებულ ტაქტიკას და პარტიული ინტერესების კონფლიქტს ეფუძნება.

■ ■ ■

რჩება სამკუთხედის მესამე კუთხე: ედუარდ შევარდნაძე. რას მოიგებს, ან რას წააგებს საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის წნეხის ქვეშ?

ღია აგრესიის შემთხვევაში, საქართველო რუსეთს ბევრს ვერაფერს დაუპირისპირებს. შევარდნაძე წააგებს ყველაფერს და ვერაფერს მოიგებს.

პუტინის მუქარა და "რუსული მითის" წნეხი კი, შესაძლოა, პრეზიდენტისთვის ხელსაყრელიც აღმოჩნდეს. ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა, საკუთარი ქვეყნის პარლამენტის თანადგომა, ოპოზიციურ პარტიათა უმეტესობის თანხვედრი პოზიცია. რუსული აგრესიის საფრთხემ პრეზიდენტი მარტოკაციდან ქვეყნის ცენტრალურ ფიგურად აქცია.

თუ პუტინის ვერბალურ მუქარას სამომავლოდ "ჩქმაც" დაემატება და შევარდნაძის პოზიცია შესუსტდება, საფიქრებელია, რომ შიდა დესტაბილიზაცია არ დააყოვნებს და პრეზიდენტი ორმაგი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, ჟვანიას შევარდნაძის გვერდით ვიხილავთ, სააკაშვილს – მათ პირისპირ.

შესაძლოა, იმისათვის, რომ ორმაგი ცეცხლი აიცილოს, პრეზიდენტი იძულებული გახდეს, რომ საკუთარი ნებით დაუთმოს რუსეთის ხელისუფლებას ყველაფერი, რასაც მისგან ოფიციალურად ან არაოფიციალურად მოითხოვენ. ამ შემთხვევაში, ჟვანია, როგორც პროდასავლური ლიდერი, კატეგორიულად გაემიჯნება შევარდნაძეს და სააკაშვილის გვერდით აღმოჩნდება.

დღეს ედუარდ შევარდნაძე იძულებულია, იმოძრაოს სამ ნაღმს შორის, ესენია: რუსეთის ინტერესები საქართველოში, აშშ-ს ინტერესები საქართველოში და ნაციონალური მოძრაობის ინტერესი, რომელიც პრეზიდენტის ნებისმიერ შეცდომასა და სისუსტეს მის წინააღმდეგ დაუნდობლად გამოიყენებს.

■ ■ ■

მაშ ასე, რა შეიძლება მოხდეს უახლოეს მომავალში - ეს დამოკიდებული იქნება რუსეთის საბოლოო გადაწყვეტილებაზე. რას განუწესებს კრემლი საქართველოს? მინიმუმ სამი შესაძლებლობა დღესვე აშკარაა:

1. ღია აგრესია.
2. "რუსულ მითს" + "რუსული ჩქმა".
3. მხოლოდ "რუსული მითი" (ანუ ვერბალური მუქარა, "საკვები" რუსეთის მოსახლეობისთვის).

პოლიტიკური ლიდერებისთვის ფიქრის და ანალიზის ჟამი დგას. საზოგადოება კი კვლავინდებურად რჩება მძიმე ბურუსის და მსუბუქი შფოთის მდგომარეობაში, რადგან მისთვის, ვინ იცის, როდის მოინდომებენ სიმართლის თქმას.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

სექტემბერი ძალაში შევიდა და მასთან ერთად ჩვენი გაზეთიც დაუბრუნდა თავის ჩვეულ ზომას — 16 გვერდს. მართალია, ამ 16 გვერდიდან უკვე საგრძნობი მოცულობა მისი გავრცელების დამატებით მოტორებს — განცხადებებს, ანკეტებს და მისთანას ეთმობა, მაგრამ ეს ხომ, როგორც ჩვენში იტყვიან, მსოფლიო პრაქტიკაა. თუმცა მაინც გამომჟღავნდა ერთი თავისებურება, რომელსაც ჩვენს ღვთივკურთხეულ სამშობლოსა და დასავლეთს შორის არსებულ განსხვავებას უნდა ვუმადლოდეთ. იმას ვგულისხმობ, რომ განვითარებულ ქვეყნებში ტელევიზიის ყოვლისმომცველი გავლენის გამო პრესას თავის სარჩენად სულ ახალი და ახალი საშუალებების გამონახვა უხდება. ჩემი პირადი, ესე იგი ზერელე დაკვირვების საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ დასავლეთში პრესა, მგონი, არც იყიდება სხვადასხვანაირი დამატებების გარეშე. განსხვავება კი ისაა, რომ ეს დამატებები არასოდეს იკავებს გაზეთის ან ჟურნალის შიგა სივრცეს: უბრალოდ, პრესის შეძენა ამ დამატებათა მიღების აუცილებელი პირობაა. სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული: ამ პირობას ჩვენში შესრულება ნამდვილად არ უწერია. სანდომიანი უცნობები გაზეთს დამატების გარეშე მიიღებენ, ნაკლებ სანდომიანნი — ცალკე გაზეთსაც და ცალკე დამატებას გაზეთის ფასად, გამყიდვლის ნაცნობები კი სანდომიანობისაგან დამოუკიდებლად — დამატებას უგაზეთოდ და უფასოდ. მყიდველ-გამყიდველი ხომ ჩვენში ჯერ კიდევ ერთი ძირძველი ფორმულის თანახმად არსებობს: იცხოვრე და სხვაც აცხოვრე. არ გჯერა, მკითხველო? აბა წამით მოწყვიტე თვალი ამ სტრიქონებს და ოდნავ ზემოთ, ნარინჯისფერი ზოლისკენ გააპარე თვალი. ხედავ სადმე თარიღს? ვერ ხედავ! არც უნდა დაინახო, რადგან, როცა B1 გვერდზე თარიღი ეწერა, გამჭრიახი გამყიდვლები B-ბლოკს A-ბლოკისგან ცალკე ყიდდნენ 50 თეთრად.

ამიტომაც უნდა ავიტანოთ ანკეტები და განცხადებები იმ ფურცლებზე, სადაც შენ, ჩემო სანატრელო განათლებულო მკითხველო, იქნებ, სულ სხვა რამეს ელოდი... გამაგრდი და მტკიცედ დეგ, გახსოვდეს ჰესიოდეს ანდერძი: მხოლოდ ბრიყვნი ვერ ხედავენ, რომ ნახევარი მთელზე მეტია... ვიცი, შენ არ გვიღალატებ!

## დაგვიანებული ყვავილები

ამ რამდენიმე დღის წინ სწორედ ასეთ განათლებულ მკითხველებთან მომიწია საუბარი. ჯერ იყო და უნივერსიტეტის წინ მწერალი და სცენარისტი კოტე ჯანდიერი შემხვდა, რამდენიმე საათის დაგვიანებით კი — თეოლოგი არნოლდ ჰოხი. ორივესთვის განსჯის საგნად ერთი ჩემი წინა პუბლიკაცია შეიქმნა — "ყვითელი და შავი", სადაც ნუგზარ შატაიძისა და დათო ტურაშვილის მიერ შექმნილი ტექსტები განვიხილე. ორივე მკითხველი შეეცადა, გაეფართოებინა ჩემი წარმოდგენა თბილისის წარსულსა და ნუგზარ შატაიძის პიროვნებაზე.

კოტე იხსენებდა, რომ მარჯანიშვილის მოედნის მახლობლად გახსნილი მექანიკური სასადილო ნამდვილი მოვლენა იყო, რომლის წყალობით თბილისში გასული საუკუნის მძლავრი ტექნოკრატიული სულისკვეთების მსუბუქმა მონაბერმა მოაღწია; იხსენებდა, როგორ წაიყვანა მამამ ამ სასადილოს სანახავად და რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე უშველებელ მინის ცილინდრში მოთავსებული ლუდის ქარვისფერმა სიზრქემ, მონეტის ჩაგდებაზე ლითონის უჯრიდან მორჩილად გამომხტარი ბუტერბროდის სისხარტემ. კოტეს სიტყვების გამო ოდნავ სევდიანი განწყობა დამეუფლა — ჩვენ, ალბათ, ველარასოდეს შევიგრძნობთ ასეთ ხალას გაოცებას.

არნოლდი ნუგზარ შატაიძესთან მრავალწლიან მეგობრობას ეყრდნობოდა და ამტკიცებდა, რომ მწერალი ეპოქის კი არა, საკუთარი შეგრძნებების ნოსტალგიას განიცდის. არნოლდთან საუბრის მიღმა გამოჩნდა მოკრძალებული და გარემო სამყაროს მიმართ უსაზღვროდ კეთილგანწყობილი ადამიანი, რომელიც რამდენიმე წუთით თითქოსდა საუბარშიც კი ჩაგვერთო, თითქოსდა ჩვენ მასზე კი არა, მასთან ვსაუბრობდით.

შინ დაბრუნებისას, თავის გასამართლებლად კი არა, ისე, უბრალოდ, შემდეგი აზრი მომივიდა: ჩემი კრიტიკა რომ არა, იქნებ, არც ერთს ასე მწვავედ არ ეგრძნო ნუგზარ შატაიძის ტექსტში მძინარე პოტენციალი. კრიტიკა ხომ ბერძნულად სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა გაკვეთას, შინაგანის წარმოჩენას. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად კრიზისსაც ენათესავება და მართლაც კრიზისში უნდა ჩააგდოს ჩვენი მოდუნებული მგრძნობელობა, რათა გაზეთის ფურცლებზე თუ ქალაქის ქუჩებში შემხვედრმა ადამიანებმა ერთმანეთი გაამდიდრონ, თუნდაც ეს გამდიდრება შინაგან წინააღმდეგობათა გამოაშკარავების შედეგად იქნეს მიღწეული.

ოღონდ ზემოთქმულს ერთი რამ ნამდვილად უნდა დავსძინო. ნებისმიერ ტექსტს, თუნდაც ეს მატარებელთა მოძრაობის განრიგი იყოს, ჰყავს ეგრეთ წოდებული მკითხველი-მოდელი, ანუ მკითხველი, რომელსაც ეს ტექსტი თავის თავს უძღვნის. როცა მკითხველი-მოდელის ფარგლებში მხოლოდ ნაცნობ-მეგობრები იგულისხმება, მაშინ გამოვა, რომ ყველა დანარჩენი იძულებული იქნება მწერალს "სიტყვაზე დაუჯეროს"...

სწორედ ეს გვაიძულა გოგი გვახარიამ...

## სკანდალი ვენეციაში

10 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში *ვატიკანი როგორც სარეკლამო აგენტი*, ამერიკელი რეჟისორის, კენ კლარკის შესახებ ვკითხულობთ: "მე ვერ მოვიტყუები, — უთქვამს ლარი კლარკს პრეს კონფერენციაზე, არადა, როცა ფილმში იწყება "სექსუალური სცენა" და რეჟისორი მორცხვად არიდებს პერსონაჟებს კამერას, იგი უკვე ტყუის". იქნებ ლევ ტოლსტოიც ტყუის, როცა ანა კარენინასა და ალექსეი ვრონსკის "გულახდილ სცენებს" მორცხვად ფარავს მრავალწერტილებით? რა თქმა უნდა, გოგი იმას გულისხმობდა, რომ ლარი კლარკის მთელი ესთეტიკა და იდეური მიმართულება იმგვარია, რომ ყველაზე "ცხელ" მომენტში კამერის გვერდზე გაწევა ნამდვილად ტყუილია. გოგის ნაცნობ-მეგობრებს, რა თქმა უნდა ეჭვი არ შეგვეპარება, რომ ჩვენმა გამოჩენილმა კინომცოდნემ თავისი საქმე მშვენივრად იცის და არ ეშლება.

მაგრამ თუ გოგის ნაცნობ-მეგობართა ან თუნდაც შორეულ თაყვანისმცემელთა წრეს არ მივეკუთვნებით? მაშინ რაღა უნდა ვქნათ? ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტს ხომ სულ რამდენიმე სიტყვა გამოასწორებდა, მაგრამ ჩვენს ავტორს რთულ შინაარსზე მარტივად ლაპარაკი ეძნელა და ხილული თუ უხილავი სკანდალების დევნას გადაჰყვა. აბა ვნახოთ სკანდალი...

წერილი ასე იწყება:

"დასავლეთის ფესტივალებზე სკანდალები აღარ ხდებაო! — თქვა ერთმა სიმპათიურმა კაცმა ათი დღის წინ, "24 საათში" გამოქვეყნებული ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ".

გმადლობ, გოგი — შენ ყოველთვის უაღრესად კეთილგანწყობილი იყავი ჩემს მიმართ. მეც დღესაც შევეცდები გავამართლო ეს. ბოლოსდაბოლოს შენთვისაც ხომ რაღაცას ნიშნავს საქმის არსში გარკვევა, შენც ხომ მრავალჯერ გაგილაშქრია იმისათვის, რომ ვიღაცას, ვისაც პირადად არ იცნობ, თვალზე ლიბრი არ გადაკვროდა.

"გასულ ხუთშაბათს, — ვკითხულობთ წერილში "ოქროს ლომის" მფლობელი ფილმის "დები მაგდალინების" შესახებ, — ფილმის პრემიერის შემდეგ, იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის კათოლიკურმა გაზეთებმა მულანის ფილმის შესახებ დაწერილი სტატიები პირველ გვერდზე დაბეჭდეს — "ბინძური პროვოკაცია" და "უხამსი სიყალბე" უწოდეს ამ ამბავს".

კიდევ: "კათოლიკები თალიბანების როლში — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა "კორიერე დელა სერამ" თავისი კინომიმომხილველის წერილი".

დავიწყოთ ბოლოდან. აი, მაგალითად, რას წერს "კორიერე დელა სერაში" ალესიო ალტიკიერი: "პიტერ მულანის ფილმს შეუძლია შექმნას სენსაცია იტალიაში, თუ ვატიკანი მას მკაცრად გააკიცხავს, მაგრამ ეს ფილმი ნამდვილად ღია კარის მტვრევაა გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიისათვის, სადაც "მაგდალინათა სამრეცხაოს" ისტორიის საშინელება არასოდეს დავიწყნიათ დოკუმენტური და მხატვრული ფილმების წყალობით".

აქვე გამოქვეყნებულია კათოლიკე მღვდლის, დონ ვიტალიანოს წერილი, რომელშიც ნათქვამია: "ვფიქრობ, რომ ეკლესია მადლიერი უნდა იყოს პიტერ მულანისა და ნებისმიერი პიროვნებისა, რომელიც შეძლებს დღის სინათლეზე გამოიტანოს ჩვენი ისტორიის შავბნელი ფურცლები. მსურს მოვიშველიო პაპის ერთი გამონათქვამი, "მეხსიერების განწმენდა", რაც ნიშნავს წარსულის შეცდომებისადმი თვალის გასწორებასა და ჭეშმარიტების ძიებას".

მე არ მსურს ასე უხეშად შევიტანო ეჭვი გოგის მონათხრობში, მაგრამ, როგორც ვხედავთ, გამოთქმულს თვალსაზრისთა სპექტრი სინამდვილეში გაცილებით უფრო ფართოა. მით უმეტეს, რომ "კორიერე დელა სერა" ძალიან ძნელად თუ გაავლებს პარალელს კათოლიკებსა და ტალიბებს (ტალიბებს, და არა თალიბებს, — ირწმუნებიან არაბისტები) შორის. ამგვარი სტილი უფრო მემარცხენე გაზეთ "ლა რეპუბლიკასგანაა" მოსალოდნელი. და მაინც, ასეთი სათაურის მქონე სტატია მართლაც გამოაქვეყნა "კორიერემ", ოღონდ სათაური ბრჭყალებში იყო ჩასმული: "ეკლესია როგორც ტალიბები". თურმე გაზეთმა მხოლოდ თვით რეჟისორის შემდეგი სიტყვები გაახმოვანა გარეგნულად ეფექტურ სათაურში. სტატიაში კი სიტყვა სიტყვით წერია: "ფილმზე მუშაობისას, — თქვა რეჟისორმა, — თანდათანობით დავრწმუნდით, რომ კათოლიკურ ეკლესიასა და ტალიბებს შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა: დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი ნებისმიერი მსოფლიო რელიგია ისწრაფვის იფიქროს, რომ მოზარდები დიდ საფრთხეს წარმოადგენენ". როგორც ვხედავთ, თვით რეჟისორსაც გავლენიანი რელიგიების წიაღში არსებული უარყოფითი ტენდენციები უგულისხმია, და არა ვატიკანის ან კათოლიკური ეკლესიის რეაქცია თავის ფილმზე.

გარდა ამისა, თავიდანვე უცნაურად მომეჩვენა, რომ კათოლიკურ პრესაში შესაძლოა ვიპოვოთ ასეთი გამოთქმები: "ბინძური პროვოკაცია" და "უხამსი სიყალბე". მართალია, ჩემი რომაული წლების განმავლობაში ვატიკანის მთავარ გაზეთს (იქნებ "ერთადერთი გაზეთი" მეთქვა?) "ოსერვატორე რომანოს" ჩვენ, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსული სტიპენდიატები "ვატიკანსკაია პრავდას" ვეძახდით, იმდენად ნაცნობი იყო სტილიც და მასალის მოწოდების მეთოდებიც, მაგრამ ამგვარი გაუწონასწორებელი რეაქცია მისთვის ნამდვილად შეუფერებელია. "ოსერვატორე რომანოში" მართლაც გამოქვეყნდა პიტერ მულანის გამკიცხავი წერილი, რომელშიც დანარჩენი იტალიური პრესის მიერ მრავალჯერ ციტირებული ორი განსაზღვრება იყო მოცემული: "სიყალბე" და "ცილისწამება" (როგორც ვხედავთ, "უხამსისა" და "ბინძურის" გარეშე). შესაძლოა, გოგის მიერ მოყვანილი გამოთქმები სხვა კათოლიკურ გაზეთებში მართლაც გამოჩნდა, მაგრამ **ვატიკანი** აქ არაფერ შუაშია.

მაინც რა ხდება?

"ოსერვატორე რომანოში" გამოქვეყნებული გამკიცხავი სტატიის ავტორი არის მღვდელი და პოლიტიკოსი (ქრისტიან დემოკრატი) დონ ჯანი ბაჯეტ ბოცო. ეს პერსონაჟი ცნობილია თავისი რადიკალური პოზიციით: მაგალითად, ამ ბოლო ხანებში მან დაწერა, რომ იტალიური საშუალო სკოლა ხელს უწყობს ტერორისტების აღზრდას. რამ გააბრაზა დონ ბაჯეტ ბოცო?

იტალიურ პრესაში ვკითხულობთ, რომ ვენეციის წლევანდელი კინოფესტივალის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის "ფორცა იტალიას" ლიდერი და იტალიის პრემიერ-მინისტრი, სილვიო ბერლუსკონია. ცხადია, ვინც იხდის ფულს, ის უკვეთავს მუსიკას. მოსალოდნელი იყო, რომ ბერლუსკონი მემარცხენეებს "დაარტყამდა". მაგრამ მან სხვა გზა აირჩია — უფრო ადვილი...

ქრისტიან დემოკრატთა ისტორია იტალიაში სულ ახლახან დამთავრდა პარტიის ლიდერის, ბეტინო კრაქსის სიკვდილით. ბეტინომ აურაცხელი ფული მოიპარა და გაფლანგა. ბოლო რამდენიმე წელი ის მშობლიურ მართლმსაჯულებას ტუნისში ემალებოდა. მთელი იტალიისათვის ქრისტიანი დემოკრატები დღეს ქურდებთან და ავაზაკებთანაა გაიგივებული. ამიტომაც ვენეციის ჟიურის გადაწყვეტილება ბერლუსკონის მიერ ინსპირირებულად იქნა მიჩნეული და მას ქრისტიანი დემოკრატების საფლავზე დადებული საბოლოო ქვა ეწოდა. შეიძლება, ბერლუსკონის მხრიდან ამგვარი ნაბიჯი მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ის ვერანაირად ვერ ჩაითვლებოდა არაბუნებრივად და, მაპატიეთ ეს გამოთქმა, სკანდალურად.

ჩვენი ძველი ნაცნობი დონ ბაჯეტ ბოცო კი სწორედ ქრისტიან დემოკრატთა რელიქტია: იგი მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა მთავარ ავაზაკთან, ბეტინო კრაქსისთან. ასე რომ პოლიტიკოსი მოძღვრის გაბრაზებაც სრულიად გასაგებია.

ვატიკანის ოფიციალურ პირთაგან მულანის ფილმზე ჟიურის გადაწყვეტილებაზე რამდენიმე საათით ადრე აზრი გამოთქვა ადმინისტრაციის მრჩეველმა ვალერიო რივამ. მან თქვა, რომ წინასწარ არ ეთანხმება ჟიურის შესაძლო არჩევანს მულანის სასარგებლოდ, მაგრამ ცენზურის მომხრე არაა. კარდინალმა ერსილიო ტონინიმ კი შემდეგი განაცხადა: "წავიკითხე გაზეთები, სადაც ფილმი იყო წარმოდგენილი და იმ დროიდან გაკვირვებული ვარ, რომ არავის დაუსვია ისტორიული სიმართლის საკითხი: ეს ფილმი ვარაუდზეა აგებული თუ ნამდვილ ამბავს მოგვითხრობს? არ შეიძლება მხოლოდ ესთეტიკურ ღირებულებაზე იფიქრო და უგულებელჰყო ისტორიული სიმართლე: ნეორეალიზმიც საშინელებებს მოგვითხრობდა, მაგრამ სულ სხვა რამით იყო შთაგონებული. ამ ფილმს კი თითქოსდა პამფლეტის გემო უფრო აქვს". უარყოფითი აზრია, მაგრამ რაოდენი სიფრთხილით გამოთქმული! რა ცხადად ჩანს საუკუნოვანი ტრადიცია, რომელმაც თავის დროზე დენი დიდროს "მონაზონი" მოინელა. მულანმა რა უნდა დააკლოს მას? უფრო მეტიც: არსად შემხვედრია განსაზღვრება "სკანდალური", ყველგან უფრო რბილი და, მე ვიტყოდი, ზუსტი ზედსართავებია გამოყენებული: "საკამათო", "პოლემიკური".

მაგრამ რა? როგორც უკვე ვიცით, თოვლის გუნდა დაღმართზე დაგორებისას არ პატარავდება: მაგალითად, რუსული საინფორმაციო საიტი "გრანი.რუ" კარდინალ ტონინის სიტყვებს "ფილმის ნახვისას დიდი სიმწარე (grande amarezza) განვიცადე" თარგმნის არა როგორც "**сильную горечь**", არამედ როგორც "**невыразимую боль**". შესაძლოა ეს მაგალითი ვინმეს უმნიშვნელო ეჩვენოს, მაგრამ აზრი, რომლის დასამტკიცებლად მოვიყვანე იგი, თავისთავადაც აშკარაა: ინფორმაციის სეკონდჰენდი სახიფათო რამაა.

ერთი სიტყვით, ძალიან გამოჭირდება იმის თქმა, რომ ვატიკანის მხრიდან რაღაც სკანდალი დაიძრა, მაგრამ სარეკლამო აგენტის როლი კი ნამდვილად შეასრულა! აქ ცამდე მართალია ჩვენი ავტორი.

ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი იმან გადაწყვიტა, რასაც საქართველოში ყველაფერს ვაბრალებთ, ანუ პოლიტიკური ძალების განაწილებამ. დიახ, პოლიტიკის ქალალდები ცოტა თავისებურად განლაგდა და შესაბამისად კინოკრიტიკოსებიც "ბეზ ადნოი მოჯდნენ". რაა აქ მაინცდამაინც სკანდალური? სკანდალი (ბერძნული სკანდალონ) დაბრკოლებას ნიშნავს. მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი არსად არაა დარღვეული, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც აუცილებლად უნდა წარმართულიყო ბერლუსკონის გადაწყვეტილების შემდეგ. ანალიტიკოსთაგან კი ის ბრკოლდება, ვისაც მდგომარეობის შესაფასებლად საკმარისი ინფორმაციის მოპოვება არ შეუძლია.

ამ შემთხვევაში ჩვენს ავტორსაც ისევე მოუვიდა, როგორც როსტომ წერეთელთან მოთამაშე მოჭადრაკეს. ხომ გახსოვთ "ჩემი თავგადასავალი"? ჩვენი ავტორიც ისევე იძახის "სკანდალი, სკანდალიო", როგორც ის ცხონებული გაიძახდა "აშიბკა, აშიბკა"-ს. ჰოდა ჩვენც ვუთხრათ: სანამ ეს სკანდალი ვერ მოიშორე, მანამ ჩვენც არ გვიწერია საქმის ვითარებაში გარკვევა. ერთხელ, მახსოვს, ლაშა ბაქრაძემ მითხრა, უფრო სწორად, რაღაცას მოაყოლა საუბარში, რომ როდესაც ვიღაცეებმა მომხმარებლური საზოგადოების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მუხლებზე ამოხეული ჯინსები ჩაიცვეს, ამგვარი ჯინსები ერთ კვირაში დახლზე გაჩნდა. სკანდალიც საქონელია და მეტი არაფერი, სავალალოა, როცა აგურს ლალად მივიჩნევთ სიწითლის გამო.

აქ კი ერთი კვიმატი იდეა მომივიდა: მოდით შევაბრუნოთ ჭადრაკის დაფა. დავსვათ კითხვა: ნუთუ მართლა არ ყოფილა სკანდალი? პასუხი იმწამსვე გაგვიჩნდება: არის, არის სკანდალი და მერე როგორი! ოღონდ ჩვენს გულში აფეთქდა ეს სკანდალი — რატომ უნდა წყვეტდეს ხელოვნების საკითხებს ვინმე ბერლუსკონი, რომელსაც პოლიტიკურ არენაზე პირველი მარცხის დროს მთელი იტალიური პრესა გონებაშეზღუდულ საქმოსანს უწოდებდა.

არის სკანდალი, მაგრამ მისგან კომერციას ვერ შექმნი, სარფიანად ვერ გაყიდი, ასე რომ, ჩვენ მაინც ნუ დავაბიჯებთ ფეხს ორჯერ ერთსა და იმავე თოხს, ჩვენ მაინც მივხედოთ საქმის არსს და ზურგი ვაქციოთ ვერცხლის დათვებს, ოქროს ლომებს, პალმის რტოებს და მსოფლიო კინემატოგრაფიის გარეგნული ორნამენტიკის სხვა მცენარეულსა თუ ცხოველურ მოტივებს. ყოველთვის აღმოჩნდება ვინმე, ვინც ამის შესახებაც მიაწვდის ხმას ყველა მსურველს, ვინც სიხარულით ცას ეწევა რომელიმე პრეზენტაციისას მთვრალი გამომსვლელის დანახვაზე, ვინც ზუსტად იცის, რა ღირს პამელა ანდერსონის საცვლები, ვინც გვაუწყებს, რომ ჰიუ გრანტს ორმოცდაორი წელი და ორი თვე შეუსრულდა. ჩვენი დანიშნულება ხომ სულ სხვაა...

**P. S.** არ შემიძლია ერთი რამ არ ვთქვა: ხუთშაბათს, 12 სექტემბერს, B1 გვერდზე დაიბეჭდა მასალა, რომელიც მე, გაზეთის არსებობიდან მოყოლებული, საუკეთესოდ მიმაჩნია — XIX საუკუნის გურული მოჯირითეებისადმი მიძღვნილი სტატია *ერთხელ ამერიკაში*. შეიძლება ვინმეს ეს თვალსაზრისი გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ მე ჩემს პირად შთაბეჭდილებას მოგახსენებთ, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა, რაც არ გამნელებია.

**P. P. S.** მახსოვს, ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ჩემს პუბლიკაციებს პუშკინის პოეზიას ადარებენ (აზრი არა აქვს, მაგრამ იკითხება). დღეს პუშკინის გახსენების საბაბი მომეცა. საქმე ისაა, რომ გაზეთმა სხვადასხვანაირი შემეცნებით-გასართობი ჩანართების ბეჭდვა დაიწყო და ამ საქმეში მეც ჩავერთე. უნდა ვთქვა, რომ ამ ჩანართებს მე არ განვიხილავ, რადგანაც მათზე მომუშავე ადამიანები წარმოადგენენ людей, о коих не сужу, поскольку к ним принадлежу. შესაძლოა, შეამჩნიეთ, რომ ჩემი გვარი ხუთშაბათის ჩანართს აწერია, — "ევროისტორიას". ძალიან ვთხოვ ყველას, გამოთქვას თავისი შენიშვნები და სურვილები. მოდით, ერთად ვიმუშაოთ.






# „მიწა შეწუხებულია ჩვენი სულელური ენერგეტიკით"

## ალისა ფრეინდლიხი თბილისელებს ოპტიმისტურად შეხვდა

ვერა ნეფარიძე

სამი წლის შემდეგ ალისა ფრეინდლიხი კვლავ თბილისშია. ცნობილი რუსი მსახიობი საქართველოში დიდი დრამატული თეატრის დასს ჩამოჰყვა. სპექტაკლამდე დარჩენილი ხუთი დღე მას თითქმის მშობლიური ადგილებისა და ახლობლების მოსანახულებლად სჭირდება. თბილისის აეროპორტში ფრეინდლიხს დახვდნენ: რეჟისორი თემურ ჩხეიძე, ფესტივალ "ვივატ, სანკტ-პეტერბურგის" სპონსორები, თბილისში რუსეთის საელჩოსა და რუსული კულტურის ცენტრის თანამშრომლები და გაზეთი "24 საათი". გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც წუხელ აეროპორტის ჰოლში ჩაიწერა.

**- საქართველო-რუსეთს შორის ბოლო დროს დაძაბული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად თბილისში მაინც ჩამობრძანდით. საერთოდ, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

- ძალიან მძიმეა ჩემთვის ეს სიტუაცია. პოლიტიკისა საერთოდ არაფერი გამეგება და მიმაჩნია, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. თეატრზე რასაც მკითხავთ, ყველაფერს გიპასუხებთ. საშინელებაა, როდესაც საქმეში დილეტანტები ერევიან; მე საკუთარ თავს პოლიტიკაში დილეტანტად მივიჩნევ და ვფიქრობ, ის რაც ხდება, მხოლოდ პოლიტიკას ეხება. მას არანაირი საერთო არ აქვს შემოქმედებასთან და ადამიანის სულთან. ვაფასებ თბილისს, ქართველ ერს. ნათესავი მყავდა საქართველოში, დეიდის ქმარი; არდადეგებზე საქართველოში ჩამოვდიოდი. ჩემთვის ეს ძალიან მშობლიური მხარეა.

**- რას ეტყოდით პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ ურთიერთობებს ქმნიან?**

- ვურჩევდი, ერთმანეთი თანამემამულეებად აღექვათ და არა ეროვნულობის ნიშნით განესხვავებინათვინ ქართველია, ვინ რუსი, გერმანელი, თათარი და ა.შ. ჩვენ ერთი მიწისანი ვართ; მიწა შეწუხებულია ჩვენი სულელური ენერგეტიკით. მას სიმშვიდე სურს. მე, ალბათ, ველარ მოვესწრები, მაგრამ ჩემმა შვილიშვილებმა მინდა იცოცხლონ იმ ეპოქაში, როდესაც ადამიანები მხოლოდ ერთმანეთის თანმემამულეები იქნებიან. ნუთუ ამისათვის რაღაც მუქარა და ზემოქმედებაა საჭირო? არ მსურს, ვინმეს რაიმე ვასწავლო, მინდა, საკუთარ გულისთქმას მოუსმინონ და მხოლოდ მას მიენდონ.

**- თბილისში, განგებ, ხუთი დღით ადრე ჩამოხვედით, რამდენიმე დღე მეგობრების მოსანახულებას რომ მოანდომოთ. თუ შეიძლება, გაგვიმხილეთ, ვინ არიან ისინი?**

- რასაკვირველია, მათი რიცხვი ძალიან დიდია და არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. ძალიან მიყვარს მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრები; ყოფილ "ლენინგრადში" რომ ჩამოდიოდნენ, ამ დასების წევრებთან ჯერ კიდევ იმ დროიდან ვურთიერთობ. აი, ჩემი ერთ-ერთი შესანიშნავი მეგობარი, თემურ ჩხეიძეც აქ არის.

**- სამი წლის წინათ თბილისელებს "მაკბეტი" ჩამოუტანეთ. იმ სპექტაკლზე რას იტყოდით, რომელსაც ამჯერად წარმოადგენთ?**

- ეს სპექტაკლი არის მათთვის, ვისი სულიც სიზარმაცეს არ შესჩვევია და ჯერაც მუშაობა სურს. ის აგებულია ცვეტაევას, ახმატოვას, გუმილიოვისა და მანდელშტამის პოეზიაზე და ეს ლექსები ერთად მთელ სიუჟეტს ქმნის. რაც შეეხება სპექტაკლში აჟღერებულ რომანსებს, მათ "კავალერ-დუეტის" ძალიან კარგი მსახიობები, სამსახიობო სიმღერის კონკურსის ლაურეატები ასრულებენ. ამ სპექტაკლით მსურს, მთელ საქართველოს ვუთხრა: მე თქვენ ძალიან, ძალიან მიყვარხართ.

**როგორია თქვენი გეგმები საქართველოდან გამგზავრების შემდეგ?**

- სახლში მინდა, თანაც ძალიან. დიდი ხანია, შინიდან წამოსული ვარ. მთელი აგვისტო ოდესაში გადაღებებზე ვიყავი; შემდეგ ხარკოვში გვქონდა სპექტაკლები; მერე დნეპროპეტროვსკში, ბოლოს - სოჭში და უკვე სახლში მომინდა. მომენატრა სახლში გაღვიძება, დავიღალე სასტუმროებით: ერთგან კედელი მარცხნივაა, მეორეგან – მარჯვნივ და რომ ვიღვიძებ, ცისფერ კედლებს ვეჯახები. აი, ეს კი საშინელებაა.

# დღესასწაული ბომბების მოლოდინში

## რუსეთის სახალხო არტისტები: ფრეინდლიხი, ბოგაჩევი და ტოლუბეევი უკვე თბილისში არიან

ვერა ნეფარიძე

**დღეიდან ქართველი და რუსი კულტურული ინტელიგენცია კიდევ ერთხელ შეეცდება, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ცუდი არაფერი ხდება; ყველაფერი, მათ შორის, იმპერიალისტური სულისკვეთება თუ ქვეყნის უპასუხისმგებლო მართვის ტრადიცია, კიდევ ერთხელ მიეწერებათ მხოლოდ პოლიტიკოსებს. ჩვენ კი, საჰაერო ბომბების მოლოდინში, შევეცდებით, არ ვუღალატოთ სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულ ადათებს.**

რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელთა საკუთარი ხალხისადმი ცნობილი ოფიციალური მიმართვის მიუხედავად, სახელოვანი რუსი მსახიობები დღეს მაინც თბილისში არიან. ფესტივალი "ვივატ, სანკტ-პეტერბურგი" არაოფიციალურად დღეს გაიხსნება, ტოვსტონოგოვის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლით. სტუმრად ჩამოსული რუსი მსახიობები: ბოგაჩევი, დეკტიარი და ტოლუბეევი თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში წარმოადგენენ იასმინ რეზას სპექტაკლს, "არტს". მათთან ერთად, წუხელ, სოჭი-თბილისის ავია-რეისს ცნობილი რუსი მსახიობი, ალისა ფრეინდლიხიც (რომელსაც თბილისში მოუთმენლად ელიან) ჩამოჰყვა.



ნიკოლოზ სვინტიცკი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

გუშინ რუსული კულტურის ცენტრის დირექტორმა, ნიკოლაი სვინტიცკიმ იმ შეშფოთებული თბილისელების დასაშოშმინებლად, ვინც უკანასკნელი დღეების განმავლობაში ცენტრში რეკავს და ფესტივალის ბედით ინტერესდება, თუ უბრალოდ, საზოგადოების ინფორმირებისთვის, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფესტივალი დღეს ნამდვილად იწყება: "შიშით ვრთავთ ტელევიზორს იმის მოლოდინში, რომ შევიტყოთ, რა "საჩუქარი" მოგვიმზადეს პოლიტიკოსებმა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, დღემდე ფესტივალს საფრთხე არ დამუქრებია",-თქვა მან. ფესტივალში მონაწილე 40-მდე სტუმრის ვიზებისა და საზღვარზე გადმოსვლის საკითხებზე ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იზრუნა. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ რუსეთის საკონსულოს დეპარტამენტის საგანგებო მითითების საფუძველზე, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგისა და სოჭის აეროპორტებში საპატიო სტუმრებს პრობლემები არ შეექმნებათ.

რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ვითარების ფონზე სანკტ-პეტერბურგის იუბილისადმი ნაადრევად მიძღვნილმა ფესტივალმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. თბილისელების გარდა, სანკტ-პეტერბურგის მას-მედიის წარმომადგენლებიც ცდილობენ, რუსული კულტურის ცენტრიდან ფესტივალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ცენტრს, რამდენიმე დღის წინ, რუსულენოვანი სკოლების ქართული ენის პედაგოგებმაც მიაკითხეს და ნიკოლაი სვინტიცკის ალისა ფრეინდლიხისათვის გადასაცემი საჩუქარი დაუტოვეს; სამმა მხარბეჭიანმა მამაკაცმა კი ცენტრის დირექტორს სტუმართა დაცვა უსასყიდლოდ შესთავაზა. "ვისგან უნდა დავიცვათ თბილისში ალისა ფრეინდლიხი ან კირილ ლავროვი? მოსახლეობის ყველაზე რადიკალური ნაწილიც კი, მიტინგებს რომ მართავენ, ამ ფესტივალის გამო გახარებულები არიან. აქ ხომ ის ხალხი ჩამოდის, ვისაც საქართველო უყვარს, – ამბობს ფესტივალის ორგანიზატორი, ნიკოლაი სვინტიცკი, - ისინი ხომ ის სახელოვანი ფიგურები არიან, რომელთაც საქართველოში მშვიდობის დამყარება სურთ; ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ესაა".

მართალია, ფესტივალის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის უმთავრესია ხალხის პოზიცია, რომელიც, საპატიო სტუმრების მოლოდინში, თბილ სატელეფონო ფრაზებითა და საჩუქრებით გამოიხატება, მაგრამ, ბომბების მოლოდინში, ფესტივალი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გაუგებარ ურთიერთობას, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორისაა. ჩვენთანაც და მეზობელ სახელმწიფოშიც ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ურთიერთობის მოგვარებას ფესტივალებსა და ინტელიგენციის თანამშრომლობას მიანდობს. ქართველი და რუსი კულტურული ინტელიგენტების ურთიერთობის საილუსტრაციოდ, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, აღგვენიშნა ალისა ფრეინდლიხის მონდომება, რომელიც, მეგობრებისა და ახლობლების მოსანახულებლად, თბილისში საგანგებოდ რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. ახლობლები კი ფრეინდლიხს, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ თბილისში არა ჰყავს – დღეს რუსული კულტურის ცენტრში სტუმრებისა და ქართული მას-მედიის შეხვედრა დღის 12 საათზეა დაგეგმილი, რადგანაც მოგვიანებით ფრეინდლიხი უკვე ქალაქგარეთ იქნება.

სპექტაკლი "ინათე, ინათე ჩემო ვარსკვლავო", ალისა ფრეინდლიხისა და პეტერბურგის "კავალერ-დუეტის" (ანატოლი კოპტევი, ვლადიმირ ბალაგინი) მონაწილეობით, გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში 20 და 21 სექტემბერს გაიმართება. მუსიკალურ-პოეტურ სანახაობაში, რომელსაც მსახიობმა Classic-show უწოდა, ქართველი მაყურებელი მოისმენს ცვეტაევასა და მანდელშტამის ლექსებსა და ამ ორი შემოქმედის პოეზიაზე დაწერილ რომანსებს. ფრეინდლიხი სპექტაკლის მთავარი მონაწილე და დამდგმელი რეჟისორია. აღსანიშნავია, რომ თბილისური გამოსვლის შემდეგ მსახიობი სპექტაკლს ამერიკაში წაიღებს გასტროლებზე.

"სნგ"-სა და ბალტიისპირეთში თეატრალური კავშირების საერთაშორისო კონფედერაციის თავმჯდომარე, კირილ ლავროვი გეგმავს, რუსი ინტელიგენციის სახელით მიმართოს ქართულ საზოგადოებას. ჯერჯერობით უცნობია, შეხვდება თუ არა ცნობილ რუს მსახიობს, კირილ ლავროვს პრეზიდენტი შევარდნაძე. "ჩვენ შევატყობინეთ პრეზიდენტს მისი ძველი მეგობრის სტუმრობის შესახებ," – გვითხრა ნიკოლაი სვინტიცკიმ. პრეზიდენტის ლავროვთან შეხვედრის სურვილის თაობაზე არაფერია ცნობილი. თუმცა, ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ შეხვედრა აუცილებლად გაიმართება.

ამჟამად, ფესტივალის დღევანდელ და ხვალინდელ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთები ბოლომდე გაყიდულია. დანარჩენ დღეებს რაც შეეხება, ბილეთების შეძენის მსურველებს ორგანიზატორები აქტიურობას ურჩევენ, რადგანაც მათზე მოთხოვნა დიდია.

# ბერლინის ლიტერატურული ფესტივალი

ბერლინში II საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი გაიხსნა. ფესტივალი 21 სექტემბრამდე გასტანს, მასში 80-მდე ლიტერატორი მიიღებს მონაწილეობას. წლევანდელ ღონისძიებაზე განსაკუთრებული ინტერესის საგანია ესპანური ლიტერატურა, ამიტომ ბერლინში ცხრა ესპანელი მწერალია მიწვეული.

ფესტივალის ხელმძღვანელმა, ულრიხ შრაიბერმა, კოლეგებს მოწოდებით მიმართა: "გამოვიყენოთ გლობალიზაცია ცნობიერების გაფართოებისა და მსოფლიო გამოცდილებით გამდიდრებისთვის". ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე მოხსენების თემა იყო "ლიტერატურა ჩვენი ისტორიის დასაცავად" – თურმე ჩვენი მომავალი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგი ლიტერატურის შექმნას შევძლებთ.

## კალენდარი

### 16 სექტემბერი

"ჩემი აზრით, არავინ არაფერს არ იპარავს, ჩვენ ყველანი ვსესხულობთ," - ამ სიტყვების ავტორს, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე მუსიკაზე, ხან ამერიკული ბლუზის ლეგენდად, ხან კი ბლუზის მეფედ მოიხსენიებენ. სხვათა შორის, 1978 წელს მან ერთადერთი კონცერტი გამართა თბილისში, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში. ახალგაზრდები კი მუსიკოსს უფრო მეტად "ძმები ბლუზების" მეორე ფილმიდან იცნობენ. დღეს **ბი ბი კინგის** დაბადების დღეა, ის 1925 წლის 16 სექტემბერს დაიბადა.



## თეატრები

✓ **ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**
""ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო სალარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი: 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

✓ **ეროვნული გალერეა**
ამერიკის საელჩო აწყობს 11 სექტემბრის ამსახველი ფოტოებისა და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენას. დას: 19:00.

✓ **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თანამედროვე ქართული გრაფიკა და ქანდაკება.

✓ **TMS**
თანამედროვე ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

✓ **ქარვასლა**
ფრანგი ფოტოგრაფების ნამუშევართა გამოფენა

## კინოთეატრები

✓ **ამირანი**
სტივენ სპილბერგის "ითი უცხო პლანეტელი"
დას: 13:00; 15:00; 20:00 სთ.; ფასი: 6,7 ლარი

ბრაიან დე პალმას "საბედისწერო ქალი", ანტონიო ბანდერასის მონაწილეობით.
დას: 17:00; 23:00 სთ; ფასი: 7-8 ლარი.

## კონცერტები

✓ **ვაკის პარკში**
ანტიტერორისტული აქცია ცნობილი მსახიობებისა და მუსიკოსების მონაწილეობით. დას: 17:20.

✓ **სტუ -ს მეორე კორპუსის სააქტო დარბაზი**
"მაო ბენდის" კონცერტი. დას: 20:00.

# ნიჭი, ფული, დრო და გამოცდილება

## ორი წლის CIFA სწორად ვითარდება

თამარ სუხიშვილი

კავკასიის II საერთაშორისო რეკლამის ფესტივალმაც ჩაიარა. ერთი სიტყვით რომ შევაფასოთ, ეს ფესტივალი წარმატებული გამოდგა, თანაც შარშანდელზე უფრო წარმატებული. თუმცა, როგორც ყველა ახლად დაწყებულ წამოწყებას, გარკვეული ხარვეზები (ტექნიკურიც და ორგანიზაციულიც) მასაც ჰქონდა. ჟიურის წევრებმა, რომლებიც გუშინ სასტუმრო "სიმპათიის" საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ და მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სწორედ ამ ხარვეზებზე და, საერთოდ, ფესტივალის შედეგებზე ისაუბრეს. საუბარი კონკრეტული პრობლემებით დაიწყო და სერიოზული რჩევებითა და წინადადებებით დამთავრდა.

"კინოს სახლში გამოფენილი პლაკატების დათვალიერება ჩემთვის ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა. მათი დიდი ნაწილი იმდენად მაღლა იყო დაკიდებული, რომ დათვალიერება და აღქმა ჭირდა, გინდა თუ არა, სკამზე უნდა ამძვრალიყავი, ნამუშევრებისთვის რომ შეგევლო თვალი, - ხუმრობით შენიშნა ბეჭდვითი პროდუქციის კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ პინარ კილიჩმა, - დარბაზი თავისთავად კარგია, მაგრამ ამ ტიპის გამოფენებისათვის შეუფერებელია". იტალიელმა დიზაინერმა ლორენცო მარინიმ კი გვირჩია: სამომავლოდ დაჯილდოების დროს კარგი იქნება, ტელერგოლებთან ერთად პლაკატებსაც თუ ვაჩვენებთ მაყურებელსო.

სატელევიზიო რეკლამის კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ მაიკლ დემეტრიადისმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ფესტივალის დაფინანსების საკითხზე: "ფესტივალის კონკურსში მონაწილეობა არცერთ ქვეყანაში არცერთი სარეკლამო სააგენტოსთვის არ არის უფასო, ეს ფესტივალის ფინანსური ბაზის შექმნის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს", - აღნიშნა მან. ბატონ დემეტრიადისს, რომელიც ნიუ იორკის ფესტივალის დირექტორია, ქართული მხარის თავმომწონე რეპლიკაზე - ერთადერთი უფასო ფესტივალი ვართ მსოფლიოშიო, მხოლოდ ჩაეცინა და მიანიშნა: მეტისმეტად თამამი განცხადებააო. დემეტრიადისმა ისაუბრა სახელმწიფო სტრუქტურების როლზეც ამგვარ ფართომასშტაბიან ღონისძიებებში და პარალელისთვის სლოვენიის ფესტივალის, "გოლდენ დრამის" მაგალითი მოიყვანა, სადაც ქალაქების მუნიციპალიტეტებთან ერთად, ქვეყნის პრეზიდენტიც იღებს მონაწილეობას.

"ეს ფესტივალი, ისევე როგორც ახლად წამოწყებული სარეკლამო საქმე, პატარა ბავშვივითაა, ის ჯერ სწავლობს და კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, რომ დაიხვეწოს", - ასეთი დახასიათება შემოგვთავაზა ჟიურის უკრაინელმა წევრმა კონსტანტინ კუზნეცოვმა, - "რა თქმა უნდა, იმასაც მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ იქნება მასწავლებელი, ისიც უნდა ითქვას, რომ სწავლების გარკვეულ ეტაპზე მიბაძვაც არ არის ცუდი; ყველა ეტაპს რომ გაივლის, ბავშვი დაოსტატდება კიდეც. ეს დრო აუცილებლად დადგება. მთავარია, არსებობდეს ნიჭი, დანარჩენს კი ფული, დრო და გამოცდილება გვიჩვენებს."

ჟიურის წევრებმა კიდევ ერთხელ გაახსენეს, რომ რეკლამა ბიზნესია და ამ ბიზნესში წარმატებები უსურვეს.

სტუმრებმა დარბაზიდან ბუნების წიაღში გადაინაცვლეს, საქართველოს ღირშესანიშნაობათა მონახულება, როგორც წესი, მცხეთიდან დაიწყო...

რაც შეეხება ფესტივალის კონკურსის გამარჯვებულებს, მათი ვინაობა პრესკონფერენციამდე ერთი დღით ადრე, შაბათ საღამოს, კუს ტბაზე გამართულ დახურვის საზეიმო ცერემონიალზე გახდა ცნობილი. შეგახსენებთ, რომ თითოეულ კონკურსში ცხრა თემატური კატეგორია იყო წარმოდგენილი და, შესაბამისად, ცხრა-ცხრა გამარჯვებული შეირჩა:



CIFA-ს დახურვის ცერემონიალზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჟიურის წევრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საკონკურსო ნამუშევრების შეფასება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოხდა. ითქვა ისიც, რომ ფესტივალის დანიშნულება მხოლოდ შეფასებას კი არ გულისხმობს, არამედ გამოცდილების გაზიარებასა და განათლების დონის ამაღლებას, ორი წლის CIFA-მ ამ თვალსაზრისით გაამართლა.

პრესკონფერენცია კარგა ხანს გაგრძელდა, ილაპარაკეს, იმსჯელეს, იხუმრეს კიდეც და სადაცაა წერტილი უნდა დაესვათ, რომ საუბარი სარეკლამო რგლოლივით ისევ თავიდან დატრიალდა: "დაიწყო ბრუნვა და ველარასოდეს გავჩერდებით", - იხუმრა ლორენცო მარინიმ, რომელიც დარბაზში ბროწეულით ხელში, თეთრ კიტელში გამოწყობილი გამოცხადდა,. გამომშვიდობებისას ჟიურის წევრებმა მასმედიის წარმომადგენლებს განსაკუთრებული მადლობა გადაგვიხადეს, ქართული რეკლამის მწარმოებლებს კი კი-

ნაბეჭდი პროდუქციის კონკურსის ორი დიპლომი ქართველმა მონაწილემ, გიგა ხატიაშვილმა მიიღო, "ჯეოსელის" "ლაი-ლაი ბარათის" გაფორმებისათვის და პლაკატისათვის "ხვანჭკარა – მკურნალობის ქართული წესი";

ეროვნულ მოტივებზე შექმნილი ნაბეჭდი პროდუქციისათვის დაწესებული სპეციალური პრიზის მფლობელი გახდნენ დიზაინის აკადემიის სტუდენტები;

ახალგაზრდა დიზაინერმა გიორგი პოპიაშვილმა კი პრიზი საკუთარი სააგენტოს - "სარკეს" რეკლამისათვის დაიმსახურა;

ერთი ქართული სააგენტო სატელევიზიო რეკლამების კონკურსის გამარჯვებულთა შორისაც მოხვდა: სააგენტო "კონტაქტი" სატელევიზიო გასართობი სარეკლამო კლიპით "ვარჯიში";

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და აღარ ჩამოვთვლით ყველა კატეგორიის ყველა გამარჯვებულ ნამუშევარს (ჩვენ მხოლოდ გამარჯვებული ქართული ნამუშევრებით შემოვიფარგლეთ), თუმცა CIFA-ს რჩეულებს, სამი საუკეთესო ადგილის მფლობელებს გვერდს ვერ ავუვლით. კავკასიის II საერთაშორისო რეკლამის ფესტივალის საუკეთესო სამეული 2002 წლისთვის ასე გამოიყურება:

საუკეთესო ეტიკეტისა და შეფუთვის რეკლამა - ირინა კაჭარავა (სააგენტო "მაგი-სტილი") სიგარეტით "ჯოი";

საუკეთესო ნაბეჭდი პროდუქცია – სააგენტო "შოლდს ენდ ფრენდსი" (გერმანია), ფეხსაცმლის რეკლამა "მაღალი ბორცვები";

საუკეთესო ტელერეკლამა – უკრაინის სააგენტო "კინოგრაფი" სარეცხის ფხვნილის რეკლამა "ჩესტა" (სხვათა შორის, ამ რეკლამამ თავიდანვე მიიქცია მაყურებლის ყურადღება თავისი ორიგინალური გადაწყვეტით, რეკლამა ფარული კამერით არის გადაღებული);

ხოლო ფესტივალის გრან-პრის მფლობელი იტალიური სააგენტო "ეურო ერსიჯი" გახდა "პეჟოს" რეკლამისათვის "სკულპტორი", ეს რეკლამა იმთავითვე ძალიან აიტაცეს ავტომანქანა "პეჟოს" მფლობელებმა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## იუმორისტული გალიმათიები

ეს ჭორი უკვე კარგა ხნის გავრცელებული იყო, როცა ავეტიკ ისააკიანი მეთერთმეტედ მივიდა პაოლო იაშვილთან განცხადებით - ცისფერყანწელებში მიმიღეთო, და პაოლოც მეთერთმეტედ დაუკავშირდა ტიციან ტაბიძეს - კიდევ მოვიდაო. დასალევად არ გაჰყვეო, ტიციანმა, რაღა დროს ცის-



ფერი ყანწებია, სხვა რაღაცაში იქნება საქმე, ლაპარაკით შეიქციეო. იქცევდა ავეტიკს პაოლო: ორდენი რახანია დავხურეთ, ახლა საბჭოთა მწერლები ვართო და... რად გინდა ეგ ამბავი, თან განცხადებაც დაგიწერია, თან ის მესროპ მაშტოციც სომეხი იყოო და... აქ ისე დაიბნა პაოლო, თვითონ შესთავაზა - ხომ არ დაგველია, საბჭოეთზე ხო არ გველაპარაკაო. ჩემთან წავიდეთო, გაუხარდა ავეტიკს, დაამატა: შენი ლექსი ვთარგმნე "ოთარ შოფერიიო," და დაიწყო: "მოიყვანა მამამ ავტო, უბენზინო და უნავთოო..." მაგრამ არ მინდა ბარბარიზმები ვიხმარო და იქ რო გაქ: "დააჭირა პედალი - გაიტანა დედალი..." აეგ პედალი არც ქართულად ვიცი, არც სომხურად, მარტო ლათინურად ვიციო. როგორ არისო? - გაუკვირდა პაოლოს. პიედალლე! - ამაყად მიუგო ავეტიკმა და ტიციანიც შემოხვდათ. ავეტიკთან მივდივართო, პაოლომ, ლათინური ზეპირად სცოდნიაო. ისააკიანთან ყველაფერი ცისფერი დახვდათ: კედლები, კარადა, სკამები, ოჯახის წევრებსაც ცისფრად ეცვათ, ცისფერ მაგიდას უსხდნენ და ტოლმას შეექცეოდნენ. ტოლმას ვერაფერი მოვუხერხეო, ავეტიკმა. დასხდნენ და სმას შეუდგნენ. ცისფერი ფერი ჩემი ბედისწერააო, სულ ორი გატაცება მაქვს: ერთი - თქვენი ორდენი, მეორეს ვერავის ვეტყვიო. მთვრალმა გადახვია ხელი ტიციანს, მოეფერა: როგორ იყო, ქვებზე იშხანივით რო იყავი და ლაყუჩები გტკიოდაო? წაიღო ტვინი. ურჩიეს - ვალერიან გაფრინდაშვილთან მიდი და ამ ამბავს მოევლებაო. წამოვიდნენ. ავეტიკმა გამოცილება დააპირა, მაგრამ სამაიას ბაღში ჩოხოსანი გამსახურდია დაინახა, ინგოროყვას მეთვალყურეობის ქვეშ "ლეკურს" ხვეწავდა კონსტანტინე, ხანჯალს ვადამდე ასობდა მიწაში. ისააკიანს გააჟრჟოლა და გაცილება გადაიფიქრა.

მერე გაფრინდაშვილთან ერთად მოვიდა. ვისადილოთო, პაოლომ. არ შეიძლებაო, ვალერიანმა ავეტიკზე ანიშნა. ისააკიანმაც, მანდ გაწევრიანებისთვის ჭლექის ბუნება უნდა გავითავისო თურმე. დილიდან მაშიმშილებს, თვალებში უკვე ცისფერი რგოლები დამიდიანო. პოეტებს დაემშვიდობა და ზემელის აფთიაქისკენ გასწია...

ყანწელებზე გაბოროტებული ისააკიანი განდეგილ გალაკტიონთან შეეცადა დაახლოებას. თვითონაც, მთელი ისააკიანებიც უკან დასდევდნენ გალაკტიონს, მისძახოდნენ: "ოჰ, არასდროს არ შობილა მთვარე ასე ნაზი! ოჰ, არასდროს არ შობილა მთვარე ასე ნაზი! ოჰ, არასდროს..." გალაკტიონმა ერთხელ ქვა ესროლა. ავეტიკს ასცდა და მის ნათესავს, საბრალო მერის მოხვდა, სუნდუკიანს. მერიზე ძალიან ინერვიულა გალაკტიონმა, მაგრამ აბეზართა გუნდი მაინც ვერ მოიშორა. ბოლოს, სამაიას ბაღში წავიდა, ინგოროყვას მოუბოდიშა, გაოფლიანებულ კონსტანტინეს ცეკვა შეაწყვეტინა და ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა. კონსტანტინემ წარბი დაუშვა და ჩაიცინა. ჩაიცინა და იმის შემდეგ სახლიდან აღარ გამოსულა ისააკიანი.

ახლა იმ ჭორის შესახებ, იმ ხანებში რომ დადიოდა. პოეტებში ხმა გავრცელდა - რეციდივისტ კამოს აჩრდილი ყოველ ღამით, რიჟრაჟის მოახლოვებისას, კამო-კამოს ძახილით ველოსიპედით ჩაიქროლებს ელბაქიძის დაღმართზეო. თუ ბიჭია, დილით ჩაიქროლოსო - იხუმრეს. შეუძლებელიაო, ამოიოხრა ისააკიანმა. იცოდა - დილაობით გამსახურდია და ინგოროყვა ვერის ბაზრისკენ სპეციალურად აივლიდნენ ხოლმე იმ აღმართს. აივლიდნენ და სომეხ მლესავებს დაერეოდნენ. გარბოდნენ სომეხი მლესავები, გამსახურდია აიღებდა მათ დანებს, ხანჯალს დაუსვამდა ზედ და ჭრიდა ყველივით, ხარხარებდა თან. ინგოროყვასაც არ უმართლებდა. ერთი მლესავი დაიჭირა და ისიც აფხაზი აღმოჩნდა, გვარად როყვა. გაგიჟდა პავლე, ჩუმად გააპარა მაინც - იცოდა, გალახავდა კონსტანტინე როყვას. ჭორი მალე გასცდა ზღაპრის ჩარჩოებს, ვილაცეებს თავის ყურით გაეგონათ შეძახილი: ოჰ, კამო! კამო! რაღაცაშია საქმეო, გამსახურდიამ და ამიერკავკასიის "ჩეკას" შეფს მიადგა: პალოსიჩ, მანქანა მჭირდება დღეს ღამეო. აჰ, ვერაო, ლავრენტიმ, ოპერაციაზე მივდივარ, კარბურატორიც აჩმახებს... ბუდუსთან მიდი, მამაძაღლთან, მამიას მანქანას გათხოვებსო. "მანქანა მინდა, ლავრენტი!" - ხანჯალზე დაიხედა კოწიამ, წარბი ფაფახზე გადაუვიდა, და მისცა პალოსიჩმა მანქანა. "არტოს ბაღთან" გაათენეს ის ღამე გამსახურდიამ და ინგოროყვამ. სანამ რიბი-რაბო დადგებოდა, სანამ მერცხლები გაიღვიძებდნენ, სანამ მეთევზეები მტკვარზე ჩავიდოდნენ და სანამ გალაკტიონი ნეპმან თემისტოკლეს ფანჯრებში შეხიზნულ მერის მოსწყვეტდა თვალს, ცნობილ აღმართს მიუახლოვდნენ. და მართლაც, ცარიელი ქუჩაბანდების სამარისებული მყუდროება საშინელმა კივილმა გაარღვია: "ოჰ, კამო! კამო!" ქვაფენილიან დაღმართზე რკინის შავი ველოსიპედი მოქროდა. შავკაპიუშონიანი მრბოლელი ლაბადას აფრიალებდა, უხელებოდ მართავდა, ხელები კი ცისკენ აღეპყროა ო, კამო! კამო! გამსახურდიას ფარები არ აუნთია, ისე დაძრა მანქანა, გეზი კამოს ლანდისკენ აიღო...

გალაკტიონმა შეჯახების ხმა და შეძახილი - "ვა, კამო?!" სოლოლაკში გაიგო. რატომღაც ისააკიანი გაახსენდა. ლავრენტის საერთოდ არ ახსოვდა ისააკიანი. იმ დღეს კი გაოცებული ათვალიერებდა მისი ოთახის კედლებს. ცისფერი შპალერი ჩამოხიეს და დაინახეს - კედლების ყოველი გოჯი ტერპეტროსიანის ნაირ-ნაირ პორტრეტებს ეკავა. კარადას გადააფხიკეს საღებავი და იქაც, მაგიდის ქვეშაც... ინტერესით მიაჩერდა ცისფრად გამოწყობილ დიასახლისს. ხელი ჩაიქნია - მაგასაც კამო ეხატებაო და ავეტიკი მოიკითხა. საავადმყოფოში გადაიყვანეს, უბრალოდ დაჟეჟილი და შეშინებულია, მოსაკლავია, ეგ გამსახურდიაო. მანქანა გაახსენდა, არაფერი უთქვამს. ფსიქიატრს აჩვენეთო, ბრძანა. მერე ქობულოვს უჩურჩულა: "ერევანში არ არის აღმართი?" " აღმართი? - გაუკვირდა ბაღჩოს,- გავიყვანთ, ტო."

ეგ ჭლექის კაეშანს ველარ ჩასწვდება, ნაღვლიანად უთქვამს გაფრინდაშვილს, არაფერი ეშველებაო.

■ ■ ■



სანდრო შანშიაშვილი ძალიან ლოთობდა მაშინ. ველარ წერდა ლექსებს, მუზებმა მიმატოვესო, წუწუნებდა. ცდილობდა ცისფერყანწელივით მოქცეულიყო, გიჟობდა თავისთვის, მაგრამ მათგან არავინ აკითხავდა, გაფრინდაშვილის გარდა. ის კიდევ სულ ჭლექი - კავერნა, ჭლექი - კავერნა... ამოვიდა ყელში. ნათესავმა არაყი მოუტანა ერთხელ, პატარა ყანწიც აჩუქა. "ყანწი!" შესძახა სანდრომ, ხელიდან გამოგლიჯა, ათვალიერა, მერე წამოხტა, სტუმარი მიატოვა და მონკავშირის მაღაზიაში გაიქცა - ასეთი ყანწები მინდაო. "რქები?" "არა. ყანწები! ყანწები!" ისააკიანს გაუარა, ცისფერი საღებავი გამოართვა, რქები კი მთელი ტომარა წამოელო, მოიტანა შინ. ნათესავს ჩასძინებოდა ამასობაში. ღებავდა ყანწებს, გააფთრებული ჩურჩულებდა: "ამაღამ ალბათ იქნება ქარი... ამაღამ ალბათ იქნება ქარი..." შეღება და კედლებზე დაკიდა. ხალიჩები, ფანჯარა, ყველაფერი ყანწებით მორთო. იდგა, სვამდა და რქებს ათვალიერებდა. არ ჩანდნენ მუზები. გამწარდა. მივარდა მძინარეს, დაუშინა ყანწები. ნათესავი ჩაძინებული გარბოდა, ჩურჩულებდა: "ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი... ვაი, დედოფალ..."სანდრო უკვე ფანჯრიდან აყრიდა ყანწებს, მთელი ქუჩა ცისფერი ყანწებით აივსო. მერე ატირებული დაეწაფა არაყს, არც ერთი ყანწი აღარ დარჩენილიყო და გამსახურდიას სახე წარმოუდგა უცებ. მაგაზე უცნაურად როგორღა მოვიქცეო? - ის იყო გაცეცხლდა, რომ გაფრინდაშვილიც მოვიდა. ცისფერ საღებავში ამოთხუპნული შანშიაშვილი შეათვალიერა და უთხრა: "კონსტანტინე მესიზმრა გამსახურდია, ცხენზე პანტალონებისამარა იჯდა, ყანწი ეკავა და იცი შენზე რა თქვა? მამალი გიჟია, თოკითაა დასაბმელიო..."

მაშინ იყო შანშიაშვილს პირველად რომ გაუხარდა. მეზობელი ყავდა ფსიქიატრი. გასინჯა და არაფერი უცნაური არ ჭირს მაგასო, თქვა. კედელზე შანშიაშვილის გადაყრილი ყანწები დაეკიდებინა იმ ექიმს, სიყვარულით ათვალიერებდა თან.

## სექსუალურ უმცირესობათა შესახებ და მამა ბასილი



უმცირესობებმა წალეკეს თბილისი!

თბილისი უმცირესობათა დედაქალაქია. უმცირესობები - საპარლამენტონი თუ რელიგიურნი, იშვიათ ცხოველთა თუ მაწანწალა ძაღლთა მოყვარულნი, საკანცელარიო თუ საოპოზიციო უმცირესობანი, სუფიების და მაესტრო ლავრენტის, კლარა ცეტკინის და იგორ გიორგაძის თაყვანისმცემელთა უმცირესობანი, კონდორთა და ცოცხალ ვეტერანთა, დაბოლოს, სექსუალურ უმცირესობათა. თუმცა, რაღა უმცირესობათა...

ამასწინათ, შეიქმნა სიმცირეთა საკოორდინაციო საბჭო. სათათბიროზე, სადაც აღვირახსნილნი ყველაზე მეტი დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილნი (41 პროცენტი), კატეგორიულად დაისვა გაერთიანებიდან მათი გარიცხვის საკითხი. მიზეზი: სექს-თახსირნი აღარ წარმოადგენენ უმცირესობას, არამედ პირიქით. აღშფოთებულებმა, მეორე დღესვე პეტიციით მიმართეს ქალაქის მერიას, მოითხოვეს სპორტის სასახლე გარყვნილთა საერთაშორისო კონგრესის ჩასატარებლად. მოტივაცია: ვებრძოლოთ შიდსს!

ჰოლანდიაში მივლენილი იქნა საგანგებო დეპუტაცია, რათა ხმა მიეწვდინათ მათი პარლამენტისათვის. სკანდინავიელებმა მთელი ცისფერი ეკრანი დაუთმეს ვიღაც საბურთალოელ სტილისტს, რომელსაც პოლიტიკურად ისეთი მავნე სისულელეები ულაპარაკია, რომ საიდუმლოდ დამგზავრებულ უშიშროების თანამშრომელს ჯერ ოფიციალურ მოხსენებით ბარათში უმართლებია თავი -ეკრანი ყველგან ცისფერიაო, შემდეგ კი იქვე დაუწერია განცხადება პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნაზე, რაიცა მიუღია კიდეც. საუბედუროდ, დელეგაციის ყველა წევრმა იპოვნა გულისსწორი ჰოლანდიაში და თბილისის აეროპორტში "აირზენას" თვითმფრინავიდან მამათმავალთა გაორმაგებული და გალეშილი დეპუტაცია გადმოვიდა. დაბნეული იღიმებოდა ეკიპაჟის ახლადგადაბირებული კაპიტანი. კუთხეში ლამაზი და ძალიან ნაცემი სტიუარდესა ეგდო.

მოეწყო პრესკონფერენცია. სიმღერით გასწიეს საპატრიარქოსკენ. ეკლესიის მსახურთ ახარეს, რომ ჩამოსულები თანახმანი არიან, დაუყოვნებლივ მოექცნენ. მღვდლებმა გოდებით ჩაატარეს ნათლობის ცერემონია, ხოლო როდესაც ავლაბრელმა სტილისტმა მიქომ მოძღვრის წინაშე დაიჩოქა, გვერდით წითურბაკენბარდებიანი, ლუდისგან ასლოკინებული ვინმე ვინსენტი დაიყენა და შეჰღაღადა: "დაგვლოცე, მამაჯან!" მღვდელს ნერწყვიც კი მოადგა, ისე მოუნდა გადაფურთხება. უმწეოდ მიმოიხედა. პირველად სიცოცხლეში პატივისცემით გაახსენდა ექს-მამა ბასილი, გლდანის ეპარქიის აქტივისტი. შეეფეთა დიაკვნის თვალებს. და ის თვალებიც ღაღადებდნენ - ბასილი! თანხმობის ნიშნად დახარა საცქერალნი. დიაკვანი ტელეფონის მიმართულებით გაუჩინარდა. იმ ვინსენტს გადაუსვა თავზე ხელი მოძღვარმა - დედა რას გეუბნებაო... დრო გაჰყავდა! და ამ დროს მოისმა: "აქ სად შეყრილხართ პედერასტებო თქვენა! დასცხეთ მაგათ, რო გვიგინებენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა... საკურთხეველში არ შეგასწროთ, თორე ველარა ვცემთ... აი, მართლმადიდებლებმა დამირეკეს ინკოგნიტოთა... და პოლიციასაც დავურეკე ინკოგნიტოთა... სიმპა... რაო? მანდ ხელი გამიშვი, შე მართლა სიმპატიურო, შენა!... გადაპარსეთ ამას თავი! რას ვამბობდი?" "რო გვიგინებენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა..." - შეახსენეს. "ჰოდა, რო გვიგინებენ... აჰა, ამათაც დაურეკნიათ ინკოგნიტოთა..." გამოჩნდნენ შავფორმიანები. მამა ბასილი მანქანამდე მიაცილეს, დანარჩენები კი რესტორან "ბერიკონამდე." ტრანსთახსირული ქორწილი კი მაინც ტრაგიკულად დამთავრდა. რესტორნიდან გამოსულებს ჩე გევარას და იგორ გიორგაძის მოყვარულთა დამკვრელი ბრიგადები ტრადიციული სექს-ბიზნესის გოგოებთან ერთად ჩაუსაფრდნენ და შავი დღე აყარეს. დედილო ვანდამ "პარაბელუმი" ორჯერ დაცალა.

ახლადშეუღლებულნი მეორე დღესვე გაემგზავრნენ საქართველოდან. ტრანსსექსაგრესიული მოძრაობა კრახით დასრულდა. სტილისტები და თანამგრძნობნი იატაკქვეშეთში წავიდნენ. ჰოლანდიელი ვინსენტი, ბოლო-ბოლო, გამოფხიზლდა, მიქოს საპარიკმახერო ერთიანად მიულეწა. დაპატიმრებულმა და ძალიან დაბნეულმა აღიარა - მამათმოსიარულეების შესახებ არაფერი ვიცი, ექვსი შვილი მყავს, ჰოლანდიელები, თავთავიანთი დედებითო. ოღონდ ეგ არის, შარშან ლუდის ბიზნესი ჩამივარდა, გავკოტრდი და მთელი წელი არ გამოვფხიზლებულვარო. არ ვიცი, აქ როგორ ამოვყავი თავი, არც მიქო მახსოვსო. გამიშვით, ბავშვები მენატრებიანო. გამომძიებელმა გაათავისუფლა, ლუდი დაალევინა და... დაიღუპა კაცი. ახლა "ყაზბეგში" მუშაობს ჩამომსხმელად, ექვსივე შვილი ჩამოიყვანა, ცოლად კასპში გაზრდილი პოლონელი ბოშა, მარეხი მოიყვანა და მეშვიდე შვილს გოგი დაარქვა. არასამუშაო საათებში ლუდნასვამი ქუჩებში დაბორიალობს, თუ სტილისტი გადაეყარა სადმე, ხომ სცემს, თუ არადა, არის წყნარად...

## ჰოლანდიელი საქმოსნის ვიზიტი

ჰოლანდიელი ბიზნესმენის მათეუს ვან დამანის პრობლემები ჩამოსვლისთანავე, პირდაპირ აეროპორტის ტრასაზე დაიწყო, როცა ტაქსის მძღოლმა გარი მამოიანმა უცერემონიოდ მოხსნა სათვალე და თავისი გაუკეთა. გაბრაზებულმა მათეუსმა შემორჩენილი ორლარიანი პლასტმასის სათვალე გადააგდო და პოლიციელს გაქცეული ტაქსის ნომერი უკარნახა. მამოიანი დააკავეს, მაგრამ დაჯარიმებით ჰოლანდიელი დააჯარიმეს. სათვალე კი არ დაუბრუნებიათ. ამის შესახებ შესჩიოდა თბილისელ პარტნიორებს, როდესაც კომპანიის ბუღალტერი დაბრუნდა და განაცხადა - ბანკი ფულს არ იძლევაო. ჰოლანდიელმა მხრები აიჩეჩა - ფული მისი გადმორიცხული იყო. ქეშია საჭიროო, აუხსნეს. მაშინ პირველად ჩაესმა ეს უცნაური სიტყვა, რომლის რაობაც ვერაფრით აუხსნეს. "ქეში" ჩაესმოდა ყოველ ნაბიჯზე. მაშინაც კი ჩაესმოდა, როცა საქმეზე აღარ ლაპარაკობდნენ, და მაშინაც, როცა საკაცეზე დაკრულს და საეჭვოდ გაღიმებულს მშობლიური ჰოლანდიისკენ მიაცილებდნენ.

ვერ გაიგო - რატომ უნდა გადაეხადა ბანკისთვის ათი პროცენტი, მომსახურების ისედაც სოლიდური პროცენტების გარდა. ბანკს კი არა, დირექტორს, აემ ჩვენს ძმობილს უნდა გადავუხადოთო. ჰოლანდიელმა იფიქრა, აქ უცნაური საფინანსო სტრუქტურა აქვთ, ალბათ, თავიდან რაღაცა ვერ მოვზომეო. კარგით, აიღოს ქეში და შესაბამისი დოკუმენტიც წარმოადგინოსო. ქეშს ვინ სულელი აფორმებსო?! – შეიცხადა ძმობილმა ბანკიდან. "რატომ არ ფორმდება? - გაგიჟდა ჰოლანდიელი, - კანონს ვარღვევთ?" კანონით არ ეკუთვნის, ისე ეკუთვნის, ქეში ამიტომაც ჰქვია. უსაბუთოდ უნდა გადავუხადოთო?? და დაბნეულმა ვან დამანმა პირველად გადაიხადა ქეში. შემდეგი ქეში ერთ-ერთი პარლამენტარის საკუთრება აღმოჩნდა, რომელიც მათეუსს რესტორანში წარუდგინეს. "თქვენ რაღაში გეკუთვნით ქეში, რომელიც რომ კანონით სავალდებულო არ არის, მაგრამ ტრადიციის მიხედვით რომ გეკუთვნით, იმაში?" მეცხვარეობას პატივს ვცემო, დააბოყინა პარლამენტარმა, ბატკნის მწვადს ნთქავდა, - ტრადიციები, ჩემი პრიორიტეტიაო. რატომო? მიუბრუნდა გამწარებული მათეუსი პარტნიორებს. ისე, ბიზნესი ჩაგვივარდებაო. დედა გეტირებათო, დაუმოწმა პარლამენტარმაც, მათეუსს მიუბრუნდა - იმაში მეკუთვნის ქეში, რომ, ჯერ ეს ერთი, სამემატყლეო რაიონის გამგებელმა სხვას არ გაამარჯვებინოს ტენდერში." "ეს სხვა არც არსებობს!" მოვძებნიო, გაუღიმა კანონმდებელმა: "სჯობს შემდეგ გამგებელმა აიღოს ქეში და გაიმარჯვოთო, და მეორეც, იმიტომ მეკუთვნის, რომ საბაჟოდან არ გამოგყარონ, მიიღონ თავისი ქეში და მშვიდობით გაისტუმრონ ტვირთიო." პარტნიორებმა: კანონმდებელი, ვირიშვილი, ჩვენი ძმაა, ისე მოწვეული პარლამენტარი ორმაგად გაგვაძრობდა ტყავსო. მათეუსის თავში დაუსრულებლად მიმოფრენდა რომელიღაც ანცი ფრინველი და სტვენდა. საეჭვოდ გაღიმებული მათეუსი აყურადებდა, ფიქრობდა იდუმალ ქეშზე, მერე ეგვიპტელი ქურუმები გაახსენდა და დათანხმდა. გადაწყვიტეს თიანეთისკენ გამგზავრება, მაგრამ მათეუსს, ქეშების დაანგარიშების შემდეგ, სტენოკარდიული შეტევა განუვითარდა. კარდეოლოგმა გაშტერებული მზერა აქვს, იქნებ ნევროპათოლოგსაც გაესინჯაო. მალე მათეუსი, რომელსაც ავი ღიმილი პირიდან არ შორდებოდა, "ჯიპში" ჩასვეს და მთიანი რეგიონის გამგებლისკენ გასწიეს. მანამდე სადღაც შეიარეს, რამდენიმე კბილებამდე შეიარაღებული, სადისტი-მოყვარულის შესახედაობის კაცი წამოიყვანეს. დაცვააო აუხსნეს, მოგეხსენებათ ჩვენი ტრადიციებიო. გზად ვიღაც ოქროსკბილებიანი ბერიკაცი აიყვანეს ხანჯლების და ნაჯახის კომპლექტით. აუხსნეს, რომ ეს ცნობილი ექს-ყასაბი, ამჟამად შეფ-მზარეული გოდერძი კარდანახელია. ისე გაქეიფებთ ბუნებაშიო, სიცოცხლეში არ დაგავიწყდება, გოდერძი დაკვლა-მომზადების სპეციალისტიაო. "ზოინში" დენი რო გამაირთვებოდა, ხარებ მუშტითა ვკლამდიო - გოდერძიმაც. ააღწიეს მატყლით განთქმული რეგიონის ცენტრში. მათეუსი შეშინებული ათვალიერებდა ჩაბნელებულ ტყეს, გამგებელს მობილურით დაურეკეს - მოვედით, აანთეო. გენერატორი არახრახდა და სამსართულიანი სახლი განათდა. გამგებელს, მართალია, წვერი გაეპარსა, მაგრამ მათეუსზე მაინც ძალით მონათლული იროკეზის შთაბეჭდილებას ახდენდა. მიეციო, პარტნიორმა და გადაიხადა მათეუს ვან დამანმაც ქეში. გამგებელმა ყველაფერი რიგზეაო, თქვა, დამირეკა კანონმდებელმა, კმაყოფილიაო. მათეუსს სიბნელეში ავი ეჭვები აეშალნენ. გამგებელმა - ახლავე გათენდებაო და ატყდა მამლების ყივილი, ბავშვიც ატირდა სადღაც... გათენდა. არა, კარგად ჰქონდა დაყენებული საქმე. ფაბრიკის სანახავად გასწიეს. მატყლი იყო და ცოტა დამშვიდდა. აბა, ჯერ ექსკურსია, შემდეგ სადილიო! - ბრძანეს. მკლავებზე სიცივისგან ბუსუსებდაყრილი ისტორიის მასწავლებელი მოიყვანეს საიდანღაც. ჩვენა ვართ რაცა ვართო, მასწავლებელმა. ეს ხეობა ციხე-კოშკით ბოლოვდებაო. აქ ქრისტიანობა გვიან გავრცელდა, მაგრამ ეკლესიის ნანგრევები ყველაზე მეტი გვაქვსო. რატომ დაანგრიეთო, ზრდილობის გულისთვის შეწუხდა მათეუსი - ქეშებისგან გადარჩენილ მოგებას ანგარიშობდა. ეკლესიების დრო არ არისო, - იროკეზმა თქვა, - ქვეყანა თავზე გვენგრევაო. ახლა წელთაღრიცხვამდელ ბომონს გიჩვენებთ... ხალხი აქ ახლობლებს სწირავდა ღვთაებას მსხვერპლადო. ჭამდნენო? ფერი ეცვალა ჰოლანდიელს. არაო, იქვე შესანიშნავი წყაროა. იქნებ ჰოლანდიელი წყაროთჩამომსხმელები დააინტერესოთო. მათეუსს უცებ თვალთ დაუბნელდა - სამსხვერპლოსთან თვალებამდე სისხლში ამოთხვრილი გოდერძი კარდანახელი იდგა. სისხლიან სახეზე ოქროს კბილიღა კრიალებდა ავად და როგორც მათეუსს მოეჩვენა, რაღაც ლოცვებს ღიღინებდა გოდერძი. შავი, უზარმაზარი ქვაბები



თუხთუხებდნენ. გოდერძიმ ცხვარი აქნა, მეორეს დიდხანს აყრიდა მარილს, აზელდა, შამფურზე წამოაცვა და ნაკვერჩხალს მიუფიცხა. სუფრას შემოუსხდნენ. იროკეზი თამადობდა და რადგან სათარგმნელად აღარავის სცხელოდა, მათეუსმა ძალიან მოიწყინა. ისევ აეშალნენ ავი ეჭვები, შეძრწუნებული გასცქეროდა სისხლით მოსვრილ სამსხვერპლოს. მისკენ მიშტერებულ თანამეინახეთა მზერას გადააწყდა - შავი ღვინით გალეშელნი რაღაცას ეუბნებოდნენ. მოკვლას მიპირებენო, სადღეგრძელო მუქარად ჩათვალა მათეუსმა. გადათარგმნა დავიწყებოდათ. გოდერძისკენ გააპარა თვალი. მან მომარჯვებული ღვინიანი ჭიქა აიღო, მათეუსისკენ გამოსწია. ფეხი ერეოდა, ბარბაცით დაადგა თავზე. მათეუსმა უმწეოდ გაიხედა ჯიპისკენ... მასწავლებელიც ძალიან დამთვრალიყო?? სამხვერპლოსთან "შალახოს" ცეკვავდა. გოდერძიმ მხარზე დაადო ხელი, რაღაცა თქვა და ჭიქა მოიყუდა, დაელვარა ღვინო, წამოწანწკარდა შავი ნაკადული და მათეუსის თეთრ პერანგზე მოზრდილი ლაქა გაჩნდა. აუჰო! - შეიცხადა გოდერძიმ და მარილი მათეუსს ჯერ პერანგზე მოაყარა, მერე თავი ველარ შეიკავა და კისერსა და ზურგზეც გადააბნია. ჰოლანდიელი კივილით წამოხტა. ჯერ მარილმოყრილი ცხვარი მოხვდა თვალში, შემდეგ ბალახზე მიგდებული ავტომატი. ხელი სტაცა, სუფრას უმიზნებდა, ისე იხევდა "ჯიპისკენ," ჰოლანდიურად ყვიროდა. ყვირილიდან სიტყვები "ქეში" და "კანიბალი" გაარჩიეს. ამასობაში ხბოს თავზე ფეხი აუსხლტა, იფიქრა, უკნიდან მესხმიანო და მჭიდი სულმოუთქმელად დაცალა...

სასიკვდილოდ დაჭრილი გამგებელი, ლოყაგახვრეტილ გოდერძი კარდანახელთან ერთად მოათავსეს რეანიმაციის განყოფილებაში და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოსვეს საბარგულიდან სისხლიანი ტყავებით შეკრული მათეუსი. პოლიციაში პირიდან ჩვარი რომ გამოუღეს,ხარხარი ატეხა. პოლიცია საჭირო აღარ იყო - ჰოლანდიელი ბიზნესმენი მათეუს ვან დამანი შეურაცხადი გახლდათ.

აი, ახლაც თვითმფრინავის მომლოდინე ჰოლანდიელ ექიმს, ვექილს და ცოლსაც ვერაფრით გაეგოთ, რატომ ახსენებდა ხელებგაბაწრული ავადმყოფი რაღაც სათვალეს, ვიღაც გარის...

არადა, გარი მამოიანს ოციოდ მეტრში გაეჩერებინა ტაქსი. ვიღაც გერმანელს აქლემის ქურთუკში დერმატინის ჟილეტს წარბებშეკრული, სასტიკი თავაზიანობით უცვლიდა...

# სუროგატული - არაყი, საუბრები, შოვინიზმი და კენკებაძე

უბანი. ეზოებში მუდამ ირევა ხალხი - ეზოელები თუ არყის და დომინოს ხათრით შემოხეტებული უბნელები. შემდეგ ჩნდება არაყი - სუროგატულ-ჰალუცინოიდური რამ გამჭვირვალე და დილის ეზო გამოცოცხლებას იწყებს. პირველი ჭიქის გამო გაჩენილი პაუზა თავშესვქცევი რამეა - ერთმანეთს თანაგრძნობით მიშტერებულ ფართოდ დაჭყეტილი თვალები...

"ვისი არაყია?" - კითხულობს გვიან გამოღვიძებული ეზოელი - ძველი ვინმეა, პატივს სცემენ და უყვართ კიდეც. "ტარიელასი." "კარლოსი სჯობდა." "კარლო აღარ იძლევა." "ჩემი სახელით უთხარი." "ვუთხარი, - წითლდება ეზოელი, - იცის, ტარიელას და არმენას ვალიც რომ გაქვს." "ხელფასს აიღებს და გაგისწორდებათ-თქო!" "ხელფასები არ იქნებაო. პარლამენტის სხდომისთვის უსმენია." "რადიოში?" "ჰო. წურწუმიასაც უსმენდა". "ნასვამია და თვითონ მოვა, რადიოს თავზე დაგამტვრევს, წურწუმიაც გვერდზე დაგრჩება და კაკულიაც-თქო! - მერე ბავშვს დაუძახა, - ტარიელას ორი ძეხვი და "კილკა გამოართვი. ხელფასზე გაგისწორდება, არმენასაც გაუსწორდება-თქო." "რომ მითხრას, ხელფასები არ იქნებაო?" "არა, - ჩაფიქრდა გოგია, - მაგას რადიო არა აქვს."

კარლომ გამოგზავნა არაყი. "ამ ახვრებში კარლო ყველაზე პატიოსნად აზავებს. წურწუმიას უსმენდა?" "არა. სტეფანეს უსმენდა." "სტეფანემ დალია? - გაუკვირდა ბებერ მეზობელს, - ცეროზი აქვს!" "ეგ შარშან მოკვდა, სხვაზე ამბობს," " სხვა სტეფანეს არ ვიცნობ." "ამუბნელი არ არის." "აბა, კარლოს "ბუტკაში" რა ამღერებდა?" "რადიოში მღეროდა." "რა გვარია?" "გვარი არა აქვს." "მადონაც ეგრე არ იყო?" "შენ რა იცი, მადონა როგორი იყო? - სუფრას გადახედა ხანშიშესულმა, - სუკონკელ ჩათლახზე ამბობს." "სუკონკელ არა, ამერიკელ ჩათლახზე ამბობს, - თავი გააქნია გოგიამ. "აღარ გამაგონოთ მადონა! - განრისხდა გოგია, - თავზე დავაფშვნი იმ რადიოს!" "ეგრე რა!" "ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!" ეზოში უბნელი მაზალო შემოეხეტა. "ვის ეძახი? არ იცი, რა სიმთვრალე აქვს? როგორ ბარბაცებს, ვირიშვილი... პატარა ჭიქა დაუდგი!" "ჩემი გარაჟიც მაგას არ შეეწირა? ილაპარკებს - შარია! გააჩუმებ - მაინც შარია. რა გარაჟი მქონდა! ბუხრიანი... " " გარაჟში ბუხარს რა უნდა?" "ლომებს გაუმარჯოს!" - მოაღწია უბნელმა, მაშინვე გოგიას ჭიქას სტაცა ხელი. "სტომატიტი მაქვს, - დაუღრინა გოგიამ, - აი, შენი ჭიქა!" "აბა, გაგვიმარ... წესიერად დაასხი!.. ჯოს!" - და გადაჰკრა, - ვაჰ, ბატონ სანდროს ვახლავარ! რა გარაჟი გქონდა?" სანდრომ უმწეოდ მიმოიხედა, გოგიას ჭიქას დასწვდა". "სტომატიტი აქვს!" - შესძახა იასემ. "ჰქონდეს! - შეჰკივლა სანდრომ, - ოღონდ შენ... შენ არ გიყურებდე ოღონდ!" - წამოხტა და გაიქცა. "ლექსად გამოუვიდა, არა? ოღონდ შენ! შენ არ გიყურებდე ოღონდ!" "კაცო, შენ მოგზავნილი ხო არა ხარ?" "მე იასე ვარ, კენკებაძე - უბნის კოლორიტი და თქვენი ძმა!" "ასე იწყებს ხოლმე! - წასჩურჩულა ერთმა ეზოელმა მეორეს, - ნახე, როგორ აგრძელებს!" "ერთიც დამისხით, ძმებო!" - პათოსით შესძახა იასემ. "დამთავრებისას ითიშება?" "ყველა ითიშება,




მაგის გარდა. მტრისას, ეგ რო ამთავრებს..." "მართალია, დღესაც, ხვალაც, ზეგაც დავთვრებით... მაგრამ ეს ლოთობა როდია! ღვთაებრივი ევრიპიდე ბრძანებდა... როგორ ბრძანებდა?" - კუნთებაფოფინებულ გოგიას ჰკითხა. "რა ვიცი?!" "აი, ვით შვენით დიდგვაროვანთ საქმე ყოველი!" ასე ბრძანებდა ღვთაებრივი... რა ერქვა... არაყი თავდება... - გადაჰკრა, - სიგარეტი მომაწევინეთ, ძმებო! " "დიდგვაროვნებს ცეროზი არ ემართებათ, შეჩემა? კენკებაძეები რომელი თავადები მყავდით?" "პოლოსიანები ხო მყავდით!" "გიორგაძე ვარ! - ფერდაკარგული მღელვარებისგან ხან იხსნიდა, ხან იკრავდა ღილებს, - რამდენჯერ გაჩვენე დადგენილება - გიორგაძეები ვიყავით. გადაგვაკეთეს მერე..." "სომხის გადაკეთება არ შეიძლება! ღვთაებრივი ილია ამბობდა..." "ღვთაებრივებს თავი დაანებე! - რა გინდა გიორგაძეებისაგან?" "აბო, დაწყნარდი!" "აგერ რა დაგიძახა? ვის ჰქვია აბო?" "აბო წმინდანი იყო! ალბერტი მიწერია პასპორტში." "ჰო. სულ ალბერტები, ჰამლეტები და ჯულიეტები ხართ..." "დედაჩემისგან რაღა გინდა?!" – გიორგაძემ ძეხვს წამოავლო ხელი, - დედაჩემი... დედაჩემი, გული რო აგერეოდა არა, შვილივით გივლიდა, სუ რო არწყევდი, შე... შე... იმ დამპლებს რა ჰქვიათ? ჰო, შოვინისტები ჰქვიათ. შე შოვინისტოდამპალო..." "დიდი ამბავი ერთ ქართველს თუ მივლიდა, იცი, ერთ თურქს რომ ვეჩხუბე, სომხები რატომ გაყლიტეთ-მეთქი! იცი, რა მითხრა? მადლობის მაგიერია, მეზობლები არა ვართ, შეჩემაო?!" "შეჩემა თურქულად გითხრა?" შუქიც გამოირთო. ჩამობნელდა. "ტარიელასთან არაყს გამოვართმევ, თქვენ სანთლები მოიტანეთ და ვილაპარაკოთ" "კარლოსთან წადი! - გოგია წამოდგა, - ტარიელას არაყი არ უვარგა. იმ სამ ბოთლს დაამატე-თქო... გაგისწორდებათ, არმენასაც კი გაუსწორდება-თქო. მოგცემს?" "აბა, რას იზამს?" "იცოდე, თუ კიდევ ეგეთ რაღაცეებს ილაპარაკებ, შუაზე გაგგლიჯავ!" "გაგგლიჯავ კი არა, გაგგლეჯ. გულით მიყვარხარ, გოგი ძმაო!" - კენკებაძემ გოგიას ტყლაშანით აკოცა. "ამ წუთში აქ გავჩნდები.!" "გარაჟში დავსხდეთ, აცივდა უკვე." "მეგონა, ცემით მოკლავს-მეთქი! "ეჰ, გარაჟის დაწვაზე რომ სცემეს, ორი თვე რესტორანში ატარეს. გიორგამ რომ სცემა, მთვრალმა კუბოში გაშოტილ ბებიამისს ტუჩებში რომ აკოცა - ადე, ტრაკო, ჩეფირი მოგვიდუღეო, მაშინ... ისე ინერვიულა, სოჩაში წაიყვანა და იმდენი ფული დაახარჯა." "ოთხი ბოთლი მომცა! - დაბრუნდა იასე,- ქათამიც წაიღეო, მაგრამ თათრის არაფერი მინდა." "კარლო გაგნიძეა, ტო!" "მაგამედოვია." "გოგი, კარლო თათარი ყოფილა!" "მარტო კენკებაძეა ქართველი. მოვრჩით?"

ორიოდ საათის შემდეგ, ორასი მეტრით დაშორებულ სხვა ეზოში იმეზოელები ნარდს აგორებდნენ და ისინიც კარლოს არაყს სვამდნენ. შორს სინათლის ანარეკლი აილანძა. "ბავშვები საბურავებს წვავენ!" "კრაზი" დაშალეს, ტო?"

ათიოდე წუთის შემდეგ მოიჭრა ბიჭი. "ყანჩაველი კენკებაძეს ახრჩობს." "გოგია, ტო?" "რო გამოვიქეცი, ფეხით ეჭირა და ატრიალებდა." "ცეცხლი?" "კენკებაძე ცეკვავდა, ლამპა გაუტყდა, არყის ბოთლი აფეთქდა და გიორგაძის გარაჟი დაიწვა." "წავიდეთ?" "ჰო. თუ მოკლა, კენკებაძე - დასამარხი გვეყოლება, ყანჩაველი - ციხეში მისახედი. " "კენკებაძე რა ჩვენი დასამარხია?" "აბა, მამამისი მაგას დამარხავს კი არა, ფიტულს გააკეთებს და კორპუსის თავზე დადგამს. გეფიცები. დამუქრებულია."

ათი დღის შემდეგ კენკებაძე საავადმყოფოდან გამოაგდეს. ყავარჯნებით გამოცხადდა უბანში. მაშინვე გოგი ყანჩაველისკენ გასწია. კარლო რაღაც მისავათებული, კი არ იჯდა, თითქოს რაღაცნაირად ეგდო. დაუსხა, ფული არ მინდაო, მიეფერა. ვინ გაძლევსო - კენკებაძემ და სიგარეტიც გამოართვა. პირველად გიორგაძე შეხვდა. იდგა ჩანაცრულ გარაჟს მიშტერებული. "ბუხარი გადარჩენილა, - გაუხარდა კენკებაძეს, - ახალს ავაშენებთ, შეჩემა!" მანქანა მაინც გავყიდეო და... ჰო, გოგია დაიჭირეს და გავყიდეო. კენკებაძეს ნელა წაუვიდა ფერი, სუნთქვა შეეკრა, ყავარჯნები დაყარა და ქვიშის ტომარასავით დაეხეთქა ტროტუარზე. "შენი გულისთვის არა!" - ანჯღრევდა გიორგაძე, გალაწუნებაც მოახერხა. წყალნაპკურები იასე თვალებდაჭყეტილი უსმენდა შემდეგს: "დილით აიღო ხელფასი." "მერე?" "სამჯერ დათვრა, სანამ აქამდე მოაღწია. შენზე რო უთხრეს, არამიანცშიაო..." "ოჰ, ეს არამიანცები, ეს კაზარიანცები... მანთაშოვმა რა ოპერა დაგვიწვა..." "თავისი ყოფილა და..." "იცავ არა, შე ახვა... თუმცა ჰო. მერე?" "სულ გაგიჟდა." "დალაგებული როდის იყო?" "სულ არაყი იყიდა, სამწვადე..." "საღოლ!" "მერე... მერე ყველას გაუსწორდა." "არმენასაც, ტო?" "მაგას გაუსწორდა თუ გაუსწორდა. ისიც არამიანცშია. ტარიელამ სადარბაზოში შეასწრო, ბოცები და ორი ნეკნი იზარალა." "კარლო ფეხზეც არ წამომდგარა..." "თვე ვერ ადგება კიდევ. მე მანქანა გავყიდე, სანდრომ ოქროს საათი, გოგიას სარდაფი ტარიელამ იყიდა..." "მაგის ებრაელი დედა ვატირე!" "ტარიელა ებრაელია?" "მაგას ებრაელის მეტი ვინ იზამდა?! თან დააკვირდი - ქვედა ყბა, წარბსზედა რკალები... სუფთა სემიტია." "კარლომაც დაგვიმატა..." "კარლომ?" "ცოლს მოატყუა, ვალი მქონდაო, ძაღლებმაც დაუკლეს და ეყო." "ამაყენე!" გიორგაძემ ფრთხილად წამოაყენა, შეუდგა მხარში: "სად მივდივართ?" "კარლოს რადიოში წურწუმიას მოვუსმინოთ, - ჩაიცინა კენკებაძემ, - და არაყი არ გვინდა, კონიაკი დავლიოთ." მიდიოდნენ. შორიდან ისმოდა: "წარმოიდგინე, თათარი კარლო თქვენებურ კონიაკს ყიდის, "ვასპურაკანს", ჰკიდია მთელი ყარაბახი..." "გიორგაძე ვარ!" "მორჩი. სიძედ კი არ მინდიხარ, შეჩემა!" მერე უფრო შორიდან ისმოდა: "კარლოს გოგია ძალიან უყვარს, მაგრამ შენი თავი რამ შეაყვარა, ვერ გავიგე?" "გაგნიძედ გადაქცეულ თათარს რას გაუგებ? - ყავარჯნიან მხრებს იჩეჩავდა კენკებაძე, - ქართველობს, ალბათ."

ხოლო იმ საღამოს იასე კენკებაძემ ნახევარი უბანი კარლოს კონიაკზე დაპატიჟა და მამამისის - დიმიტრი კენკებაძის გარაჟი დაწვა.

დრო იყო ასეთიო. დიახ, დრო...



# ჭური თვითმოძრავი

ღამე იდგა კრწანისის სანახებზე. დარბაზში მღამიობები მიმოქროდნენ. ზის, გარინდებული შესცქერის ცეცხლს, ხან პუტინის პირგამეხებული სახე ელანდება, ხანაც ბუშის ცერცვისფერი, ჭრუტა თვალები.

როგორ უცნაურია და უგუნური ეს ცხოვრება მართლაც!

რამდენ ხმალშემართულ პრეზიდენტს და მონარქს შეჰგებებია უშიშრად ედუარდი! დაუმარცხებია, გაცურებია ყველა, და ახლა ამ დალეულმა, ჩია პუტინმა უნდა მოუსწრაფოს სიცოცოცხლე. "ჰმ, შავი ქამარი მაქვსო!"კედელზე ქამრების კოლექციას გახედა. "გავაშავქამრებ მაგას!" რეებს როშავდა მაინც, ალტყინებისგან სიმაღლე მომატებოდა თითქოს. ტერორიზმით აშინებდა მრევლს, ფეთქებადი ვნებების დაოკებისკენ მოუწოდებდა, ფარისევლურად: ბავშვებს ასანთს ნუ მისცემთო, ამბობდა. პანკისს შეეხო: "ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მეფესა და პრეზიდენტთა ყოველსა პატივსა და ჰასაკსა განყენებად ამის ვნებათაგან..." ფიქრობდა მოხუცი. ისევ აგორდა თვითმოძრავი ჭური. მამათის ოდის სილუეტი აილანძა. აქ დასდევდა მტრედებს, იდუმალ ხვრელებში ვირთხებზე ნადირობდა მოისარი სწორუპოვარი. ქარაფებზე გადმომდგარი რაიკომის და სოფლის საბჭოს შენობები აგონდებოდა, მათი სარკმლებიდან გამოფრენილი მღამიობები, მტრედები და სხვადასხვა მოწოდებები... მაგ მოწოდებებს თან გადაჰყვა სიყმაწვილე. პარტისტორიის მზრდელი ახსოვს, ბუდიონელი ვარდანი. კრუხის უკანალივით გამოპუტული წვერი ჰქონდა ვარდანს."რა ვაკეთოთო, ჩასჩიჩინებდა და აპრილის თეზის კიდევ...

გორავს თვითმოძრავი ჭური. მზრდელს უკვე იქით უკითხავს თეზისებს. ფერშლობას სწავლობს პარალელურად."ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე გარს შემოუარო!" რა მცირეა ქვეყანა ივერიისა. კრემლის დარბაზები ენატრება ნია-



დაგ. "არს კაცი თვითმოძრავი ჭური - სულისა ხელწიფე?!" ახსოვს, საიდუმლოდ წარუდგინა ინაურმა ბრეჟნევს. ქაშაუს მიორთმევდა გენდივანს, არაყს აყოლებდა."ეს არს მკვიდრი ივერიისა, მცოდნე თეზისებისა და ერთგული შენი ფრიად!" ბრძანა მდივანმა: "იყოს შვილად გაზრდილი ჩემი და დაემორჩილეთ!"

მუსრავდა და ჟლეტდა ქვეგამხედვართა, რამეთუ უწყოდნენ თეზისების შესახებ მხოლოდ ინჩსა და ბინჩსა. ჩვეულებრივი, უბრალო, ცხოვრება მოენატრებოდა ხოლმე, მდაბიურად გადაიცვამდა კალიასკიანი მოტოციკლით დაქროდა მთასა თუ ბარში. მეცხვარეებთან, გეოლოგებთან ათევდა ღამეს. ერთხელ კასპში შემოაღამდა, როკერი ვარო, ამაყობდა, ძლივს იჯდა მოტოციკლზე. ერთი რუსი დედაკაცის სახლს მიადგა. მობრძანდითო, დედაკაცმა. სხვენიდან სამი წლის დუმა ჩამოიღო, მალინის მურაბა და ლენკროტის არაყიც დადგა. დედაკაცმა, ქმარმა მიმატოვა, ეს ბიჭიღა დამრჩა, ვოვა, მაგრამ პატარაა, მოხმარება არ შეუძლიანო.

ბიჭს ეძინა. ავად აცმაცუნებდა ტუჩებს. "რა ვიცოდი, თორემ იმ ლოგინშივე ჩავაჭყლატუნებდიო!" - გაიფიქრა. გათენდა. დედაკაცი სამსახურში წასულიყო და გამოაპარა ბიჭი შინიდან, ინაურს ჩააბარა, ამისგან კაცი დადგება, კაპიტანი მაინცო. რის კაპიტანი?! აიდგა ფეხი მამაძაღლმა... ადრე საპირველმაისოდ "ატკრიტკას" მაინც აგზავნი. ახლა ნოტებს აგზავნის... ტელეფონმა დარეკა. დიასახლისმა შემოიხედა. - "ის არის?" ქალმა უხმოდ დაუქნია თავი. "გამარჯობა, ამბროსიჩ!" - ქართულად გაეხმაურა ყურმილი. "უნდა ჩამეკალი იმ ლოგინში!" "ნუ გეშინია, ოულდმენ! უმუშევრი არ დარჩები." და გაახსენდა როგორ მიათრევდნენ კისლოვოდსკის ტყეში გალეშილი პუტინი და ივანოვი მხრებგაკრულ გელაევს. მაშინ ევროპულ ლიტერატურას სწავლობდა რუსლანი, ნეოპლატონიზმის მოდერნიზებას ცდილობდა ძალიან. ქართულად აგინებდნენ. თან რატომღაც ვაჟა-ფშაველას ახსენებდნენ. შვილებივით გზრდიდით, თქვე მკვდარძაღლებო, დაანებეთ ბიჭს თავიო. ტბის ნაპირას ძველი, სლავური ღვთაების პერუნის ათმეტრიანი კერპი აღემართა წერეთელს. "მოსაკლავიაო! - გაიფიქრა, - სადაც ბორცვს დაინახავს, რამე უნდა წამოაკოსოს ზედო!" მიათრიეს. ივანოვმა ჩოხის კალთები დაიკაპიწა და ხანჯალი ამოიღო. პურმარილს ნუ ჩამამწარებთ, თორემ დედაშენს ვეტყვი, რა პირით ჩახვალ ყვარელშიო. "პერუნსაც შაეწირები!" აღმართა ხანჯალი. ეგონათ გელაევს წარმოდგენა არ ჰქონდა ვაჟა-ფშაველაზე. ცდებოდნენ - ძალუმად განსწავლულიყო მთიელი: "ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა და პერუნისადაც!" გაოცდნენ ქართულსკოლაგამოვილი ვოვა და ეგორი, გარჩევის წიგნები ახლაც ქამრებში ჰქონდათ გაჩრილი. "პერუნსაც შაეწირები!" თქვით, როგორც დედანშია და ვაჟა-ფშაველას შევეწირებიო. ამასობაში დაილალნენ და დაუთმეს ედუარდს გელაევი. რო შეეწირათ ამდენი დავიდარაბაც ამცდებოდაო და კიდევ ჩასძახა ყურმილში: "უნდა ჩამეზილე იმ ლოგინში!" ახლა რაღა დროსიაო, პუტინმაც და სთხოვა ახალი ქამარი მინდა, ივანოვს და გიორგაძეს შავი ატლასის ქამრები უყიდიათ და მებრიქებიანო. დაუკიდა ყურმილი.

ისევ აგორდა თვითმოძრავი ჭური და... კარის ჭრიალი მოესმა. პანტელეიმონი იყო გიორგაძე, გაწუწულიყო, ამცხიკვებდა და იგინებოდა. "ნუ წაგიტლეკია ენა, - დაუტატანა, - მოიტანე?" "პატრიოტი" არ იყო არსად. "ელემი" მოგიტანე." "არ მოვწევ მაგას. შენ რას ეწევი?" "ვაისროის." "მომეცი მაგ "ვაისროი" და შენ "ელემი" მოწიე. არავისთან წამოგცდეს რომ ვეწევი, თორემ ბუკივით გაგიხდი მაგ ცხვირს!" პანტელეიმონმა, ხურდა დაუბრუნა და კარი გამოაღო: "წამოდი აწი, ჩაი ადუღდა უკვე!"

რა დროს ჩაია... გორავდა თვითმოძრავი ჭური და ულტიმატუმის გასვლამდე, კაცმა არ იცოდა, რამდენი საათი იყო დარჩენილი.

## მინიატურები

### როგორ მოვიპარო მილიონი?

ამ კითხვაზე პასუხის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მაგრამ, ვფიქრობთ, დასაწყისისათვის, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის მისაღწევად, უმჯობესი იქნება დაიბადოთ საქართველოში. დაბადების შემდეგ, თუ ბოშა ან წყალწაღებული დისიდენტი (ალკოჰოლური ნევროსთენიკის მკაფიოდ გამოხატული ტიპი - სქესს მნიშვნელობა არა აქვს) არა ხართ, თქვენ იზრდებით, ყალიბდებით, როგორც მაძიებელი და ნელ-ნელა უახლოვდებით სახელმწიფო ბიუჯეტს. ბიუჯეტთან შეხების შემდეგ უკვე ყველაფერი ტექნიკის საქმეა.

ამ მეთოდის მთავარი მომხიბლაობა ის გახლავთ, რომ მას უკუჩვენება არ გააჩნია. უარეს შემთხვევაში, შეიძლება თანამდებობიდან გაგათავისუფლონ. მაგრამ რა მოხდა - დღესაც ხომ არა გაქვთ თანამდებობა. ხოლო თუ უკვე გაქვთ, ისედაც იცით, როგორ მოიპაროთ მილიონი. ამიტომ უმჯობესი იქნება, დაინტერესდეთ - როგორ დახარჯოთ იგი, ისე რომ თქვენმა თანამდებობამ შემოსავლითი ხარისხიანობა არ დაკარგოს.

■ ■ ■



კითხვა: ვარ რვათავიანი დევი, მეტად იშვიათი, მეცნიერულად განსწავლული მამრობითი ეგზემპლარი რვათავიანთა კასტისა. მინდა ოჯახის შექმნა, მაგრამ ჩემი მსგავსი მდედრობითი პარტნიორი ვერ მიპოვნია. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

პასუხი: მდედრობით მრავალთავიანთა ცხრათავიანთაგან ამოარჩიეთ ნაკლებად ამბიციური, მუყაითი, თქვენსავით მეცნიერებისკენ მიდრეკილი მდედრობითი უნიკუმი, რომელიც ოჯახური ბედნიერების გულისთვის ერთ თავს გაიღებს და მოიკვეთს. გისურვებთ ბედნიერ ოჯახის შექმნას.

რვათავიანი დევის განმეორებითი შეკითხვა: საძინებელმა მოხდა, ბატონებო. ამპუტაციის შემდეგ, ჩემს მეუღლეს მოკვეთილი თავის ნაცვლად ორი გაუჩნდა. ახლა გაყრის პროცესში ვართ. გემუდარებით, მითხარით, მეათე თავის გამო ჩემს ცოლს ეკუთვნის თუ არა დამატებითი ფართი?

პასუხი: რა თქმა უნდა, ეკუთვნის. ამიტომ საჩქაროდ ამოკვეთეთ ორივე. ხოლო საშიში ადგილები შანთით ამოწვით. ამით თავიდან აიშორებთ შემდგომ აღმოცენებებს და აუცილებლად ბედნიერი იქნებით.

ათთავიანად გარდაქმნილი ცხრათავიანის განცხადება: თქვენ შეშლილი ხართ! როგორც ჩემს ყოფილ მეუღლეს ურჩევდით, ვარ მეცნიერულად განსწავლული, ბეჯითად მუყაითი ცხრათავიანი, რომელიც ცხრავე თავს თავისუფლად ვფლობდი, და რომელსაც ოჯახური ბედნიერებისთვის მეცხრე თავი ძილში მოპარეს. რის შემდეგაც დამემატა კიდევ ორი თავი. დამატებული თავების ყოვლად არამეცნიერულად ამოშანთვის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან სწორედ მეათე თავი განმარტავს პირველი ცხრის არსებობის ლოგიკურობას. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ყველა მათგანს:

თავი პირველი: რვათავიან მამრობით ინდივიდთა ფსევდო-მეცნიერული განსწავლულობის აბსურდულობა, მათი უუნარობა ოჯახის შექმნის და, საერთოდ, ყველანაირ პირადულ თუ საზოგადოებრივ საქმეში.

თავი მეორე: რვათავიანთა მოჩვენებითი ფსევდო-ერთგულება მეცნიერული აკადემიზმის მიმართ და აბსოლუტური ნიჰილიზმი თავისივე ჯიშის და გენის კვლევის საქმეში.

თავი მესამე: აქ მეორე თავიდან გამომდინარე და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, ვასაბუთებთ, რომ ისინი, ესე იგი, რვათავიანები, საერთოდ არ არსებობენ. ამიტომ წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

■ ■ ■

აფრიკის სახელმწიფოთა საინფორმაციო სააგენტოები შემაშფოთებელ ცნობებს გვაწვდიან აფრიკისა და სრულიად შავთა რელიგიურ თუ ზოგადპოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სრულიად შავთა შამანპატრიარქის სარაბუნდო კაკა ტამანენგეს მოთხოვნით, ა. წ. გაზაფხულზე გამოცხადებულ იქნა საყოველთაო ზავი წარმართულ კონფესიებს შორის, აიკრძალა მორწმუნე დისიდენტთა საკვებად გამოყენება, აგრეთვე მათი სპილოებისთვის ხორთუმის მოკვეთა, აბუჩად აგდება და სხვა. სარაბუნდოს სახელი შეეცვალა და ეწოდა კაკა ტამანენგე დი ტოლერანტე. ის ახლა თავის სახელის მნიშვნელობას სწავლობს ესპანეთის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში, სადაც შამანთუხუცესმა შავ ქვეყანათა უკლებლივ ყველა რელიგიური მოღვაწე და მაგი მიიწვია ერთმანეთის სიწმინდე-რელიქვიების უკეთ გასაცნობად. გაზაფხულიდან მოყოლებული ისინი საკურორტო ქალაქში ნებივრობენ. არცერთი არ დაბრუნებულა სამშობლოში. ზოგმა გაყიდა თავისი ქვეყნის სიწმინდე და გალოთდა. ასე მოიქცა, მაგალითად, ცნობილი ქვეყნის კუასი-ტიტის შამან-პონტიფიკი. ეს უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ცდილობდა, გაეყიდა მამამისის, რწმენისთვის წამებული და, შესაბამისად, წმინდან-მოყვარულად შერაცხული იუტუმბო სესეს ფეხის თითები და კუჭის წვენი. თითები



სიერალეონელმა მრავალშვილიანმა დედამ იყიდა წმინდანისთვის, ხოლო მეორე რელიქვია მთავრის პონტიფიკის ტყავლაში აერია და გადაკრა კიდეც. პონტიფიკი კუასი-ტიტის მოღალატედ იქნა შერაცხული, რაც თავად აინუნშიც არ მოსდის. ფეხზეც მკიდია ეგ კუასი-ტიტი! - გაიძახის, გულით მუდამ სპილოს ძვლის ნაპირის მოქალაქე ვიყავიო. კუასი-ტიტიში კი ზომიერი ყინვები გვალვებმა შეცვალა, გახშირდა უცხოელ ტურისტთა ჯგუფური გაუპატიურებები შავად შეღებილი გაურკვეველი წარმოშობის პირების მიერ. ვაჭრობის მინისტრი იტყობინება, რომ გვალვების გამო ვეღარ სრულდება ტყავის ჩაბარების გეგმა, ვინაიდან წყალსატევებში ნიანგები გახმნენ! დარცხვენილი ჯანდაცვის მინისტრი ვერაფერსაც ვერ იუწყება, რადგან ტურისტებს მაიმუნების ერთმანეთზე კუდით გადაბმას ასწავლიდა, როდესაც შავად შეღებილმა გაურკვეველი წარმოშობის პირებმა ისიც, ისეთი შავიც კი... კაზინოებში აიკრძალა სპილოს კოჭებით თამაში. რაც სიწმინდეებმა ქვეყნის ფარგლები დასტოვეს, დაკლულ სპილოთაგან არც ერთს აღარ აღმოაჩნდა კოჭი.

ოპოზიციური პარტიის "კუასი-ტიტი უპირველეს ყოვლისა" ლიდერმა და ფრაქცა "სპილოს ძვალი გადაგვარჩენს და მადლი აქა!" აქტიურმა წევრმა გურამუმბომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველაფერი სიწმინდეთა საზღვარგარეთ გატანის გამო მოხდა და ამიტომ აუცილებელია, შამან-პატრიარქის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაო. მას მხარს უჭერს შამანური წრეებიდან განკვეთილი შამან-სენსეი ბასილ კაკა ვოსტრიკოვი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა შამანთუხუცესის საჯაროდ გაკრეჭას და, რომელსაც ზემოთხსენებული საკურორტო ქალაქის პოლიციელებმა ძლივს წაგლიჯეს დუქარდი ხელიდან პონტიფიკის გაპარსვის თავხედური მცდელობისას. კაკა ბასილს მოგვიანებით კიდევ ერთი დუქარდი და მოსკოვის "გრინფისის" დამკვირვებელთა მიერ დახურული საპარფიუმერო საწარმოს"რამაშკას" წარმოების აკრძალული ოდეკელონი "კრასნაია მასკვა" აღმოუჩინეს, "პოსლებრიტიას" გაქვავებულ საცხთან ერთად.

*ჩანართი მოამზადა პაატა ბერიკაშვილმა.*

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვარკეთილის 3-ში, II მ/რ. 61 47 33

იყიდება ან ქირავდება კერძო სახლი დიდი ეზოთი დოლიძის ქუჩაზე. 33 22 54

იყიდება ფიქრის გორაზე, საუნა, აუზი, კინოდარბაზი .... ფასი 250000. ხელით გაზზვის და უნივერსიტეტის მხრივ. ტელ: 899 961060, 233306.

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა 7(8), წერეთელზე, გამოფენის პირდაპირ. ს/ფ. 12 800 $. 34 42 40, 8(99) 26 05 64

იყიდება 3-ოთახიანი ხრუშჩოვის პროექტის ბინა კოლმეურნეობის მოედანზე. 93 10 22

იყიდება კერძო სახლი, 260 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ნაძალადევში. 7000-ად. 69 62 83

იყიდება 2-სართულიანი სახლი თელავის ცენტრში. საწყისი ფასი 1 800. 76 62 45

იყიდება მშენებარე 1-სართულიანი სახლი. გუდნის ქ. №20. სასტუმრო მეტეხის უკან. 96 92 19

იყიდება მშენებარე აგარაკი წრიოის ხეობაში. ცენტრალური გზიდან 1 კმ-ში დამორებით. 2-სართულიანი კაპიტალური შენობა მანსარდით. 2500 $. 39 85 14

იყიდება ინდივიდუალური პროექტის გარემონტებული, 205 კვ.მ. 5-ოთახიანი მიცკევიჩზე, 3(10). 85 000 $-ად. 98 81 05; 8(93) 36 13 78

იყიდება მშენებარე ბინა ფიქრის გორაზე. "ეკ"-ს სახლის პირდაპირ. "უცხოელ მენეჯმენტის სახლში". 18/კვ - 350. გადახდა ეტაპობრივი. ტელ: 23 33 07, 22 12 57 ან 8777 39300

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი - ლოჯიით, ჩაშენებული კარადებით, ტელეფონით, ბუნებრივი აირით. მეტრო "სამედიცინოსთან". 16 000 $. 77 44 09, 8(99) 10 08 58

იყიდება აგარაკი მაღალ ბელეტაჟზე, კიკეთიდან 8 კმ-ში. სოფ. კვესეთში. ბეთანიის მონასტერთან. 59 02 78, 8(99) 55 82 11

იყიდება 1-ოთახიანი ბინა ნუცუბიძის №36. 6(6). ფასი 6 500$. 39 45 37 ნატო

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი ბიპანა 3(9). ყველანაირი პირობებით. ნუცუბიძის II მ/რნ. III კვ. V კორპ. ს/ფ. 12 000 $. 31 64 02

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი დოლიძეზე 12 (17). 20 000 $-ად. 33 29 44

იყიდება 1-ოთახიანი, გარემონტებული ბინა მე-2 სართულზე, რუსთავში. მიოს: ლეონიძის №2-37. ტელ: 8(24) 15-42-62

იყიდება კერძო სახლი 4-ოთახიანი და იმავე ეზოში 1 ოთახი შუშაბანდით, ყველა პირობებით. "300 არაგველრი", I დოლაბაურის № 1.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას II კვარტლის დასაწყისში. 32 43 61

იყიდება 4-ოთახიანი დიღმის მასივში 8(9). მეტრო "დიდუბესთან" ახლოს. ბ/აირით და ცხელი წყლით. 52 73 72

იყიდება 3-ოთახიანი 9(9) ბ/აირით და მუდმივი დენით მეტრო "ავლაბართან". ფასი 14 500 $. 96 59 17, 8(97) 58 85 34

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვერაზე. 29 33 73

იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიდ დიღომში. გ. ბრწყინვალეს ქუჩა. 10 500 $. 33 07 42

იყიდება 5(5) 120 კვ.მ. 3-ოთახიანი, გადაკეთებული 4-ად, ბინა. ი. აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქუჩაზე, დაშენების პერსპექტივით. 22 29 93 ან 8(99) 97 35 40

იყიდება გარემონტებული, 75 კვ.მ. 2-ოთახიანი 1 (4) ვერაზე. საწყისი ფასი 21 000. 23 22 67

იყიდება ბინები ვაკეში "ფრანციასთან", თითქმის პირდაპირ ახალმშენებარე სახლში. სახლს დარჩება 1300კვ/მ ეზო ბავშვებისთვის, ავტოფარეხებით. ფ. 1მლ 370000. ტელ: 899 96 10 60, 23 33 07

იყიდება სახლი სურამში. 68 20 47, 8(99) 90 57 37

იყიდება 35 კვ.მ. მოპირკეთებული სარდაფი სველი წერტილით. გამოდგება ინდივიდუალური ფეხსაცმლების ატელიესთვის. აქვს აბრა. 98 61 02

იყიდება 3-ოთახიანი 2(9) სართულზე, ლვოვის პროექტი. დიდ დიღომში. ფასი 6000 $. 52 85 19, 96 84 82

იყიდება საკუთარი 3-სართულიანი სახლი თავისი პატარა ეზოთი ვაშლიჯვრის დასახლებაში, კვანტალიანის 18 ბ. ფასი შეთანხმებით. 53 09 00, 8(99) 51 04 24

სასწრაფოდ იყიდება 2-სართულიანი სახლი სენაკში. 53 53 16

იყიდება 2-ოთახიანი 8(16) სართულზე. კაპიტალური რე-

მონტით, ბ/აირით, ორი ლოჯიით დიღმის მასივში. 52 04 98

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დ/მასივში 8(9) სართულზე. მეტრო "დიდუბესთან" ახლოს. ბ/აირით და ცხელი წყლით. 52 73 72

იყიდება სახლი სოფ. დიღომში (ნაკვეთით), 2-სართულიანი, მანსარდით, ხეხილით და ვაზით, დიდი ეზო. მუდმივი წყალი, ელექტროენერგია, ბ/აირი და კანალიზაცია. 60 29 74, 96 31 94

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ვაჟას №2 (ქონნისბიძის სახლი). 32 01 77

იყიდება ხიშრის რაიონში 4-ოთახიანი ბინა ბელეტაჟზე 1500-ად. თავისი ნაკვეთით. 99 38 02

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 1(9). ცოტნე დადიანის II მრ/ნის III კორპ. VIII სადარბაზო, ბინა 2. 66 02 83

იყიდება 3-ოთახიანი ბინა მიშენებით თემქის დასახლებაზე. ავტოფარეხით. მეტრო "გურამიშვილთან".

იყიდება ბინა ვერაზე, მავანაძის სახლთან, ახლმშენებარეში. 1კვ/მ -350, თითქმის გერმანულ სადარბაზო, ორი ავტოფარეხი. ტელ: 899 18 00 50 შალვა ან 22 03 61 მარიკა.

მიშენებით. ფასი შეთანხმებით. 60 52 84

იყიდება 1,5-ოთახიანი გადაკეთებული 2-ნახად, გადიდებული ლოჯიით და აივნით, ზემო ვერაზე. V სართული. რემონტით. 15.000-ად. 29 25 97

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში სახლი დიდი ეზოთი, ტელეფონი, ეზოთი. შატბერაშვილის ქუჩაზე. 53 54 81

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე 5(5) სართული. ნახევრად გარემონტებული. 4500-ად. 71 78 51

იყიდება 3-ოთახიანი ბინა გლდანის VII მ/რ-ში, ავტოფარეხით და ტელეფონით. VIII სართულზე. 37 88 77

იყიდება საკუთარი სახლი 4 ოთახით, ყველა პირობით და 1 ოთახი შუშაბანდით ყველა პირობით, მიღლის მიწის ნაკვეთი 345 კვ.მ. მეტრო "300 არაგველი", პირველი დოლაბაურის ქ. №1.

იყიდება კერძო სახლი ხეხილიანი ეზოთი მეტრო "სამგორთან" ახლოს. სულ ეზოიანად 500 კვ.მ. სახლი 150 კვ.მ. ტელეფონით, სველი წერტილებით. 13 000 $. გუდარეხის ქ. № 83. 71 92 85

იყიდება 1-ოთახიანი კუთხის ბინა ლოჯიით მეტრო "ისანთან" ახლოს. 7(10) სართული. საწყისი ფასი 6 500 $. 93 66 78 (დღე), 74 59 81 (საღამოს)

იყიდება 3-ოთახიანი ლვოვის პროექტის ბინა დიდ დიღომში. III მ/რ-ნი. მე-6 სართული. 98 31 32.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე (მე-9 საავადმყოფოს პირდაპირ). 5(5). მზიანი ლოჯიით, სარდაფით, ბუნებრივი აირით. 22 25 00

2,5 ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის სუფთა ბინა რკინის კარებით. VIII/10 – გლდანის IIIა მკ/რ. ფასი 5000. ტელ: 52 09 36.

იყიდება გარემონტებული ბინა, 70 კვ.მ. II სართულზე, რუსთაველზე. ფასი 40 000. 76 49 56

იყიდება კერძო სახლი ფოთში. ზღვის სანაპიროზე. ეზო 600 კვ/მ. სარემონტო. 899 981909

იყიდება 110 კვ.მ. 3-ოთახიანი სუფთა ბინა ტელეფონით და სარდაფით. დადიანზე. 8(99)55 84 15

იყიდება გარემონტებული 3-სართულიანი სახლი, სოფ. დიღმის დასაწყისში. 70 000-ად. 52 22 77

იყიდება გარემონტებული, მაღალჭერიანი 3-ოთახიანი, ნინოშვილზე. ფასი შეთანხმებით. 95 76 58

იყიდება 4-ოთახიანი ვაშლიჯვრის დასაწყისში, ტელეფონით, ბუნებრივი აირით და ავტოფარეხით. 53 06 68

იყიდება მაღალჭერიანი 3-ოთახიანი ბინა 7(8) მეტრო "ღრმაღელესთან". 60 75 06

სასწრაფოდ იყიდება 3-სართულიანი სახლი ნაკვეთით, კოჯორში, საუკეთესო ადგილას. 23 14 60, 8(99) 51 45 04

იყიდება 3-ოთახიანი ბინა მაღაზიით I სართულზე, მელიქიშვილის 13-ში. 29 16 58

იყიდება 2-სართულიანი კაპიტალური სახლი სოფ. კავთისხევში. 8(99) 17 17 12, 38 00 71

იყიდება 3-ოთახიანი მიშენებით, ქავთარაძეზე. 30 35 05

იყიდება 1-ოთახიანი თემქაზე 2 100-ად. 61 73 58, 61 05 49

იყიდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ზესტაფონის ქუჩაზე. 52 12 96

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი ბაგებში. 25 14 44

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი მეუნარგიაზე. 22 27 19

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8(9), მეტროსთან ახლოს, ბუნებრივი აირით. 52 73 72

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა კამოს №2-ში. 32 01 77

იყიდება 3-ოთახიანი ბინა I სართულზე დიღმის მასივში. 12 000-ად. 51 61 22

იყიდება დელისთან მიწის ნაკვეთი 18000 კვ/მ. საწყისი ფასი განვადებით 500000. ერთი კაცის კერძო საკუთრება. მიგება ჩრება 349 000. გარჩევით!. ტელ: 899 50 08 06 თავადი

22 07 89 აზნაურიშვილი ირმა

იყიდება 3,5-ოთახიანი გარემონტებული ბინა II სართულზე, დიღმის მასივში. 52 27 97

იყიდება 1-ოთახიანი ავლაბარში. 39 19 58, 29 82 72

იყიდება 270 კვ.მ. მიწის ფართი 1-სართულიანი სახლით. მის. ავლევის შესახვევი 9. ანჩისხატის უბანში. დასაკმაყოფილებელი ოჯახი. 22 44 80, 8(99) 23 59 13

იყიდება 2,5 ოთახიანი დიღმის მასივში. 51 59 19

იყიდება 3-ოთახიანი IV სართულზე ვარკეთილში, მეტროსთან ახლოს. 75 96 30

იყიდება კერძო სახლი ყველა პირობით, მეტრო 300 არაგველი, I დოლაბაურის ქუჩა №1.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა რუსთავში, მერიასთან. 8(24) 15 72 62

იყიდება ან იცვლება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ნაკლებ ფართზე, 4(8) წერეთელზე 12 000-ად. 34 61 29

იყიდება კერძო სახლი მეტრო "ნაძალადევთან" ავტოფარეხით, ხეივნიანი ეზოთი, სველი წერტილებით, გათბობით. 110 კვ.მ.

69 13 79 ანზორი

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ვარკეთილი III, II მკრ/ნი. 6000 ლარად. 61 47 33

იყიდება 5-ოთახიანი კუთხის ბინა კანდელაკის 33-ში. 37 33 15

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მოსკოვის გამზირზე. 70 54 48

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვაშლიჯვარის დასაწყისში. 53 06 68

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილის თეატრთან, პრესტიჟულ სახლში. 33 21 25

იყიდება 4-ოთახიანი "პენტჰაუსი" ახალაშენებულ სახლში. ვაკეში. 8(93)35 75 77

იყიდება 3-ოთახიანი კუთხის ბინა ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი, X კორპუსი. 31 61 68

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა, 260 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ნახალოვკაში. 69 62 83

იყიდება 1-ოთახიანი სარემონტო ბინა კანდელაკის ქუჩაზე. ფასი 7500 $. 8(93)31 30 89

იყიდება 1-ოთახიანი არასტანდარტული ბინა I სართულზე. გამოდგება საოფისედ. ფასი 12000 $. 8(93)31 30 89

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა კანდელაკზე, I სართული გამოდგება საოფისედ. ფასი 13 00$. 8(93) 31 30 89

იყიდება ახალაშენებულ სახლში, კარკასულ მდგომარეობაში, მორკინალთან, 200 კვ.მ.-ის ბინა დუპლექსი 72 კვ.მ. და 138 კვ.მ. ავტოფარეხით. ფასი 55 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ახალაშენებულ სახლში, კარკასულ მდგომარეობაში, საბურთალოზე 230 კვ.მ.-ის ბინა. საწყისი ფასი 28 000$.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში. 52 73 72

იყიდება საბურთალოზე, ახალაშენებულ სახლში, კარკასულ მდგომარეობაში, 140 კვ.მ. ფართის ბინა მე-2 სართულზე. საწყისი ფასი 16 000$. 8(93)31 30 89

იყიდება ახალაშენებულ სახლში, საბურთალოზე, კარკასულ მდგომარეობაში 180 კვ.მ. ფართის ბინა მე-2 სართულზე. ფასი 36 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება საბურთალოზე 2-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 9/8 სართულზე. დამატებით საშრობში ამოშენებულია ოთახი. ფასი 18 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება კუტუზოვზე, არასტანდარტული, 4-ოთახიანი, მაღალჭერიანი იზოლირებული ბინა მე-2 სართულზე. ფასი 35 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ბუდაპეშტის ქუჩაზე ტიპური პროექტის 3-ოთახიანი ბინა კარგი სათავსებით. მე-2 სართულზე. ფასი 22 000 $.

იყიდება ნუცუბიძის 2 მ/რ-ში ჩეხური პროექტის 140 კვ.მ. ფართის ბინა მე-3 სართულზე. ავტოფარეხით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 20 000 $. 8(93)31 30 89

ქირავდება 2-ოთახიანი მარჯანიშვილზე. 34 80 51, 8(99)32 92 16

იყიდება ბინა. 93 49 52

იყიდება ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში 2-ოთახიანი ბინა, 5/5 სართული. ძველი რემონტით. საწყისი ფასი 10 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ლეონიძის ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში" მე-3-ე სართულზე. საწყისი ფასი 30 000. ტელ: 99 80 71

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული სუფთა ბინა ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე, მე-2 სართულზე. ბოლო ფასი 45.000. ს/ფ. 144 კვ.მ. 98 52 81 სალომე

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი და ოროთახიანი კუთხის გაერთიანებული, გადაკეთებული, გარემონტებული, ტელეფონი, ბინა 4 სართული, წერეთელზე, №55. ავტოფარეხით. ბოლო ფასი 55.000. 8(99) 51 58 54

ვცვლი ბინას იზოლირებულ 3-ოთახიანზე. 8(77) 78 18 57

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა ნაძალადევში. 95 87 41

სასწრაფოდ იყიდება ხილიანზე 3 (16) 1,5 ოთახიანი სუფთა ბინა. საწყისი ფასი 12.000. 98 52 81

იყიდება 4-ოთახიანი უცხოური ბინა 6/9-სართულზე დიდ დიღომში, მე-3 მ/რ-ში, მე-5 კორპუსი. ფასი 8500. ტელ: 23-13-74 (საღამო), 877 40 78 50

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, 6(9) ვარკეთილის მე-3 მ/რ-ში. ტელ: 59-05-59.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა. ტელ: 37-88-90.

იყიდება 1-ოთახიანი გადაკეთებული 2-ად დიღმის მასივში. ტელ: 52-10-31

იყიდება 5-ოთახინი ბინა ქიაჩელზე. ტელ: 93-65-53.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა რუსთავში. ტელ: 8 24 15 72 62

იყიდება 2-ოთახიანი ბინა, საერთო ფართი 80 კვ.მ. ვერაზე. ტელ: 22-48-91

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვაშლიჯვარის დასაწყისში, კინოსტუდიის კორპუსში. ტელ: 53-06-68.

იყიდება სახლი. ტელ: 63-32-44

იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი დიდი ეზოთი ან სახლის ნახევარი. ტელ: 33-25-77.

## მიწის ნაკვეთები

იყიდება ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტთან, "ფრანციასთან" 6300კვ/მ მიწის ნაკვეთი. შესაძლებელია, აშენდეს 25000კვ/მ ოფისები და ბინები. შესაძლებელია ნახევრის ყიდვა ან ადგილზე ფართებით დაკმაყოფილება.

ტელ: 893 96 10 60 ან 23 33 06

იყიდება ან იცვლება ადგილზე ბინებში მიწის ნაკვეთები ფიქრის გორაზე. კუთხის 1500კვ/მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ვაკის პარკთან, აბაშიძეზე ნაკვეთი 700კვ/მ. ფასი დაახლოებით 400 000, განვადებით და ფართებით. აქ აშენდება 11 სართული. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ყიფშიძეზე 4000 კვ/მ-ზე მეტი. მოთხოვნა 30 პროცენტიანი 90900 (განვადებით. შეიძლება 20 000კვ/მ.

ტელ: 23 33 06 ან 899 961060)

იყიდება მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის 3 მკ/რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 32-52-82

იყიდება 2000 კვ.მ. ნაკვეთი სოფელ შინდისში. 72 49 58

იყიდება 270 კვ.მ. მიწის ფართი 1-სართულიანი სახლით ანჩისხატის უბანში. ავლევის შესახვევი №9. დასაკმაყოფილებელია 2 ოჯახი. 22 44 80, 8(99)23 59 13

იყიდება 800 კვ.მ. ნაკვეთი გრიგოლეთში, ზღვისპირას. 60 29 52

## კომერციული ფართი

იყიდება ჭავჭავაძეზე "BARB"-ის გვერდზე სამ ვიტრინიანი მაღაზია. ფასი 120 000. შესაძლებელია გაყოფა. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება კავსაძესთან, ჭავჭავაძის პროსპექტზე, BIG-Ben-თან სამაღაზიე ფართი 110კვ/მ. ფასი 73000. შეიძლება ნახევარი. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება რუსთაველის 1-ში, ოპერის გვერდით, სამი დიდი ვიტრინით მაღაზია. საწყისი ფასი 250 000. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება მელიქიშვილზე სასტუმრო "საქართველოს" პირდაპირ 70კვ/მ ფართის მაღაზია. ფასი 60 000, ან 1/3 ფართ. ტელ: 23 33 07 ან 877 73 93 00

ქირავდება მაღაზია. ვარკეთილის 3. მე-4 მკ/რნ. 79 80 10

ქირავდება 162 კვ.მ. საოფისე ფართი მეტრო "მარჯანიშვილთან", კრილოვის №6. 68 74 91, 8(99) 56 79 88

იყიდება 500 კვვ.მ. მოქმედი რესტორანი ყველანაირი აღჭურვილობით რუსთაველზე. 79 90 48

იყიდება სასურსათო მაღაზია 16 კვ.მ. თავისი მოწყობილობით მეტრო "ღრმაღელესთან" ახლოს. ფასი 3000 $. 61 73 82

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

## ქირა, ბირა

ვიქირავებ 1 ოთახს. 29 30 51

ქირაევდება 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ირ. აბაშიძეზე, 500 $. სასურველია უცხოელებზე. 22 08 20, მაია.

ქირავდება კეთილმოწყობილი 2-ოთახიანი ტელეფონით და საჭირო თანამედროვე ავეჯით. მარჯანიშვილზე. ფასი 180 $. 34 80 51, 8(93) 32 92 16

ქირავდება 1-ოთახიანი ალმაშენებელზე. 95 08 61

ვიგირავებ 2 ან 3-ოთახიან ბინას ტელეფონით IV სართულზე, 4 000-მდე. ცოტნე დადიანის № 34-ში. 69 62 50, ნინო

ქირავდება 1 ოთახი თავისი სამზარეულოთი და ავეჯით იტალიურ ეზოში, თავისუფლების მოედანთან. 53 93 65

ქირავდება იზოლირებული 1,5-ოთახიანი ბინა თავისუფლების მოედანთან. გამოდგება სამაღაზიედ ან საოფისედ. 98 61 02

ქირავდება ბინა მარჯანიშვილზე 200-ად. 34 80 51, 8(93) 32 92 16

ვიგირავებ 3-ოთახიან ბინას IV სართულამდე. სუფთა მდგომარეობაში, ტელეფონით. 4 000-მდე. ცოტნე დადიანის 34-ში. 69 62 50

ქირავდება 3-ოთახიანი არასტანდარტული კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით, უზნაძეზე. ფასი 200$. 95 40 23, ნინო

ვიქირავებ 2-ოთახიან ბინას ვორონცოვზე. 96 10 32

ქირავდება 2-ოთახიანი რუსთავში, მერიასთან. ფასი 50 ლარი. 8(24) 15 72 62

ქირავდება გარემონტებული 54 კვ.მ. ფართობი კომერციული საქმიანობისთვის ელიავაზე. 34-25-22; 8(99) 96-33-79

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა მეტრო "სამედიცინოსთან". ბუნებრივი აირით, ტელეფონით. 73 35 19

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვერაზე. 74 35 81

ვიგირავებ ბინას 2000-ის ფარგლებში, ნაძალადევის მიმდებარე ტერიტორიაზე. 66 35 88 ეკა, 98 48 19 ლალი

ქირავდება კეთილმოწყობილი 2-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილზე. ფასი 180. 34 80 51, 8(93) 32 92 16

ვიგირავებ იზოლირებულ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ ბინას ვერაზე ან ვაკეში. 25 03 36, 8(77) 73 92 08

ქირავდება 2-ოთახიანი ლოჯიით, რკინის კარით, ტელეფონით ნუცუბიძის ქუჩაზე, ბანკთან. 23 57 39, 8(99) 16 80 06

ქირავდება 2,5-ოთახიანი ბინა მეტრო "წერეთელთან" 4(9), ყველა პირობებით. 38 09 28

ქირავდება სამსართულიანი სახლის I სართული აწყობილი სადღესასწაულო დარბაზად. გამოდგება საოფისედაც. ევრორემონტით. ლესელიძის ქ. №31. 98 97 34

ქირავდება 1-ოთახიანი 5-ოთახიან ბინაში. ჩეხური პროექტი. მე-2 სართული. სტუდენტი გოგონასთვის. 35 38 23

ქირავდება ბინა უცხოელებზე. ვერაზე. 22 60 14

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა საბურთალოზე. 32 14 92

ქირავდება 4-ოთახიანი ბინა პეროვსკაიაზე, საოფისედ ან კერძო პირზე. 99 60 27

გირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუნებრივი აირით. ფასი 3700. 96 23 83

ქირავდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯით, ავტოფარეხით. ფასი 500. კოსტავაზე. 36 41 90

ქირავდება 1-ოთახიანი არასტანდარტული იზოლირებული ბინა იპ. ხვიჩიას ქუჩაზე. 100 $ თვეში. 8(93)31 30 89

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა, ბუნებრივი აირით, ტელეფონით. მეტრო "სამედიცინოსთან". ტელ: 71-35-19

## მანქანები

ვიქირავებ საბჭოურ მსუბუქ ავტომანქანას. 29 09 42, 8(99) 54 42 41

იყიდება "ვოლვო-460". 52 35 08

შევიძენ ჟიგულს ბუნებრივ აირზე კარგ მდგომარეობაში. ტელ: 52 09 36; 899104896.

ვაგირავებ. 39-04-40; 8(99) 54-95-06

შევიძენ "ვილისს". 31 52 95

იყიდება ავტომანქანა "ლინკოლნი". 8(99) 17 17 12

სასწრაფოდ იყიდება 1997 წლის გამოშვებული ორი ჯიპი: "ჰუნდაი გალოპერი" ერთი ბენზინზე, მეორე დიზელზე. ორივე კარგ მდგომარეობაში. კონდიციონერებით. თითოს ბოლო ფასი 9.000. 8(99) 51 58 54

იყიდება მიკრო-ავტობუსი "ფოლცვაგენი", მუქი ლურჯი, 1983 წლის. კარგ მდგომარეობაში. მუშაობს ბუნებრივ აირზე. ბოლო ფასი 1000. 41 03 31

იყიდება "რაფი". კარგ მდგომარეობაში. ფასი 300$. 62 02 42 62 52 41

იყიდება წითელი ფერის "ფოლცვაგენ-ჯეტა" 800-ად. კარგ მდგომარეობაში. ვაყოლებ 4 საბურავს და სავალი ნაწილების ახალ კომპლექტს. 8(99) 93 09 19 ზურა.

იყიდება "ლანჩია-ცემა", 1989 წლის. ნაცრისფერი. ფასი შეთანხმებით. 23 14 15

იყიდება 1997 წელს გამოშვებული "ფოლცვაგენ-პასატი", მწვანე მეტალიკი კლიმატკონტროლით, ღია სალონით, ნადგომი. ბოლო ფასი 8.500. 98 52 81. საღამოს

იყიდება მერსედესი 123. ფასი 1800 $. 39 80 77

სასწრაფოდ იყიდება „მერსედეს-230E“, შავი ფერის. 1985 წლის. კარგ მდგომარეობაში. 8(99) 58-41-83; 8(77) 42-05-75

იყიდება "მერსედესი -123/230. ტელ: 899-15-19-39.

## სწავლება

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგიაში. 38 48 65, 8(99) 14 94 17

მოვამზადებ გერმანულში. 38 48 45

მოვამზადებ ინგლისურში. 72 49 58

მოვამზადებ გერმანულ ენაში, მაქვს გამოცდილება. 96 76 95

ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს მინაზე მისვლით. 35 21 63

მოვამზადებ ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ინდივიდუალურად. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში, გარდა ენებისა. 22 76 85

მოვამზადებ მათემატიკაში ბინაში მისვლით. 32 79 63

მოვამზადებ მათემატიკაში და ფიზიკაში ნებისმიერ მსურველს. 22 43 68, რეზო.

შევასწავლი ფორტეპიანოსა და სიმღერების დაკვრას. ვამეცადინებ მუსიკალური სკოლის მოსწავლეებს. 52 67 27

ვამზადებ ბავშვებს პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით. ვასწავლი ინგლისურსაც. ფასი 70 $. 68 84 80, 60 80 16

მოვამზადებ ინგლისურში 25 ლარად. 93 54 86, ლალი.

ვასწავლი გერმანულს. 29 32 89

თსუ-ს თანამშრომელი მოვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში კვირაში 3-ჯერ, 6 საათი 20 $. 39 70 65

მოვამზადებ ბიოლოგიასა და ქიმიაში აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. შეიძლება ბინაზე მისვლაც. 31 53 46

მოვამზადებ ინგლისურში შეღავათიან ფასად. 61 47 35 (საღამოს)

მოვამზადებ გერმანულ ენაში 30 ლარად. 32 89 70

უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს აბიტურიენტებს ქართულში. 25 22 96

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. შესაძლებელია ბინაზე მისვლითაც. ფასი 30 ლარი. 52 60 60

მოვამზადებ მოსწავლეებს სასკოლო საგნებში, გერმანულის ჩათვლით. 72 19 60, 8(99) 24 43 45

მოვამზადებ ფრანგულში. 66 89 41, საღამოს

მოვამზადებ ნებისმიერ მსურველს მათემატიკასა და ფიზიკაში. 33 76 53, 8(99) 14 06 20

მოსამზადებელი კურსები: ფიზიკა, მათემატიკა, უცხო ენები. პარალელურად შეისწავლება კომპიუტერული პროგრამები.

ტელ: 98 76-07

ვამზადებ აბიტურიენტებს ქართულში. 96 70 27

მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულში. შეიძლება ბინაზე მისვლით. 57 69 76

მოვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში ინდივიდუალურად, სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტებისათვის. სარაჯიშვილის № 14 (მეტრო "რუსთაველი"). 93 88 22, 99 08 31

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Exell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკაში. 92 02 43, ალეკო

მოვამზადებ ინგლისურში. 98 29 23

ვამეცადინებ მოსწავლეებს ყველა საგანში ყოველდღე ბინაზე მისვლით. 23 17 05

ინგლისური ენის სპეციალისტი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს ბინაზე მისვლით. 94 24 89, შორენა

უმაღლეს დონეზე ვამზადებ უბიტარიუნტებს სალაპარაკო ინგლისურში. 99 90 05, მერი

მოვამზადებ I-IV კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში. 30 70 12, ნატო

ვასწავლი გერმანულს ბინაზე მისვლით. ვარ უმაღლესი კატეგორიის გერმანული ენის პედაგოგი. 8(93) 34 45 77, მერი

მოვამზადებ ინგლისურში. 32 93 03

მოვამზადებ ესპანურში. 22 41 72

შევასწავლი ფრანგულ ენას. 75 73 32

მოვამზადებ ფრანგულში საფუძვლიანად. 63 37 77

მოვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს მათემატიკაში, გაძლიერებული პროგრამით. 34 42 78

აიკიდოს შესწავლის მსურველებს ვიწვევთ სავარჯიშოდ. დარბაზები განლაგებულია ვაკეში, ნაძალადევში, ვარკეთილში. 69 03 42, 8(99) 17 18 66

## სხვადასხვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ა.წ. 29 სექტემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ატარებს IX საერთო კრებას.

დღის წესრიგით განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. ასოციაციის 2002 წლის საქმიანობის ანგარიში 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში 3. ასოციაციის წესდებაში ცვლილებები და დამატებები 4. ასოციაციის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დამტკიცება (თემატური მსჯელობა) 5. გამგეობის წევრთა კანდიდატების დასახელება 6. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების დასახელება რეგისტრაცია დაიწყება 09.00 სთ-ზე.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ვიმუშავებ ძიძად და დავეხმარები სკოლის მოსწავლეს გაკვეთილების მომზადებაში. 61 88 44

იყიდება წიგნების კარადა. რუმინული, 3-კარიანი, 2 ცალი. 500-ად. 93 68 62, 8(77) 46 45 15

ვეძებ სამსახურს. ვიმუშავებ მდივნად კომპიუტერზე, სუპერმარკეტში. მოდელების სააგენტოში მქსოველად. 70 65 10

იყიდება სპარსული ჯიშის თეთრი კნუტი. 31 46 59

იყიდება როიალი "გრენშტატი". საუკეთესო მდგომარეობაში. 39 09 27

იყიდება ყავის ხე 150 ლარად და ყავის მოსადუღებელი ვიშის 6 მოსადუღებლის 60 ლარად. 96 92 16

იყიდება სამზარეულო 14-ნაჭრიანი, ახალი. აწყობილ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 96 74 13

იყიდება ლითონმჭრელი ჩარხები . 8 (99) 17 81 85

იყიდება ყურძენი "საფერავი". 8(99) 93 66 39

ექიმი-პედიატრი იმუშავებს ძიძად. 31 64 02

რკინიგზელთა სასახლის წინ, ავტომანქანიდან დაიკარგა ყავისფერი ტყავის საქაღალდე საბუთებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. 52 40 62, 8(99) 23 54 36

იყიდება ალუმინის ფურცლები და მუხის კასრები. 57 47 91

მოვამზადებ ესპანურში. 61 00 84

ვთარგმნი რუსულიდან ქართულად და პირიქით ნებისმიერ ლიტერატურას. ერთი გვერდის ფასი 1 ლარი. 62 29 18, 8(99) 95 50 76

ვარ კონდიტერი. ვეძებ სამუშაოს. 61 13 86

"დინამო" სტადიონთან დაიკარგა ჩანთა თამილა შაიაშვილის საბუთებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. 76 72 89

იყიდება 0.65 კვტ-იანი გენერატორი "ტაივერი". ფასი 150 $. 8(99) 56 14 94

ვარ 24 წლის. ვიმუშავებ სუპერმარკეტში კონსულტანტად. დამთავრებული მაქვს გინეკოლოგიური და ვიმუშავებ ექთნად. 67 18 53

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ვამზადებ უცხოური ავტომობილის ყველა სახის გვერდითა მინას. შეღავათიან ფასებში. ჩასმა უფასოდ. 8(99) 10 35 64, გიორგი

იყიდება უნივერსალური იაპონური ფოტოაპარატი "მინოლტა - MINOLTA" ზომით (38-135) მმ. უამრავი ფუნქციით. საუკეთესო მდგომარეობაში. 8(99) 90 22 64, ალეკო.

იყიდება წისქვილი თავისუფლების მოედანთან. 98 61 02

ვიმუშავებ ჭურჭლის მრეცხავად. 73 41 93, ნანა

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე, ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

მესაჭირეობა გამყიდველი კარგი ვაჭრობისათვის. 39 70 41, 8(99) 24 39 26

ქირავდება კაფე-ბარი მეტრო "გოცირიძესთან". 76 72 82

იყიდება წიგნები სამ ლარად: საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება; ქართულ-ბერძნული სასაუბროები. 77 72 67

იყიდება პიანინოები "პეტროფი" და "ვაინბახი". 95 08 87

იყიდება როიალი "გერბნაინდორფი". 96 55 96

ვამზადებ ყველა სახის უცხოური ავტომანქანის გვერდითა მინებს შეღავათიან ფასში. ჩასმა უფასოდ. 8(99) 10 35 64

ვიმუშავებ ოჯახში მზარეულად, მოვუვლი ბავშვს. 63 61 58, დოდო

იყიდება ვიტრინა-მაცივარი იაფად. სრულიად ახალი. 8(77) 44 89 28

ვაქირავებ კომერციული საქმიანობისთვის 50 კვ.მ. ფართს, ორ ოთახს 300 $-ად. ქალაქის ცენტრში. ოპერის უკან. საკუთარი ტელეფონით, სან-კვანძით, რკინის კარებით, მაღალი ჭერით. 93 30 80

იყიდება კომპიუტერი PENTIUM II. სრული კომპლექტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 270$. ტელ: 34-63-57

იყიდება პენტიუმ 1. 14 000-იანი მოდემით. ტევადობა 1 GB. ფასი 120 დოლარი. 30 83 45, ზურა

იყიდება ნოუთბუქი ინტელ პენტიუმ 3. ახალი. cd-room და dvd room-ებით. ფასი 1500 $. 92 00 20, 93 52 31

ვყიდი საინჟინრო ნიველირს. ტელ 52 09 36.

ვყიდი მობილურ ტელეფონებზე კოდების მოსახსნელ და პროგრამის ჩასაწერ მოწყობილობას. ფასი 350; კომპიუტერთან და პროგრამებთან ერთად ფასი 500.

მაქვს სერიოზული იდეა ახალი წარმოების დასაწყებად. საქმეს სჭირდება 30 000 დოლარამდე. შემეხმიანოს პიროვნება, ვისაც აქვს თანხა და სურს მოგებიან საქმეში ჩადება. ტელ: 877739054.

ვყიდი საიჟინრო თეოდოლიტს. 52-09-36

შევიძენ რკინის გარაჟს. ტელ: 52 09 36

იყიდება საკერავი მანქანა "პოდოლსკი". 96 10 32

იყიდება ანტიკვარული როიალი "ბეკერი", შავი, ნახევრად საკონცერტო. 500-ად. 34 82 90, 8(99)16 97 08

იყიდება ძველი როიალი "ზეიკერი". 29 33 73

შევიძენ "სონის" სათამაშო კომპიუტერს. 75 40 89

მაცივრების შეკეთება გარანტიით. 53 32 19

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე, ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

დაიკარგა ბესიკ ჩიხლაძის საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება. 71 87 28, 8(99)18 58 07

იყიდება ყურძენი "საფერავი". 8(99)93 66 39 გია

გავაკრავ კაფელს და დავაგებ მეტლახს. 62 94 76

ვჭრი რადიატორებს. 35 39 53

შევიძენ ჭერზე ჩამოსაკიდებელ ვენტილატორს. 34 00 91. 18.00 საათამდე.

იყიდება აგარაკი მცხეთაში. 66 40 96

იყიდება საოჯახო ნივთები. 53 06 68

მოვემსახურები ავტომანქანა "მერსედესით" ფირმას ან კერძო პირს. 60 75 06

ვიმუშავებ მდივან-რეფერენტად. 60 75 06, 34 42 64

სასწრაფოდ იყიდება ხაზი №210. 63 79 38

იყიდება სუფთა სისხლის დობერმანის ლეკვები. 61 79 62, 38 31 93. ცირა

იყიდება პიანინო "გამა". 52 54 03

იყიდება პიანინო "როდინა". საწყისი ფასი 200. 51 59 19

ვამზადებ ავარიულ კერძებს, ვიმუშავებ სასტუმროში. 79 65 33

იყიდება შეფუთული საქსოვი მანქანა "ნივა-2". 37 04 59

იყიდება სასადილო სერვიზი "მადონა" 12 კაცზე. 37 04 59

შევიძენ 3-ძაფიან "ავერლოკის" მანქანას. 8(93) 32 69 39

იყიდება შავ-თეთრი ტელევიზორი "ჰორიზონტი", მუშა მდგომარეობაში. 62 15 64

იყიდება ბატიბუტის აპარატი, ახალი. 62 15 64, მარინა

დაიკარგა იზო და ნათია საბანაძეების საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება. 68 70 85, 8(77) 75 15 27

იყიდება ბაზალეთის ტბაზე 600 კვ.მ. და 700 კვ.მ. საგარაკე მიწის ნაკვეთები ელიტურ უბანში. 8(77) 72 97 32, 8(77) 49 29 69

ნაძალადევის კ/სასახლეში ისწავლება კოსმეტიკა დაჩქარებული მეთოდით. გაიცემა სერთიფიკატი. ც. დადიანის 26. 66 53 56

იყიდება საგარაკე ნაკვეთი ლოჭინოში - ბროწეულაში - "კინოსტუდიაში". ნ. №217. პატარა ხის კოტეჯით. 1 600 $.

იყიდება ჩეხური 8-სანთლიანი ჩაღი. 500-ად. 93 68 62, 8(77) 46 45 15

ცნობებისათვის - ნაკვ. №212 ან თბილისში - 62 69 56, 8(99) 56 05 74

ეკონომისტი, ბუღალტრული სტაჟით, ვმუშაობ კომპიუტერზე, ვფლობ რუსულ ენას. ვეძებ სამუშაოს. 62 06 10 მანანა

ანასტასია შარვაშიძეს დაბადების დღეს ულოცავენ ვაშლის წვენები და ობობა ბობა: ტასო ძალიან გვიყვარხარ!










გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასწავლი, მომსახურება, სამუშაო, მკურნალობა

11.09.02 N-101

ფეხბურთი

# გენერალური რეპეტიცია ლიბერეცის წინ

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ევროპის საკლუბო ტურნირებს შემორჩენილმა ერთადერთმა ქართულმა კლუბმა, თბილისის "დინამომ", უეფას თასის მორიგი ეტაპის პირველი შეხვედრის წინ, ბოლო "რეპეტიცია" ჩაატარა. "დინამომ" ეროვნულ სტადიონზე რუსთავის "გორდას" უმასპინძლა და საკმაოდ იოლად, განსაკუთრებული ოფლისღვრის გარეშე, ანგარიშით 3:0 დაამარცხა მეტოქე. გოლები ბურდულმა, დარასელიამ და შაშიაშვილმა გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა დაბალ ტემპში, პრაქტიკულად კლასში სხვაობით, დაამარცხეს მეტოქე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მეორე ტაიმში, როდესაც, ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობასთან ერთად, "დინამომ" გაცილებით უკეთესი ფიზიკური მომზადებით დაჯაბნა "გორდა". თამაშს, უეფას თასზე "დინამოს" მეტოქის, ლიბერეცის "სლოვანის" სამი წარმომადგენელიც ესწრებოდა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე "დინამოს" ხორვატმა მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა განაცხადა, რომ მის ფეხბურთელებს ჩეხი ემისრებისთვის თამაშის დამალვის მითითება არ ჰქონიათ და დინამოელთა შედარებითი ინერტულობა მოწინააღმდეგის სისუსტით იყო განპირობებული.

თუმცა, ამ მოსაზრებას არ იზიარებს "ლიბერეცის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იოზეფ პეტშიკი: "ეჭვგარეშეა, "დინამოს" დღეს თავის შესაძლებლობების 50 პროცენტიც არ გამოუყენებია. გუნდის თამაშში აშკარად იგრძნობა რეზერვი. "დინამო" ახალგაზრდა და ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ჩეხეთში სულ სხვა თამაშს შემოგვთავაზებს. მომეწონა თქვენი გუნდის თავდასხმის ხაზი, განსაკუთრებით 9 და 8 ნომრები (დარასელია და ბურდული). ნაჩვენები დაბალი ტემპის მიუხედავად გამოჩნდა, რომ თქვენი გუნდი ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს თამაშობს. და მაინც, არა მგონია, "დინამომ" "ლიბერეცს" განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნას. "მილანთან" დაპირისპირებისას, ორი თამაშის ჯამში, ფრედ 2:2 ვითამაშეთ და "მილანი" ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მხოლოდ სტუმრად გატანილი გოლის ხარჯზე მოხვდა. თქვენი "დინამო" კი "მილანის" დონის გუნდი რომ არ არის, ალბათ, თავადაც დამეთანხმებით. თუმცა, საკმაოდ პერსპექტიული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც ახლო მომავალში სერიოზული ამოცანების გადაჭრაც შეეძლება".

"დინამო" თბილისი, პრაღის რეისით, დღეს გაემგზავრება ჩეხეთში. პრაღიდან გუნდი ავტობუსით გადავა 90 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ ლიბერეცში. თამაში ხუთშაბათს, თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება ამ გუნდის სტადიონზე, რომელიც სულ 10 ათას მაყურებელს იტევს.

ლიბერეცში "დინამო" შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა: გვარამაძე, ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, გოგობერიშვილი, კარლოსი, სახვაძე, ბურდული, ანჩაბაძე, დარასელია, მიქაძე, კანდელაკი, კვირკველია, მაზიაშვილი, ებანოიძე, ხიზანეიშვილი, სამხარაძე, ბობოხიძე, მანჩხავა. სალიბერეცო განაცხადში ვერ მოხვდა ახალაია, რომელმაც შვეიცარიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩში ტვინის შერყევა მიიღო.

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების შედეგები



# ტოტი „ლაციოს" თანაუგრძნობს

ალესანდრო ნესტას გაყიდვის შემდეგ "ლაციოს" ტიფოზები თავს სასტიკად შეურაცხყოფილად გრძნობენ. კრანიოტის კლუბის კაპიტანი რომაელ თაყვანისმცემელთა უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო და მისი მილანში გადასვლა მათთვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა.

ყველასთვის მოულოდნელად, "ლაციოს" გულშემატკივართა დარდი "რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმაც გაიზიარა. ტოტის კარგად ესმის მოქიშპე გუნდის გულშემატკივრების, რადგან "რომას" ფანები მას სწორედ ისევე აღმერთებენ, როგორც "ლაციოს" ტიფოზები - ნესტას. ტოტი მიიჩნევს, რომ სერჯო კრანიოტის ნებისმიერ ფასად უნდა შეენარჩუნებინა ნესტა და არ დაეთმო "ინტერისთვის." "ლაციოს" ტიფოზებისთვის ეს სილის გაწვნა იყო. მე რომ "ლაციოს" ფანი ვიყო, ნესტას გაყიდვის შემდეგ საერთოდ აღარ მივიდოდი სტადიონზე", - ამბოხებისკენ მოუწოდებს ტოტი "ლაციოს" ტიფოზებს.

მძლეოსნობა

# მონტგომერიმ გურუჯს დაბადების დღე ჩაუშხარა, გრინს კი რეკორდი წაართვა

გიგა გურასაშვილი

მძლეოსანთა გრანპრის პარიზულ ფინალში დატრიალებულმა მოვლენებმა მოლოდინს გადააჭარბა. ამერიკელმა სპრინტერმა ტიმ მონტგომერიმ პროგნოზები თავდაყირა დააყენა.

ასპარეზობამდელი გათვლებით, 100 მეტრზე კაცთა შორის პირველობა ან მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯს უნდა მოეპოვებინა, ან დომინიკელ ფელიქს სანჩესს. ორივე მათგანს სტარტამდე მთლიანობაში 92-92 ქულა ჰქონდა დაგროვილი. თვალსაჩინო უპირატესობა ვერც ფინალური გარბენის შემდეგ მოიპოვა ვერცერთმა ვინაიდან ჯერ მაროკოელმა მოიგო მისთვის საფირმო დისციპლინაში 1500 მეტრზე გარბენი, შემდეგ დომინიკელმა 400 მეტრზე თარჯრბენი. და ისევ თანაბარი 116-116 ქულა. პირველ-მეორის გამოსარკვევად საჭირო გახდა ასპარეზობებზე მიღწეული შედეგების დაანგარიშება და საუკეთესო სპორტსმენისთვის გრანპრის გამარჯვებულად გამოცხადება. უკეთესი მაჩვენებლები გურუჯს აღმოაჩნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საერთო ჩათვლაში დაწინაურებისთვის დაწესებული 100 ათასიან ჯილდოს მაროკოელი დაისაკუთრებდა და საკუთარი დაბადების დღისთვის ერთგვარი საჩუქარიც გამოუვიდოდა, მაგრამ...

100 მეტრზე ფინალურ გარბენში მონტგომერიმ მორის გრინის მიერ 1999 წელს ათენში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (9,79) დაამხო – 9,78.



ტიმ მონტგომერი REUTERS

გრანპრის ფინალამდე მონტგომერი 74 ქულით თუ მოიწონებდა თავს. გამარჯვებამ მას 24 ქულა შესძინა, ხოლო მსოფლიო რეკორდმა ამერიკელი საგრძნობლად წაწია წინ. ასეთი შედეგისთვის ამერიკელს კიდევ 18 ქულა ერგო და ძირითად მეტოქეებს – გურუჯსა და სანჩესს გაუთანაბრდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამერიკელი ასპარეზობის საუკეთესო შედეგის მქონე სპორტსმენი გახდა, სახელიც და ფულიც მას დარჩა. ერთმა მეასედმა წამმა მონტგომერს 250 ათასი დოლარი გამოამუშავებინა – 50 ათასი გამარჯვებისთვის, 100 ათასი საერთო ჩათვლაში დაწინაურებისთვის და 100 ათასიც მსოფლიოს საუკეთესო შედეგისთვის. არადა, მონტგომერს გრინის რეკორდის დამხობის ნაცვლად მისი შედეგი რომ გაემეორებინა, მაშინ იგი -18-ის ნაცვლად, 9 ქულას აიღებდა მაროკოელი და საერთო ჩათვლაში გამარჯვებული გახდებოდა.

გრანპრის ფინალამდე, მონტგომერს მძლეოსანთა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) რეიტინგის სათავეში მოქცევა სურდა, რათა თანამემამულე მორის გრინის ნომერ პირველი სპრინტერის სახელს თავად დაპატრონებოდა. ამერიკელმა ნატვრა აისრულა.

" ვიცოდი, რომ რალაცას წარმოვადგენდი. ახლა, უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ერთადერთი, რომელმაც 100 მეტრი უსწრაფესად გაირბინა. არადა, თავიდან ვერც კი გაავანალიზე, რომ მსოფლიო რეკორდი დავამყარე. როდესაც მწვრთნელი მოიჭრა ჩემთან და ჩახუტებულმა ხელში ამიყვანა, მაშინღა მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდა. მსოფლიო რეკორდები იმისთვისაა, რომ ის უნდა გაუმჯობესდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება," - განაცხადა რეკორდსმენმა.

ამრიგად, მონტგომერმა გრინის ორწლიანი ბატონობა შეწყვიტა, თუმცა მიაჩნია, რომ სახელოვანი თანამემამულის ჩამოწერა ჯერ ნაადრევია: "ერთი ასპარეზობა არაფერს წყვეტს. გრინმა დიდ ჩემპიონატებზე არაერთხელ დაამტკიცა, რომ მას ყველას დამარცხება ძალუძს."

სხვათა შორის, ტრიბუნებიდან საკუთარი რეკორდის გაცამტვერებას თავად გრინიც ადევნებდა თვალ-ყურს. დაკარგული რეკორდის შემდეგ კი განაცხადა, რომ იგი მას უკან დაიბრუნებს: "ვიცი, რომ ამაზე სწრაფად რბენა შემიძლია. ამ მხრივ მომავალ წელს საინტერესო ორთაბრძოლები გველის."

# კარლ ჰაინც რუმენიგე: „თანამედროვე ფეხბურთი კრიზისშია"

დიმიტრი ოზოლაძე

შარშან მადრიდის "რეალს" ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად 17 თამაშის ჩატარება დასჭირდა. სიტუაცია არც ამ გათამაშებაში შეცვლილა. უეფა-მ ფორმატი უცვლელი დატოვა. მომავალ სეზონში კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ის გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავა მხოლოდ 13 თამაშს ჩაატარებს. გუნდების რაოდენობა კი უცვლელი რჩება. პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ, პირდაპირ პლეი-ოფები დაიწყება. უეფა-მ გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის და კონსულტაციების შედეგად მიიღო. დღეს, მთელ მსოფლიოში ფეხბურთის პოპულარობაზე საუბარი ზედმეტია,მაგრამ მის კრიზისზე უკვე ლაპარაკობენ.

"რეალმა" რონალდო 45 მილიონად შეიძინა. ასტრონომიული თანხებია გადახდილი ფიგუსა და ზიდანში. დღეს სიტყვამ "მილიონი" დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საოცრად მოგეჩვენებათ თანხა, რომლის გამოც ფლორენციის "ფიორენტინა" ქვედა დივიზიონში დააქვეითეს. ფლორენციელთა ვალმა 22 მილიონი ევრო შეადგინა. საინტერესოა გერმანელი რუმენიგეს მოსაზრება: "თანამედროვე ფეხბურთი კრიზისშია. ისევე, როგორც მსოფლიო ეკონომიკა და ჯანმრთელობა. საინტერესოა როდემდე გაგრძელდება შექმნილი მდგომარეობა. სამწუხაროდ, ფული წინა პლანზეა წამოწეული, თანაც ისე, რომ ხშირ შემთხვევაში ფეხბურთი არავის ახსოვს. კარგი იქნება, თუ ისევ ნამდვილ, სუფთა ფეხბურთს დავუბრუნდებით."

რუმენიგემ იქვე დასძინა, რომ მიუნჰენის "ბაიერნიც" იძულებულია აქტიურად ჩაებას სატრანსფერო საქმიანობაში. გუნდმა ბალაკი და ზე რობერტო, კონკურენტ, ლევეკუზენის "ბაიერს" წაართვა.

და მაინც რა ხდება? სატელევიზიო არხები და მათ ეთერში განთავსებული რეკლამა, ეს გახლავთ თანამედროვე ფეხბურთის პრიორიტეტი, რაც განსაკუთრებით იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ლიგებში იგრძნობა.

1995 დან 2001 წლამდე აქაც სხვადასხვა მდგომარეობა შეიქმნა. სერიოზული პრობლემების გადალახვა მოუწიათ ესპანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ლიგებს. განსაკუთრებით უჭირთ სერია ა-ს წარმომადგენლებს. შარშანდელი სეზონის განმავლობაში "იუვენტუსის" სტადიონი, "დელე ალპი" ბოლომდე მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ივსებოდა. როგორც უეფა-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, ფორმატის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სტადიონებზე მაყურებლის მოზიდვა და შენარჩუნებაა. "ჩვენ დიდხანს ვფიქრობდით, ერთი შეხედვით იდეალურ სისტემაში შეცდომა გაგვეპარა. ბოლოს ნათელი გახდა, რომ თამაშების რაოდენობა უნდა შეგვემცირებინა. ძველი ფორმატი ნაკლებად ითვალისწინებდა მაყურებლის ინტერესებს",- აღნიშნა უეფა-ს გენერალურმა მდივანმა, გერჰარდ აიგნერმა

აიგნერი ბოლომდე გულახდილი არ არის. ფეხბურთის განვითარებასთან ერთად უეფა-სთვის მთავარი ფულია. თამაშების რაოდენობის შემცირება, ფეხბურთის "მამების" შემოსავალს არანაირად არ შეზღუდავს. პირიქით - პირველი ეტაპის ყველა შეხვედრა სავსე ტრიბუნების თვალწინ ჩაივლის. მერვედფინალში, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ანშლაგი გარანტირებული იქნება. აქედან გამომდინარე, ცარიელი ტრიბუნის პრობლემა მოიხსნება და უეფა დიდ თანხას მიიღებს. ალბათ, მაყურებელიც უკეთეს მდგომარეობაში იქნება, რომელიც უინტერესო შეხვედრებს ვერ ნახავს.

მონაკოში გამართულ ევროპის წამყვანი კლუბების პირველ ფორუმზე, კლუბების ხელმძღვანელთა უმრავლესობამ უეფა-ს წინააღმდეგ გაილაშქრა, რასაც გერჰარდ აიგნერის მწვავე რეაქცია მოჰყვა: "ჩვენ გაგებით ვეკიდებით სიტუაციას, თუმცა, ერთი რამ ფაქტია, კლუბებმა, რომელთაც ფინანსური პრობლემები აქვთ, ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. უაზროდ, სისულელეებში ხარჯავენ ფულს, რაც მათ საბოლოო ბიუჯეტზე აისახება. ამას მოსდევს ვალებიც, გაკოტრებაც და ქვედა დივიზიონებში დაქვეითებაც".

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება სტარტს ხვალ აიღებს. უფრო დაწვრილებით პირველი ტურისა და წყვილების შესახებ "24 საათის" ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.




ჩოგბურთი

# CARTU & TBILISI LADIES OPEN: ცხრიდან სამი

**საკვალიფიკაციო ეტაპი.**
**პირველი წრე**

რაისა გურევიჩი (რუსეთი) – იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 6:2, 7:5

თათია მიქაძე (საქარტველო) – ოლგა პუჩკოვა (ბელარუსი) 6:2, 0:6, 7:6

ეკატერინა ოსტაპენკო (რუსეთი) – თამარ ზედგინიძე (საქართველო) 6:2, 7:5

სოფიკო მელიქიშვილი (საქართველო) – ირინა კოტკინა (რუსეთი) 6:3, 7:6

ოლგა ლაზარჩუკი (უკრაინა) – ვიოლეტა კაზმარეკი (პოლონეთი) 6:0, 6:1

ლიანა დალაქიშვილი (საქართველო) – ნატალია გორდეევა (რუსეთი) 0:6, 0:6

ანა ლიპარტია (საქართველო) – ირინა კურიანოვიჩი (ბელარუსი) 3:6, 1:6

ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) – მარიანა პენკოვა (ბულგარეთი) 6:7, 6:2, 6:3

სვეტლანა მოსიაკოვა (რუსეთი) – ზორა მარკი (შვეიცარია) 6:1, 6:0

იულია ვორობიოვა (რუსეთი) – დარია ჩემარდა (რუსეთი) 7:6, 6:7, 6:3

ეკატერინა სავინა (აზერბაიჯანი) – კლაუდია იანსი (პოლონეთი) 1:6, 0:6

სოფია ავაქოვა (რუსეთი) – ალექსანდრა კოროტკევიჩი (რუსეთი) 7:5, 6:1

ნატალია ბოგდანოვა (უკრაინა) – ნინო ქურდაძე (საქართველო) 6:1, 6:0

თინათინ ასლანიშვილი (საქართველო) – ალექსანდრა კოსტიკოვა (რუსეთი) 0:6, 0:6

ანა ჯუღელი (საქართველო) – თამარ ახობაძე (საქართველო). თამაში შეწყდა ახობაძის ტრავმის გამო

კატარინა ბონდარენკო (უკრაინა) – მარიანა იუფეროვა (რუსეთი) 3:6, 7:6, 4:6

**მეორე წრე**

რაისა გურევიჩი – თათია მიქაძე 6:3, 7:6

ეკატერინა ოსტაპენკო – სოფიკო მელიქიშვილი 6:4, 6:4

ოლგა ლაზარჩუკი – ნატალია გორდეევა 6:0, 6:1

ირინა კურიანოვიჩი – ანა ჩაკვეტაძე 7:6, 6:4

სვეტლანა მოსიაკოვა – დარია ჩემარდა 6:7, 4:6

კლაუდია იანსი – სოფია ავაქოვა 6:1, 6:3

ნატალია ბოგდანოვა – ალექსანდრა კოსტიკოვა 6:4, 5:7, 6:3

ანა ჯუღელი – მარიანა იუფეროვა 3:6, 2:6

**მესამე წრე**

რაისა გურევიჩი – ეკატერინა ოსტაპენკო 6:3, 7:6

ოლგა ლაზარჩუკი – ნატალია გორდეევა 7:6, 6:3

დარია ჩემარდა – კლაუდია იანსი 0:6, 4:6

ნატალია ბოგდანოვა – მარიანა იუფეროვა 5:7, 3:6

*სანამ ძირითად ბადეში მოხვედრილი 28 ჩოგბურთელი ისვენებდა, დანარჩენი 32, ორი დღის განმავლობაში, საკვალიფიკაციო ეტაპზე არკვევდა იმ ოთხეულის ვინაობას, რომლებიც ძირითად ბადეში მოხვედრილებს დღეიდან დაემატებიან და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისათვის შეერკინებიან ერთმანეთს. აქედანვე უნდა ითქვას ქართველი ჩოგბურთელების წარუმატებელ თამაშზე. საკვალიფიკაციო ეტაპზე ძირითად ბადეში ვერც ერთი ვერ მოხვდა და გულშემატკივრებიც მხოლოდ იმ სამი მოთამაშის იმედად დარჩნენ, რომლებიც ბადეში თავიდანვე მოხვდნენ. ცხრა ქართველი ჩოგბურთელიდან პირველი წრე მხოლოდ სამმა დაძლია, მეორე წრეს კი ვერც ერთი ვერ გასცდა.*

სხვადასხვა

## აშშ იტალია ოქროს მაძიებლები

გერმანიაში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის. უაღრესად საინტერესოდ წარიმართა ნახევარფინალური მატჩები. ამერიკელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს რუსეთის ნაკრები და ფინალში იტალიელ ქალბატონებს გადაეყარნენ, რომლებმაც ასევე დაძაბულ შეხვედრაში ჩინეთის გუნდი დაამარცხეს.

მესამე, საპრიზო ადგილისთვის პაექრობაც უშეღავათო გამოდგა. ძველმა მეტოქეებმა – რუსეთისა და ჩინეთის გუნდებმა ნამდვილი ბრძოლა გააჩაღეს. პირველი პარტია რუსებმა მოიგეს – 25:20. მეორე, ასევე დაძაბული პარტია აზიელთა გამარჯვებით დასრულდა – 21:25. გადამწყვეტი მესამე პარტია აღმოჩნდა. გუნდებმა თავისი კოზირებით მაქსიმალურად გამოიყენეს, მაგრამ რუსებმა თავისი შესაძლებლობები უკეთესად გამოიყენეს და 25:23 იმარჯვეს. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ ჩინეთის ნაკრები საბოლოოდ გატეხა და რუსებს აღარ გასჭირვებიათ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა – 25:16. ასეთია მეოთხე პარტიის შედეგი.

რუსეთის ნაკრებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, მაგრამ ამ საქმეს იმდენი ენერგია შეალია, რომ მიმომხილველთა თქმით, სიხარულის თავიც აღარ ჰქონდათ. მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაში ბრაზილიის ნაკრებმა იოლად მოუგო ბულგარელებს – 3:0.

## რვა ეტაპის შემდეგ ოსკარ სევილია ლიდერობს

ესპანურმა "ვუელტამ" მთებში გადაინაცვლა. მე-8 ეტაპი, რომლის სიგრძე მალაგიდან უბრიკამდე 173,6 კილომეტრი იყო, მასპინძელმა აიტორ გონსალესმა მოიგო. საინტერესოა, რომ გონსალესის ორმა თანამემამულემ, დავიდ ეჩებერიამ და ლუის პერესმაც იგივე დრო უჩვენეს, მაგრამ საფინიშო სპურტი გონსალესს უკეთესი ჰქონდა. აიტორ გონსალესი რბოლის ლიდერს ოსკარ სევილიას 41 წამით ჩამორჩება. ეს ეტაპი იმით იყო ყურადსაღები, რომ რბოლას დროზე ადრე მორიო ჩიპოლინი გამოეთიშა, რომელმაც მანამდე სამი სპრინტერული ფინიში მოიგო. საერთო ჩათვლაში ლიდერად ოსკარ სევილია რჩება.

**ტექნიკური შედეგები. მე-8 ეტაპი:**

აიტორ გონსალესი (ესპანეთი) "კელმე" – 4 საათი, 18 წუთი, 36 წამი.

დავიდ ეჩებერია (ესპანეთი) "ეუსკალტელი" – იგივე დრო

ლუის პერესი (ესპანეტი) "გოლდ კოსტი" – იგივე დრო.

**მდგომარეობა საერთო ჩათვლაში:**

ოსკარ სევილია (ესპანეტი) "კელმე" – 29 საათი, 43 წუთი, 40 წამი.

ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) "ტელეკომი" - +14 წამი

აიტორ გონსალესი (ესპანეთი) "კელმე" - +41 წამი.

## მოკრივეებს ტვინში ჩახედავენ

პროფესიონალ მოკრივეებს, რომლებსაც სურთ, ორთაბრძოლები ნიუ-იორკის შტატში გამართონ, დღეის იქით ორი მოთხოვნის შესრულება მოუწევთ. კერძოდ, შტატის ათლეტთა კომისიის ახალი წესების თანახმად, მოკრივემ, თითოეული ბრძოლის წინ, ანაბოლიკ სტეროიდებზე უნდა გაიაროს ტესტირება. ეს - ერთი. მეორე და ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მათ თავის ტვინზე ჩატარებული ყოველწლიური სკანირების პასუხები უნდა ამცნონ კომისიას.

ნიუ-იორკის ათლეტთა კომისიის თავმჯდომარის ბერნარდ კერიკის თქმით, ნიუ-იორკის შტატი პირველია, რომელმაც პროფესიონალთა სპორტში ამგვარი ვალდებულებები შემოიღო.

აღსანიშნავია, რომ ეს წესები მოყვარულ სპორტსმენებზე არ ვრცელდება. რაც შეეხება სტეროიდებს, მათი აღმოჩენის პირველივე შემთხვევაში, მოკრივეს რინგიდან მოხსნა ემუქრება. თუ ასეთი რამ განმეორდა, მაშინ მას 45-დღიანი დისკვალიფიკაცია ელის. რინგს მიღმა 90 დღით დარჩება მოკრივე, თუ მესამედაც აღმოუჩენენ სტეროიდებს. და თუ თავისი არ დაიშალა და ასეთი რამ კიდევ ჩაიდინა, მაშინ შტატის ყველა ქალაქში ასპარეზობის ლიცენზიას ავტომატურად გამოეთხოვება.

## დე ლა ჰოია ტიტულს ინარჩუნებს

ლას ვეგასში, "მანდელეი ბეის" სასტუმროს სპორტულ დარბაზში დიდი ბრძოლა იყო. სასწორზე ორი - WBA და WBC (კრივის მსოფლიო საბჭო) საშუალო წონოსანთა ორი საჩემპიონო ქამარი იდო. დე ლა ჰოიას გამარჯვების შემთხვევაში ეს უკანასკნელი, WBC -ის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებასთან ერთად, წელზე ფერნანდო ვარგასის WBA -ის ქამარსაც შემოირტყამდა. ამათი შერკინება საკმაოდ დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. შეიძლება ითქვას, დე ლა ჰოიასა და ვარგასის ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბოლოს წინა რაუნდამდე მოკრივეთაგან ხან ერთს ჰქონდა უპირატესობა ხან მეორეს. თუმცა, 11-ე რაუნდის დასრულებამდე 48 წამით ადრე მსაჯი ჯო კორტეზი იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა. დე ლა ჰოიამ მრისხანე მეტოქეს ძლიერი მარცხენა ჰუკით 11,425 ათასი მაყურებლის თვალწინ ნოკაუტით რინგის მარცხენა კუთხეში მიუჩინა ადგილი და ტიტულის შენარჩუნებასთან ერთად, ვარგასის WBA-ის სარტყელსაც დაეუფლა. ნოკაუტირებულ ვარგასი კი იძულებული გახდა, საავადმყოფოსთვის მიემართა. "ვარგასის სიძლიერემ გამაოცა. თავიდან მეგონა, რომ ვერ დავმარცხებდი, მაგრამ როდესაც მის დარტყმებს ვიგერიებდი და გვერდს ვუქცევდი, ვიცოდი, რომ ბოლოს დაილლებოდა... იგი ჩემზე ისეთ რამეებს ჩმახავდა, რაც მე მაღიზიანებდა. მომიწია, მისთვის ჭკუა მესწავლებინა", - განაცხადა დე ლა ჰოიამ.

# ფოტოგრაფი ბანდერასის საბედისწერო ქალი

ბრაიან დე პალმას ბოლო ნამუშევარი "საბედისწერო ქალი" უკვე ქართულ დიდ ეკრანზეც გამოჩნდა. ამერიკაში კი ფილმის გამოშვება მხოლოდ 8 ნოემბრისთვისაა დაგეგმილი. მანამდე პრემიერა, მეტნაკლებად ვიწრო წრეში – ტორონტოს კინოფესტივალზე, შაბათს გაიმართა. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მაყურებელს ფილმის ნახვის საშუალება მისი მსოფლიო პრემიერის პარალელურად მიეცა. ელიტურ ჩვენებას ბრაიან დე პალმას სრული ეკიპაჟი დაესწრო – ჟან რენო, პიტერ კოიოტი, საბედისწერო ქალი, რებეკა რომინ-სტამოსი და მის მძაფრსიუჟეტიან ისტორიებში მოულოდნელად ჩართული ანტონიო ბანდერასი. ორივე მთავარი გმირი გალა-საღამოზე მეუღლეებთან ერთად გამოცხადდა.

"საბედისწერო ქალში" მოქმედება ჩვენს დროში ხდება, მაგრამ რეჟისორი აცხადებს, რომ მისი ნამუშევარი "ფილმ ნოირის" ტრადიციებს ეფუძნება ("ფილმ ნოირი", იგივე "შავი ფილმი", გახლავთ განსაზღვრება, რომელიც ფრანგმა კრიტიკოსებმა 40-იან წლებში გადაღებულ, განგსტერული ჟანრის ამერიკულ ფილმებს მოუძებნეს. "ფილმ ნოირი" შავ, მელანქოლიურ და პესიმისტურ განწყობას უქმნის მაყურებელს, ცინიკურად აღწერს ადამიანების შავბნელ, არაადამიანურ მხარეებს. ეს ფილმები ჩვეულებრივი განგსტერულებისგან სწორედ ამ განწყობით განსხვავდება).

რებეკა რომინ-სტამოსი ასრულებს ძვირფასი სამკაულების ქურდი ქალის როლს, რომელსაც კანში დაგეგმილი საქმე ჩაეშლება და იძულებული გახდება, გაიქცეს. საბედისწერო ქალი რისი საბედისწერო ქალია, რომ ფოტოგრაფ ბანდერასს თავგზა არ აუბნიოს და თავისი კრიმინალური ცხოვრების თანამონაწილედ არ აქციოს...



*ჯონ სტამოსი, რებეკა რომინ-სტამოსი, ანტონიო ბანდერასი და მელანი გრიფიტი* REUTERS

ალსანიშნავია, რომ ფილმის შექმნის იდეა ბრაიან დე პალმას კანის კინოფესტივალზე დაებადა. დააბიჯა, თუ არა წითელ ხალიჩაზე ფეხი, გადახედა თუ არა ძვირფასი სამკაულებით დამშვენებულ ლამაზმანებს და მათ პირად მცველებს, მაშინვე მიხვდა, რომ განუხორციელებელი ყაჩაღობის თემა სწორედ კანში უნდა განევრცო და ასეც მოიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ "საბედისწერო ქალი" "ფილმ ნოირის" ტრადიციებს ეფუძნება (ამაზე ფილმის სახელი და მთავარი გმირის საბედისწერო ხასიათიც მეტყველებს), ბრაიან დე პალმა მაინც არ ივიწყებს საკუთარ პრინციპებს: "ძირითადად, ვწერ ისეთ სცენარებს, რომელშიც მთავარია ვიზუალური იდეა, ანდა ამბავი, რომელიც მრავალფეროვანი გამომსახველობითი ხერხებით გადმოიცემა. ხანდახან მგონია, რომ ვიზუალური სტილისტი უფრო ვარ", - აცხადებს რეჟისორი და თავის "საბედისწერო ქალში" ვიზუალურ მხარეს მართლაც ბოლომდე აშლევინებს ფრთებს. თავის გატაცებას კი ასე ორიგინალურად ხსნის: "კინოხელოვნებაში თავიდან არ არსებობდა დიალოგი და რეჟისორებმაც ამბების სურათებით გადმოცემა ისწავლეს. ჩემი აზრით, სათქმელის ვიზუალური ფორმით გადმოცემა, მართლაც, ყველაზე ეფექტური, ემოციური, ლამაზი და შემაშინებელი ხერხია".

რეჟისორს Femme Fatale (ფილმს ფრანგული სახელწოდება აქვს) მოწონს, თუმცა, არ იცის, როგორ მიიღებს საზოგადოება მას. "რადგანაც ჩემი ფილმები ნამცხვრის ყალიბის მსგავსი ერთი ფორმულით არ იქმნება, მაყურებელი სხვადასხვანაირად რეაგირებს. თუმცა, არ აქვს მნიშვნელობა, მოწონთ თუ არა ფილმი – ნებისმიერ შემთხვევაში, რეაქცია მაინც მძაფრია", - დასძენს რეჟისორი. ასე რომ, წესით, "საბედისწერო ქალმაც" მაყურებელს მძაფრი გრძნობები უნდა აღუძრას.

## სკანვორდი



## TV პროგრამა 16 სექტემბერი

### რუსთავი - 2

16.09 07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი
18.00, 21.00 კურიერი
18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.20 სასამართლო დარბაზი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "ფრანგი მეკავშირე" მთ.როლებში ჯიმ ჰეკმანი, როი შაიდერი.
01.50 კურიერი.
02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "შეიძლება"
11.45 "მოდი ვიცეკვოთ"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "პალიტრა"
14.30 "საქართველო და გარე სამყარო"
15.15 მხ. ფილმი "ორი ღამე კლეოპატრასთან ერთად"
16.25 "ტოპ-მოდელები"
16.45 სერიალი "ძილის წინ"
17.05 50-50 17.40 დოკ. ფილმი "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ამელი მონმარტრიდან"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
13.45 "ცენტრი" გამეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "Co. მედია" მხ.ფ. "დინოტოპია"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "არც ერთი სიტყვა".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ყორანი - შურისძიების ფრთები"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 დოკ. ფილმი "მოგზაურობა"
21.40 მიზანი
22.10 მხ. ფილმი "სამიზნე"

### ევრიკა

10.00, 12.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.30 მხ. ფილმი "ირმებზე მონადირე"
14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 "ტალანტები და თაყვანისმცემლები"
22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "მსოფლიოს აღმოჩენა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "შეინარჩუნო რწმენა"
10.20 მხ.ფ. "სიკვდილი წყალში"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "არაჩვეულებრივი არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "მზის დევნაში"
22.15 მხ.ფ. "მე აფრიკაზე ვოცნებობდი"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ქუსლები"
13.40 მხ.ფ. "ლონდონელი ნაგაზები"
15.10 მხ.ფ. "თავში უქრის"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "მოჩვენება და ბნელეთი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "ღმერთების საიდუმლო"

### მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის?
10.00, 15.00 "დილა"
11.45 მხ. ფიმლი "კომანდო"
13.15 მხ. ფილმი "თბილისი ჩემი სახლია"
14.30, 17.15, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45 მაცაცერა
16.45 დოკ. ფილმი "მ. ლაღიძე"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 51-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
18.45 ჟურნალი "საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-6 სერია
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 მუს. დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
22.10 მხ.ფ. "ჩრდილში".
23.45, 00.20 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "ლანსელოტი დროის გმირი"

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Новости в воскресенье
09.50 ქართული მხატვრული ფილმი
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ფილმი-ზღაპარი "ჰაჩიკუჰი"
13.45 ისტორიული ფილმი "გაუნტი"
16.15 მულტსერიალი
17.30 თრილერი "რეპორტაჟი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 თრილერი "8 მილიმეტრი"
03.30 მელოდრამა "ქალბატონის პორტრეტი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.20 "აჩიკუდა"
09.50 მოკლედ... სპორტი
09.55 "სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 მელოდია
11.00 ანიმაცია
11.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპ. ტექნიკა
11.45 "ობიექტივი"
12.40 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.55 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.45 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.50 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.10 მოკლედ... სპორტი
22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
23.00 "კინოკლუბი " - "ცვილის ფიგურების მუზეუმი"
00.40 პრესის მიმოხილვა
00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.10 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
01.40 "ბიორითმი" - ბრიტნი სპირსი
02.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
11.10 "ЛЮБОВЬ С ПРИВИЛЕГИЯМИ" 1-я с.
12.30 "Ералаш"
12.40 "ТВИНИСЫ"
13.15 Детектив "ИЗ ЛЮБВИ К ИСКУССТВУ"
15.00, 20.50 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2"
15.05 "Ералаш"
15.20 Человек и закон
16.15 "ВТОРОЙ БЕТХОВЕН"
18.00 "Большая стирка"
19.25 "С легким паром"
20.00 "Жди меня"
21.00 х.ф. "ФАТАЛИСТЫ" 1-я с.
22.00 Время.
22.40 "УБОЙНАЯ СИЛА: РОЛЬ ВТОРОГО ПЛАНА"
23.45 "ЗАТЕРЯННЫЙ МИР" 1-я с.
00.30 Док. Детектив "Шампанское для покойника"
01.00 Ночное "Время"
01.20 "СВИДЕТЕЛЬСТВО О БЕДНОСТИ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 х.ф."ОХОТНИКИ ЗА ПРИВИДЕНИЯМИ"
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Форт боярд.
13.20 В "Городке"
13.25 Вести недели
14.30 ВЕСТИ - МОСКВА.
15.20 ВЕСТИ - СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу.
16.25 Стань звездой.
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 Вера, надежда, любовь.
19.20, 21.35 Местное время. ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "КАМЕНСКАЯ-2"
23.05 "ЗАКОН".
00.35 Док.сериал "Оружие России.Стерегущие небо".
01.30 Синемания.

### НТВ

07.00 Утро на НТВ.
10.00 "Растительная жизнь".
10.35 "Вы будете смеяться". Юрий Гальцев.
11.00 "Сегодня утром" с Петром Марченко.
11.20 Погода на завтра.
11.25 "Намедни"
12.05 Криминал.
12.00 Сегодня.
13.05 х.ф."СВАДЕБНЫЙ ПЕРЕПОЛОХ"
15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня.
15.05 "Криминальная Россия"
15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.40 Ток-шоу "Принцип "Домино".
18.05 Экстрем. шоу "Фактор страха"
19.05 "Внимание Розыск!"
20.00 Сегодня с Т.Митковой
20.35 Сериал "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ" 5-я с.
21.45 "СЕЗОН ОХОТЫ" 1-я с.
23.00 "Сегодня вечером"
23.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
00.35 "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ"
01.40 ГОРДОН

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

ტელ: 20-24-24

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

გამომცემლობა «ლოგოს პრესი» წარმოგიდგენთ



შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

ონკოლოგიურ ცენტრში

პროფესორ კოტე მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ახალი საკვლევი პრეპარატის საერთაშორისო კლინიკური კვლევა **თავკისრის მიდამოს სიმსივნეებით** დაავადებულებში.

კვლევისათვის შერჩეულ პაციენტთა **მკურნალობა უფასოა**

ტელ 25-38-55
899 98-03-64

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.